


ლიტერატურული გაზეთი

ემზარ კვიციანიშვილი

გაზაფხული



მინდა მარჯვენა დავლოცო მისი,
ვინც მოიფიქრა გაჩენა შენი,
ამოგიქარგა მკერდზე ეძელა,
ყელთან იების ჩაკიდა მძივი,
ლერნამა ტანზე, ლერნი ვაზისა
თავისი ხელით შემოგახვია,
მხრებს ზიზილები ჩამოაყოლა;
ფერგაფოფრილი, გაუხუნარი
ფურისულები დააკრა კოჭებს,
ლელის ფსკერიდან ამოზიდული.
იზრუნა ბევრი, არ ყოფილიყო
არსად არსება შენებრ ლამაზი
და მობრიალე... გირჩივით შეგკრა
და შეგიჩია – ურჩს, გასაფურჩქნელს –
მთა-მთა მცოცავი, წმინდა სახელი.
არ გამჩენია მცირედი ეჭვიც,
რომ ჩამოსხმული, უცხოდ, სხეული,
ბრონეულების ალენილ მარჯანს,
თვით აისხამდა. ასედაც მოხდა.
გვირილების და თეთრი შროშნების
აცმას მოება დამტევებული
საყურეები სუმბულის, ლურჯი...
ოდნავ შემკრთალი და დაბნეული,
ლილილოების იბნევიდი ლილებს,
მუხლამდე იდექ სოსნების ტბაში.
სიბნელე ღამის რომ გაეფანტათ,

ცალკე განიბნენ მშრალი ფიფქები
ბლისა და ვაშლის... ამოდ მოვცდი,
სიტყვა ვერ შესწვდეს მშვენებას შენსას.
ლვთის ნება იყო შეკონვა შენი,
რა სასწაული დაგიდგეს გვერდით,
ამოსროლილო იმ ქაოსიდან?
უთუოდ წყალობ, ესათუთები
ხის ქერქში გაყრილ, მოკაუჭებულ,
წვრილად გაბასრულ სუროს კლანჭებსაც...
მინახავს, განა გაგონილს ვყვები,
ამადაც მინდა, გინამო ღმერთად.
გამოდევნება შემეძლოს შენი,
დაგიკოცნიდი ნატერფალს, ნატიფს.
დედა ხარ მათი და ამიტომაც
უთქმელად გესმის ყვავილთა ენა.
ცაში აჭრილი როცა დაგხედავ,
თითქოს ვარდების დავყურებ ძარას –
რამდენჯერ შემძარ და დამამუნჯე...
ქარივით რხევა, მოძრაობაა
სიმდიდრე შენი, დაუსრულები.
ეს დავინერეთ გულისფიცარზე,
უცნაურ ნათლით დაისრულებმა.
ნუ დაინუნებ მოუხეშავი
და უგერგილო თითებით დანულ,
დაგორგილ გვირგვინს. არ მერგო წილი,
გაღვნილია საჩემო კალო,

რაც დაგაკელი, შეივსე თავად.
საცილოდ ამას ვერავინ გახდის –
შენს ლალ სიცილზე კლდეს გადაკრული
ყინული ლღვება, შუბლშეჭედილი,
რომ ნაკადულად ქცეული მერე,
ბროლისმუხლება, დაქანდეს თავქვე,
ახაროს, რასაც სიცოცხლე შქვია.
მიუხვედრელი, ცნობამიხდილიც
მიხვდება, ვინ ხარ, თუ წამიერად
შეგასწრო თვალი, მინდვრის ბოლოში...
შენი კალთების იყნოსებს შრიალს
და მოსვენება დაეკარგება.
ულხინოც არ დალონდება, ოლონდ –
დარჩეს იმედი მეორედ ხილვის.
გახელებას გავს, რასაც გაგიმხელ,
მორთულო, ერთი მაქვს სათხოვარი –
აყვირებულმა, რომ განახლება
და შეყვარება შევიძლო კვლავაც,
დამშუშავი და ხაოიანი,
გადამალვარე ფესვების წვენი.
განქარდა, გაქრა სიმარდე ქორის,
ალანქერებულ მდინარეს ველარ
მივარღვევ აღმა. მე რას მოგიძღვნი,
რით გაგახარებ... ათასჯერ ჩემზე
აღმატებულებს დაუხატინარ.

VIII-IX



*
სანამ მარჯვენით კალამს დავიჭერთ, ხელის მტევანი და თითები ერთ საოცარ მდგომარეობას იკავებს – თითქოს პირველის წერისთვის ემზადება. პირველი თითი (ცერი) – რწმენა, მეორე თითი (საჩვენებელი) – იმედი და მესამე (შუათითი) – სიყვარული კალამს ჩაეჭიდება და ერთმანეთს ეკვრის, ხოლო მეოთხე (არათითი) – შრომას და მეხუთე (ნეკი) – სწავლას რომ აღნიშნავს, მორჩილად მოიხრებიან და ხელისგულს ებჯინებიან. გამოდის, რომ თითები პირველისწერის დამომარეობას იმეორებენ და ასე გამოწყავთ სიტყვებს ფურცელზე კალმით. ხომ არის სასწაული და დასტური იმისა, რომ უფალი მართლა სიტყვაა და შემოქმედება – სულის საქმე.

*
316 არ ყოფილა ჩარგლისკარზე? ვაჟა-ფშაველას ნასახლარი ვის არ უნახავს? ახლა იქ ცოტა გადაკეთებულ-გალამაზებული სახლი რომ დგას, ზუსტად მისეული გგონია და ფიქრობ, ისე შეხვიდე, როგორც ტაძარში. და შინაგანად თავსაც იდრეკ და რიდშიც ეხვევი. მაგრამ არ მცოდნია, თავის მოდრეკა რას რქმევია... ერთხელ, მორიგი „ვაჟაობა“ იყო — ხალხმრავლობა, ჟრიაშულიც, რია-რია... როგორც იქნა, შევედი სახლში და ახლა გაფაციცებით ვსუნთქავ იქაურობას თავის ნამიან-ჟამიანად... ხან ბუხარს შევცქერ, ხან ფანდურს, ხან ფარდაგს, ხან იარაღსა და ხანაც მისეულ ნაჩქამ ჰაერს... აი, ამბობენ ერთადერთი, რაც დანამდვილებით და დაუეჭვებლად ვაჟასეულია, ეს მაგიდააო, საწერი მაგიდა და ზედ საათით. ის იყო ნელა მივუახლოვდი, რომ ვილატამ ხელი გამკრა და მობილური ტელეფონი გამაგებინა უნებლიედ. სულ ნაწილებად დაიშალა ჩემი ძველი „სიმენსი“. დაიშალა და სულ ვაჟას მაგიდის ქვეშ მიმოიფანტა. არადა, არც ძალიან ახლოს ვიდექი, ვერც გაგებდავდი ახლოს მისვლას, თუმცა მინდოდა ხელი მაინც შემეხო ამ მაგიდისათვის... რაღას ვიზამდი, კარგა გვარისად ღრმად შეყრილი ნაწილების შეგროვება დავიწყე და უცებ მივხვდი, რომ ასე თავდადრეკილი და მოხრილი, სამეტანო შუბლს მის ნატერფალს ვახებდი და ქედსაც ხო ვიყრიდი, და ვიყრიდი და იმ მაგიდის ქვეშ ვერომიალობდი, რომელთანაც იჯდა და წერდა და არავის აკარებდა ზედ... ბავშვებს უყვართ ხოლმე მამის მაგიდის ქვეშ სახლის მოწყობა. მეც ბავშვობაში მაგიდის ქვეშ მქონდა სულ სახლი და სათამაშოები, ის იყო ჩემი სამყარო... ახლა ვაჟას მაგიდის ქვეშ ვიყავი როგორც ფრთის ქვეშ წინლა, როგორც უსაბამოების ჰორიზონტით შემოსაზღვრული სამყაროს თავხეს ქვეშ და ვგრძნობდი, რომ დიდზე დიდი იყო წყალობა და ყველაზე ძლიერი იყო მამა... რომ აქვე იყო ორთავე სოფელი და ჩვენ ერთად გავდი-გამოვდიოდით, ის — ნამდვილი რამით, და მე — ჯოხის ცხენით...

*
ქარი როგორ არ მინახავს, როგორ არ მისმენია მისი მრავალხმიანობისთვის, მაგრამ ქარის ის ხმა პირველად იქ გავიგონე... მთაწმინდაზე... თითქოს მისივე პოეზიიდან ამოფრენილი ქარები ერთად დასდგომოდნენ თავთან და ქარისუფლოდნენ... სულ-თათანას უგალობდნენ... ჯერ ვერც მივხვდი, რა იყო ეს ხმა... მერე თანდათან, რომ არა და აღარ მიწყნარდა, და შიგნიდან იწყობდა ხმაზე ჩვენმა გვამთა ზარებმაც გუგუნნი, რომ აპყვა მას ყურთასმენა მართო კი არა, მთელი არსებაც, და რომ ყველას, გარშემომყოფებს ვეკითხებოდი, გესმით, ხომ გესმით, რისი ხმაა, აბა, მითხარით და ყველა ისე იოცებდა ამ ხმას — ყრუ გუგუნს, როგორც წყალზე მავალ ქრისტეს გაიკვირებდა უცაბედად თვალგახელილი მისი მოწაფე... და ვერავინ მპასუხობდა ეს რა ხმა იყო, ისევე ჩემმა გუგუნმა გასცა, ისევე ჩემი სული მემონმა, რომ ამ წმინდა მთის მაღალ თხემზე ისხდნენ ჩვენი წინაპრების დიდი სულები, ისხდნენ ისე მჭვირვალენი, როგორც ქარები ჩამოსხდებიან საგალობლად, საგუგუნებლად — „გლოვის მგოსანთა“ უწინარი, უენო გუნდი და ხმაურობდა მათი სუნთქვა, მათი ფიქრი გუგუნებდა, არსებობის უსასრულო გზიდან მოსული... ჩვენ კი ანას ვასაფლავებდით... დიდი იყო, დიდი, სოფელი...

*
ანა განუმეორებელ პოეტად ფშავ-გესურეთმა შვა. ტყუილა კი არ გაიყოლა ანას სულმა საიქიოს დიდ გზაზე ფშაური ხმით ნატერალი? ძველი ხევისურული ტრადიციების მიხედვით კარგი და ღირსეული ქალისთვისაც შეიძლება თურმე „სულის დოღის“ გამართვა. ნეტა თუ გაიმართება ოდესმე ასეთი დოღი ანასა და ხვარამზეს სულებისათვის? უცრემლოდ დატირებას, „დათვლას“ რომ ეძახდნენ მთაში, განა არა ჰგავს მათი პოეზია? ვის დასტიროდნენ ასე უცრემლოდ, ასე ამაყად, ასე ღირსებით პოეტი ქალები? ვისი მესულთანეები იყვნენ დღეოცვლილები? და მინდა ვუპასუხო — თავიანთივე სიყვარულის ჭირისუფლები...

მარიამ ნიკლაური

დაუნარელი წერილებიდან



*
სულ ასე მემართება, ის რითაც აღფრთოვანდები, მინდა რომ მთელმა სამყარომ იცოდეს და ასევე აღფრთოვანოს ყველა. ახლა ამ თვისებაზე ვფიქრობ, ეგებ ესეც თავისებური ამპარტავნობაა ან, ძალიან ბუნებრივი თვისება, თავისი ნაპოვნი ლამაზი ნივთი ყველას აჩვენოს და გაუზიაროს? ასეა თუ ისე, ძალიან მინდა ახლა ეროლმ ახვლედიანისეული ეს სიტყვები ყველამ ზეპირად იცოდეს: „ღამემ, უზარმაზარმა შავმა სინათლემ, მშვიდად გადაუფრინა ნიკოსა და ვანოს და შორს, ქვეყნის ბოლოს ჩაქრა“ ან ეს: „მუხა კი დიდი ყვავილი იყო“. ეს ფრაზები ამომინერია რატომღაც. არადა მთელ ნაწარმოებს ხომ არ გადაწერ, თორემ ღირს ნამდვილად გადასაწერად. ეროლმ ახვლედიანის „ვანო და ნიკო“! როგორ მინდა, რომ ნაუკითხავი არ დარჩეს ვინმეს ამ მწერლის უცნაური და თავის თავს რომ ჰგავს მარტო, ისეთი შემოქმედება. ესმა ონიანის ახლო მეგობარი ყოფილა — გებულობ ესმას ნაწერებიდანვე. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ბედნიერება ივლიდა ამ სამყაროში მათი მეგობრობის სახით: ასეთი უცნაურები, ასეთი თავისთავადები, ასეთი ლალები, თავისუფლები... არა მლიქვნელები, არა პირმოთენეები, არა მონები. ალბათ რა სიხარულით დაჰყვებოდნენ მხარსუკან თავიანთი მფარველი ანგელოზები... ანგელოზებისთვის, ალბათ, შეუძლებელია ამაყად სიარული, ან ნელგამართულობა, მაგრამ მაინც მე ამათ ანგელოზებს ასეთად წარმოვიდგენ.

*
ჩემი ძილის სიზმარი თქვენი მღვიძარებაა, ეკლესია-მონასტრებში მლოცველო ბერ-მონაზვნებო, დედებო, დებო... თქვენს სიფრიფანა მხრებზე დგას ჩემი საქართველოს ძლიერება... თქვენი ლოცვების ფრთები აქვს ყველა ცისკრის მტრედს, რომ ამოფრინდება ხოლმე ღამის საზუღარიდან და მშვიდობიან დილად შემოაცისკრებს ჩვენს მიწა-წყალს ღმერთის მაღლს... თქვენს ნაპირჯვრალ მჭვირვალე ჰაერს ციხე-გალავნის სიმტკიცე უდგას სივრცეებზე... თქვენი დანთებული სანთლების ციმციმი სამყაროს თავხედ დაყუდებუ-

ლა... თქვენი გალობა შემოვლებია დედამიწას და უამებს ტკივილებს... და ჩვილია ჩემი საქართველო, თქვენს კალთაში თვალმძლილული... და მშვიდია უფალიც, როცა ხედავს თავისი ყრმის სათნოდ მღვიძარ გადიებს...

*
ბაბინას წიგნებში ყოველთვის ვხვდები, ვინ იცის სად და როდის დაკრეფილ გამხმარ ყვავილებს. ისინი მოულოდნელობასავით შემეფთებოდნენ ხოლმე გაყვითლებულ ფურცელთა მდუმარებაში. ამ გამხმარ და ფერგაცლილ ყვავილებს ვადარებ და ვამსგავსებ ლექსებს, რომლებიც არც კი მახსოვს, როდის, რა მიზეზით, რა განწყობილებით დაინერა, მაგრამ

*
„შორით შორად ფიქრით ნარვალს“ — გალაკტიონის ამ ფრაზამ, როგორც მისი მკვლევარი, პოეტი ვახტანგ ჯავახიძე ამბობს, აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია და წერს ამის შესახებ თავის წიგნშიც. 1988 წელს გამოცემულ „უცნობში“ ავტორი ამ ფრაზის მისეულ, ახლებურ ნაკითხვას გვთავაზობს: „ნარვალს“ კი არა, „შორით შორად ფიქრი ნარვალს“ უნდა იყოსო. სხვა კიდევ სხვას გვთავაზობს. თავს უფლებას მივცემ, ჩემებური ახსნა მივცე ამ ფრაზას ანუ სიტყვა „ნარვალს“. გალაკტიონი იმის გალაკტიონი იყო, რომ მსწორედ ასე ეთქვა ნარვალსო, და აი, რას ვგულისხმობ: რვალიდან მომდინარეა ეს ფორმა და რვალიდან ნაწარმოები. ნარვალი, ნაქარი, ნამეხარი, ამ ტიპად წარმოებულად თუ ჩავთვლით, სიტყვა სრულიად ბუნებრივ კონტექსტში ჩაჯდება, ანუ მისი ფიქრები იმდენად მძლავრ, ძლიერ შემოქმედებას ახდენენ თავად პოეტზე, „ზმანებამტკიცან პოეტზე“, რომ შეიძლება, ნარვალიც იყოს ის, ფიქრით ნარვალი. გარდა ამისა ხმოვანებით ეს სიტყვა უკანა, მეორად პლასტსაც წარმოშობს: ნარბევისა, დარბეულისა. მტკიცე, და გაუზზარავი სიძლიერის ფიქრის მატარებელი პოეტი სრულიად ზუსტად და პოეტურად და ახლებურად იაზრებს თავისავე ფიქრს — ნარვალი ფიქრი. ეს ხომ გალაკტიონისეულია და ესთეტიკაც, გამომსახველობაც, სიტყვადქმნადობის სიხალეც, მუსიკაც. ეგებ დავტოვოთ ასეთივე სახით? „შორით შორად ფიქრით ნარვალს!“ ნარვალი!

*
მთამსკლეპი გამარჯვებას მწვერვალზე როდი აღნიშნავენ. ისინი იქ ბრუნდებიან, საიდანაც ასვლა დაიწყეს და მხოლოდ ამის მერეა აძლევენ თავს უფლებას, ადამიანურად დატკბნენ მწვერვალის დაპყრობის სიხარულით. შემოქმედიც სულ წინ მიიწევს, მწვერვალისაკენ. მაგრამ შესძლებს კი, უკან დაბრუნებას და გამარჯვების სიხარულის იქ შეგრძნებას, საიდანაც დაიწყო ასვლა? ეს იშვიათად ხდება, ალბათ, მხოლოდ გენიოსებთან, რომელთაც ასვლის დაწყების წერტილის და მწვერვალის სიმაღლე — ერთ დონეზე უდევთ. წარმოგიდგენიათ, დამწყები რუსთაველი რომ არსებობდეს?

*
შურნალმა „ივერიელმა“(2), 2006 წელს, ძალიან საინტერესო მასალა გამოაქვეყნა მამუკა სალუქვაძის არქივიდან. ეს გახლავთ ჰიპოთეზა, ივანე ჯავახიშვილის იმ კვლევის ერთგვარი გაგრძელებაც, რომელიც ღმერთის სახელისა და ელამიტური ღვთაების „ლაგამარის“ სახელთა იდენტურობის შესწავლას ეძღვნება. თუ ამ ჟურნალს მოიძიებთ, თავად დარწმუნდებით, რამდენად საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს მამუკა სალუქვაძე. ძალიან მინდა ამ დაკვირვების შესახებ ბევრმა იცოდეს და ამიტომ აქვე უმოკლეს მინიშნებას გავაკეთებ. ლაგამარის სიტყვის ნაწილი „გამარ“ შეიძლება შესდგებოდეს ორი ფუძისაგან „გა“ და „მარ“, რომელიც ქართული ენის ბევრ სიტყვაში გვხვდება ფუძისა თუ ასოთშეთანხმების სახით და ჰიპოთეზის ავტორის ვარაუდით, არის სწორედ ღმერთის უძველესი სახელი, რომელსაც მრავალი სიტყვა შეიცავს თავის ფუძეში: ჭეშმარიტება, სიმართლე, მარტობა, სიმარტოვე, მარჯვენა, მარჯვება, მარანი, სამარე, მარილი, მართალი, მარცვალი, მარხვა, მარჩიელობა, მარდუქობა, დამარცხება, სიზმარი, მარიხე, მარგილი, მარგვლა, მარმენიო, მარგალიტი, მარიოტა, მარიკელობა, მარადისობა, მარულა, მარსკვალა და სხვა. ამ ჰიპოთეზის კვლევა ალბათ შემდგომშიც გაგრძელდება, მაგრამ თუნდაც ამ სიტყვების საერთო ძირზე დაფიქრება და ამის გააზრება, ბევრ პოეტურ ფიქრს აღუძრავს ადამიანებსო — გაიფიქრე მეც, მარიამ-მა...

*
არა მგონია, ამაზე ზუსტად ქრისტიანობის და ზოგადად, ადამიანობის დვრიტა ვინმეს გამოეხატოს... ადამიანთაგანს, თორემ მახარებლები ბევრ რასმეს წერენ ქრისტესგან გაგონილს. „მგონია, მოწყალეობაც დაჩოქილებმა უნდა გავი-

ლოთ... ისევე, როგორც ვითხოვთ მის მიღებას... — ამას წერს მარინა ცვეტაევა... თუნდაც ამ სიტყვების გამო ჩემთვის პირადად მისი თვითმკვლელობის ფაქტი აღარ ნიშნავს არაქრისტიანულს...

* აბამ, ჩვენი ქართული და კერძოდ ფშაური დიალექტი ვნახით აბა, ორმარცვლიანი სიტყვა თუ გინდა ხუთიანად მოიხმარე, და წერე ლექსი და თქვი კაფია, სულ და გულო, ენა ისე მოგყვება, როგორც მეგრელს სასულგუნე ჭყინტი ყველი — „დავიარავე“ ანუ ვიუარეო, იტყვის ფშაველი. ეს მეგრული სულგუნე რამ გამახსენა? ალბათ იმან, რომ მეგრულზე ამბობენ, ნახევარი მარცვლის გამოყენების საშუალებას იძლევაო. ლექსის ენის თვისებაა, ეგეც...

* რატომღაც ამოიჩემებენ ხოლმე პოეტის ერთ რომელიმე ლექსს და ყველა გამოცემას იმას აბეჭდავენ ყდაზე ან სულ გამოდმებით იმეორებენ. ასე დაემართა ბესიკ ხარანაულის უსათაურო ლექსსაც — „ერთი ცრემლით მეტი ვარ თქვენზე“. არ დაიჯეროთ! ეგ ერთი ცრემლი მთელი ოკეანეა, მაგრამ ასე „შესაბრალოსად“ მიამიტობენ დიდები, ვითომ ბევრით არაფრით, მხოლოდ ერთ ცრემლით მეტი ვართო. იმას კი აღარ ამხელენ, ეს ცრემლი ტირილისაა თუ სიცილის, ძლიერებისა თუ უძლურების, სიყვარულის თუ სიმარტოვის, სიმწრის თუ სიხარულის, შვების თუ ტანჯვის... თუ, უბრალოდ ჩვენზე მეტი მტვერი უცვივიათ თვალში, რადგან სულ ღია აქვთ ის თვალეები, ძილშიც არ ხუჭავენ, არაფერი რჩებათ დაუნახავი და შეუმჩნეველი. დედამინის ზურგზე ნეტა თუ ვინმეს აქვს გამოკვლეული, განსხვავებული თუ არა სინამდვილეში შედგენილობით ბედნიერებისა და უბედურების ცრემლები? ისე კი, სულ მეჩვენება, რომ არ უნდა მიეუსაჯოთ ლექსებს ყდა. რაღაც ჯვარზე გაკრულივით გამოიყურებიან ამოჩემებული და საყდე ლექსები. ერკემალივით, ყოჩივითაც, არადა ნიგნებში რა სასწაულები არა ხდება, რა სტრიქონები არ შეგხვდება, რომელსაც „ყდის შარავანდედი“ არა, მაგრამ სინათლე კი სცვივა სტრიქონებიდან და თავსაც არასდროს გაიწყნებს.

* აბა, თუ გადავავლებთ თვალს, საქართველო მრავალრიცხოვნობით არც თუ ისე ხშირად გამოირჩეოდა, სულ თითზე ჩამოსათვლელნი ვიყავით ყოველთვის, „ოქროს ხანას“ არ ვგულისხმობ, მაგრამ დემოკრატიული პრობლემა ჩვენთან ყოველთვის იდგა. განსაკუთრებით ბოლო პერიოდებში. რა ინიციატივებით არ გამოიღონენ, რა კვლევები არ ქვეყნდებოდა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ქართველი გამრავლებისათვის თავის ქვეყანაში დიდად არ იწუხებს თავს: ჯერ ცხრათავიანი დევებისთვის ვაჩენდით, მერე სამშობლოსათვის, მერე 9 აპრილის შემდეგ, ახლა პატრიარქის ნათლულობის ხათრით, შემდეგ — საპატრიარქო ტახტის მცველობის ხათრით... ისე, უმიზეზოდ არ ვაჩენთ? ანუ ისე, უბრალოდ, სიხარულისთვის, შვილებისთვის, ოჯახისთვის, ანუ დაპირებისა და სატყუარების გარეშე?

* მოდის სიბერე — ცხოვრება უსიყვარულოდ, როგორც მგზავრობა — უბილეთოდ და რატომღაც, დამნაშავესავით, უხერხულობას ვგრძნობ.

* იყო შემოქმედი, ნიშნავს იყო ჭურჭელი თავისუფლების, სულ გსვამდნენ და სულ ივსებოდე...

* ჭურჭელში ნაკლულად დარჩენილი ღვინო ძმარდება, სავსე თვითონვე იწმინდება. ჩვენი სულებიც სულ სავსე რომ იყოს სიყვარულით...

* სულში მხოლოდ თვალებით ჩაიხედავ, თვალებით შეაღწევ, თვალებითვე გაიგებ. უცნაურია, ღმერთმანი, სული ხო უხორცოა, თვალეები კი გვამის ნაწილი, ნეტა რანაირად?

* დღის მოულოდნელად შემხვდა და ვნახე ქალი, რომელიც ამ ოციოდე წლის წინ მშვენიერი გოგონა, ასეთივე მშვენიერი ვაჟის შეყვარებული იყო. მათ მუდამ ოცნებისფერი შარში ებურათ და ძალიან შვენივრად ჩვენი უნივერსიტეტის ბაღს. მას მერე არცერთი არსად მინახავს. თუმცა ვიცოდი, რომ დაოჯახდნენ და ექვსი შვილიც ჰყავდათ. და აი, დღეს ქუჩაში, შემთხვევით დავინახე... თვალწინ დამიდგა ჩვენი თეთრი უნივერსიტეტი. შეყვარებული გოგონა სქელი ნაწნავით. მაშინ, იმ დროს, აღარვინ დადიოდა ნაწნავით. მაღალი ოდნავ მოხრილი გრძელი კანჭებით. მაშინ არც ასეთ უქუსლო ფეხსაცმელებს ატარებდნენ. ის კი სულ დაბლებზე, სადა მოკლე კაბით, გრძელი ნაწნავით, თამამად და არავის არ გავდა. ისეთი იყო, ისეთივე მშვენიერი, როგორც სიყვარულში მორჩილებია. არავისი ერიდებოდათ, არსად იმალებოდნენ და სულ მეგონა, რომ საბავშვო ბაღიდან მოჰყვებოდათ ეს სიყვარული და რომ არცერთს არასდროს სხვა არ ჰყვარებია. ალბათ, უბრალოდ ვერ წარმოედგინათ, რომ დედამინაზე, სადმე, ოდესმე სხვა ვაჟი ან სხვა ქალი არსებობდა. დავინახე და გავხევედი. თვალი ვერ მოვაშორე. მერე თანდათან ვიგრძენი, როგორ ჩამიღრმავდა სახეზე ყველა ნაოჭი, როგორ ჩამეფლო ამ ნაოჭებში ჯერ სიხარული, მერე სევდა. მგონი, ტერფებიც, რადგან ბიჯი ვერ წავდგი. როგორი მსუბუქი ნაბიჯები ჰქონია სიბერეს. მსუბუქი, ჩუმი, როგორც სიზმარს. დიდხანს ვუცქერდი ამ ქალის მომრგვალებულ მკერდსა და მუცელს, რომელშიც სიყვარულის ექვსი ხე ამოზრდილიყო, ექვსი ხე ხომ მთელი ბაღია. სამოთხის ბაღი... იმ სამოთხისა, რომელშიც ახერხებ დაბრუნებას და აღარასდროს ტოვებ მას. მისი თვალეები... ხომ აგინებდავთ ეკლესიის გუმბათში... ასეთი თვალეები ჰქონდა, მდუმარებითა და სიმშვიდით სავსე თვალეები. იმ გრძელი ნაწნავის ადგილზე მოკლე თეთრი თმის ღერები თეთრი ლექსებივით განოლილიყვნენ მის ეგებ დაღლილ მხრებზე და სადღაც სიღრმეში, სხეულის შიგნით და სულის შიგნითაც ვხედავდი, რომ იჯდა სიყვარულის ობობა ან სულაც სიყვარულის ანგელოზი, რომელსაც თავისი უძინარი მარდისობის ბადეში გაება უმშვენიერესი არსება. ეტყობოდა, რომ აქ კარგად გრძნობდა თავს სიყვარულის ანგელოზი, იჯდა მშვიდად, როგორც თავის კუთვნილ სამყოფელში და ამ ქალის სახე მიელო. ქალისა, რომელმაც უკვე ყველაფერი იცოდა სიცოცხლისა და სიყვარულის შესახებ. ყველაფერი და კიდევ უფრო მეტი. რომელიც მორჩილად ჩაჭიდებოდა მარჯვენა ხელის არათითით მამულ რგოლს და თავისი ნებით დაკიდებულიყო ცის თავანს, როგორც სიყვარულთან დადებული ზავის თეთრი ბაირალი. მას ცხოვრების ქარი და ზეცის მშვიდი სუნთქვა თანაბარი მშვენიერებით არხვედა, რათა მის ქვეშ შეფარებულსა და მის შემხედვარეს, ყველას მშვიდად ეგრძნო თავი...

მთელ ხალხს, მთელ ჩემ სამშობლოს, მთელ დედამინას...

* ჩემს უბანში ღვთისმშობლის დიდი ეკლესია კომუნისტებს აბანოდ ექციათ. ერთხელ, აღდგომას, შევარდნილა თურმე შიგ ერთი მორწმუნე, გვარად ურგაბაძე. საკურთხეველში, აბანოს ორთქლით თვალდანილული ანგელოზები, ნესტი ფრთებდამძიმებულები, როგორ უმალ გაბრწყინდებოდნენ, მამა გაბრეელი რომ დაიყვინებდა „ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგაო!“ შიშველი გასაპნული ხალხი, ხელისმიფარებასაც ვერ მოახერხებდა სარცხვინელზე, რადგან სარცხვინელი უფრო დიდი იყო, ვიდრე ქვეყანა! და ამ ხელს პირჯვარიც უნდა გადაესახა. ხელს კი პირჯვრის ხსოვნა და ჩვევა მეტი ექნებოდა, ვიდრე სიმიშვლის დაფარვისა. ყველას თუ არა, ერთი მაინც იქნებოდა იქ ასეთი.

* ყველაზე დიდ სიყვარულს პატარა გულში ჩაიტევ, ყველაზე დიდ სასახლესაც პატარა ჭვირში მორგებულ გასაღებით გააღებ. ყველაზე დიდ გზასაც პატარა ნაბიჯით გალევ, დიდ ცასაც პატარა ვარსკვლავებით შეიცნობ. დიდ საქმესაც პატარა ხელებით გააკეთებ, დიდ სიბრძნესაც პატარა სიტყვებით იტყვი, დიდ ლეგენდასაც პატარა სიცოცხლით შექმნი.

* აღამინანდ ყოფნის ბედნიერების განცდა ღმერთის სიხარულია...

* ნიბნი, რომელსაც კითხვისაგან, სიძველისაგან აღარც ყდა აქვს, არც ტიტული, არც თავფურცელი... ასეთია ცხოვრება. ასეთია ჩემი ქვეყანაც...

* კიდეც კარგი ადამიანების გულისძგერა ხმამალა არ ისმის მანქანების ძრავათა ხმასავით. კიდევ კარგი, ბევრი რამის ხმა არ ისმის ქვეყნად: არც სისხლის მოძრაობისა, არც ფიქრებისა, არც ელექტრონების ტრიალის ხმა ატომგულთა გარშემო, არც ფოთლებისა და ფესვების ზრდის ხმა, არც თოვლის დნობისა, და არც პლანეტების ქროლვისა... ღმერთო, რამდენი ხმაურისაგან დაგვინდე... და რა საოცარი ხმით აავსე განთიადები, როცა ჩიტები სტვენენ, გალობენ და მათ ჭიკჭიკში ანგელოზთა ფრთების ხმებიც გინდა ჩამალო... დედამინავ, შენ რომ ტრიალებ მხარზე ჩიტვით დასკუპული მზით ამოდიხარ ბნელის აღმართებს, მხოლოდ მაშინ მალვობებს ხოლმე ბედნიერების უცნაურად მჟღერი ფაჩუნი...

* თავის უფლებების ბორკილი თუ ბორკილი, ურომლისოდაც თავისუფალი ვერ იქნები. იქნებ, თავისუფლება, რომლის

ბორკილსაც სიამოვნებით იდებ ხელეზე. ან სულაც ბორკილი რომელზეც გადის ზღვარი მონობასა და თავისუფლებას შორის, ანდა უზენაესი თავისუფლება და უზენაესი მონობა, ანდა უნართა უნარი და უუნარობათა უნარი და ა. შ. ათასი რამ შეიძლება უწოდო ფულს.

* შიშველი რუკა შეადაროთ ადამიანს? რუკას ხომ ძალიან ჰგავს გენიოსი, უბრალოდ ნიჭიერი შემოქმედიც კი, ჰგავს და რითი? რუკაზე მასშტაბით ხომ ეტევა დიდი, უსამანო ფართობები, ოკეანეები, კონტინენტები... გენიოსის სული და გონება კი ასეთივე უსამანო დროისა და სივრცის „ფართობებს“ იტევს თავისი მასშტაბური აზროვნებით...

* „პურის მოთხრობას“ რომ დანერს მწერალი, შეუძლია აღარაფერი დანეროს, მაგრამ... სიტყვიერებაც რომ პურივითაა და სულ უნდა აცხოს მწერალმა საზიარებელი სეფისკვერი?!

* ვერლიბრი უშრომელი შემოსავალიაო, ოთარ მამფორიას უთქვამს ერთხელ... რას არ იტყვის ენა... მაგრამ ცილი და ასეთი? და პოეტისგან? ნათქვამია „თვალე ქამს და თვალი სვამსო“ ანუ რა გამოდის? პოეზიას „ყური სვამს და ყური ქამს“ მარტო? შიგნით? შიგნით? შიგნით აღარაფერი?

* „ნიძარა“ ზღაპართა ზღაპარი... ალბათ ახლა ცოტა ვინმესდა ახსოვს, რომ არსებობდა დრო, როცა ზღაპარი სულაც არ იყო საბავშვო ჟანრი, და მისი მოყოლა ზოგიერთ ოჯახსა და გვარს ბეგარადაც ედო. იყვნენ ამ კატეგორიის გლეხებიც, რომლებიც ზღაპრების მოყოლის გარდა სხვა არაფრით იბეგრებოდნენ და ეს მათ საგვარეულო გადასახადადაც იქცეოდა ხოლმე... ისეთი დროც იყო, როცა ზღაპარს ნებისმიერ დროს ვერ იტყოდი, რადგან წყველაც კი არსებობდა და შიში ჰქონდათ, რომ ამ წყველის გამო ზღაპრის დღისით მომყოლნი კბილებ- და თმებგაცვივულნი აღმოჩნდებოდნენ... და როცა თედო რაზიკაშვილმა თავისი კარგი დედისაგან „ნიქარა“ მოისმინა და ჩაიწერა, მას მერე ავერ საუკუნეზე მეტია გასული... და რა დიდი არის ხალხის სულიერი აზროვნების ძალა, რომელიც ასეთ ორ სალამურს გამოთლის: ერთს სევდისას, მეორეს — სიხარულისას, თითქოს ერთსადამიანზე არ შეიძლებოდეს სხვადასხვანაირი მელოდის შესრულება... გათლის და პატარა ბიჭს დააჭერინებს ხელში წყვილად...

* მიხა ხელაშვილი — ადამიანი, რომლის ქარიზმატულმა ბედისწერამ შექმნა გამორი დის, ანტიგონეს ქართული შესატყვისი... მიხას დის, პელაგიას სახე — ჯერ დაუნერელი ნაწარმოების პერსონაჟის სახე... ქალთა გალერეა დაიმშვენებს პელაგიას, მღვდლის ცოლის და მიხას ერთგული დის სახედ...

* ერთი აღმოსავლური ლეგენდის თანახმად, ბუ სანამ თვალეებს არ გამოჭამს მშობლებს, ფრენას ვერ სწავლობს. რაა ეს: გაცილების გაზიარებისა და მიღების აქტის გამოვლენა? ახალგაზრდული სისასტიკისა და დაუნდობლობის დასტური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად? თაობათა ცვლის კანონზომიერება? თუ კიდევ სხვა რამ, რომლის სახელდება გვიჭირს ქართველებს, ასე რომ ვეფერებით შვილებს: გენაცვალე, ჩემო თვალის ჩინო, შემოგველე, შენი ჭირი მე... ეგებ საარსებო ძალა და უნარია ბუსთვის თვალეები და ეს აქტი სხვა არაფერია, თუ არა მგლური კანონების მოქმედება არსებობისათვის და თავის გადასარჩენად? კიდევ კარგი, გვიყვარს ერთმანეთი...



ლია ლიქოკელი

სულის სახელი

სახელს რომ მარქმევდნენ, ბებიაჩემის სულმა გაიგო და მოვიდა.

ჩემი ბებიის ბებია იყო, თუ კიდევ უფრო დიდი ბებია. მოვიდა და ყვითელი ბინდი მოიყოლა, ჯოხი კედელს მიაყუდა, ზღურბლზე ჩამოჯდა და ყალიონი გააბოლა. ლურჯად უჩანდა ნახშირით მოხატული ფრჩხილები. თვალზე ფათალოს ფოთლები ეფარა, ყელზე ურძნის მძივი ეკიდა, ყურებზე — გიშრისთვლიანი სპილენძის მთვარეები და გულის თავზე თავისი სამუდამო ლამის სანათად ჭრელი გველის კვერცხი ცეცხლივით უცემდა.

დაჯდა და მიმღერა. მისი სიტყვები თამბაქოს მწარე, მწვანე კვამლის ბოლქვებივით ატივტივდნენ ჩემი აკენის გარშემო. მღეროდა და მის ფეხებთან სამხრეთის ქარი ბალანაშლილი ძაღლივით იჯდა, ხელში საქსოვივით ეჭირა ქვეყანა და სიმღერის ფერადი ძაფით ერთად აქსოვდა მკვდრებსა და ცოცხლებს. ერთ ღამეში ათასი წლის ამბავი მიაგმო. მერე, როცა თენების ცისპირის ჭრელი ძროხები მზის წყაროზე ჩამწკრივდნენ,

ადგა, ცხვირზე კეხი წამოიზარდა, ზურგზე კუზივით შემოისვა თავისი კოჭლი ჩრდილი, ყალიონი ჯერ გაუხეღელ თვალზე დამაფერთხა და თავისი სახელი ვერცხლის ქინძისთავივით გამირჭო ბეჭისთავზე. მერე კედელზე მიყუდებული ჯოხი აიღო და ნავიდა. მიდიოდა და მის ნაფეხურებში სოკოსავით ამოსული გაზაფხული სწრაფად ბერდებოდა და მწიფე შემოდგომას ისხამდა. თენდებოდა და სანამ მისი ლანდი ღამის კუდივით გადაეკიდა ცის კედელს, შვიდჯერ შეიცვალა ცამ ფერი. ნავიდა. სქელი, გვიმრის სუნით შედედებული ჰაერი დატოვა და დილის ყურებში გაყრილი ჩემი ნემსივით წვეტიანი ტირილი.

მაგრამ აღარავის ახსოვდა, ჩემი ბებიის ბებია იყო თუ კიდევ უფრო დიდი ბებია, აღარავის ახსოვდა მისი სახელი. ადგნენ, აიღეს დედაჩემის ფოტოალბომში ჩამჭკნარ ყვავილს შერჩენილი ბგერების ფერფლი და დამარქვეს.

დამარქვეს და ისე დამაქვეს, როგორც ყალბი, მყვირალა სამკაული, ღამლამობით გასანთლული ყულფივით მიჭერს. ყელს ვიკანრავ ხოლმე ბებიაჩემის ფრჩხილებით. ჭიანჭველები დღესაც ჭამენ მისი ჯოხის კვალს, როგორც ჭრილობას ჩემი გამხდარი სახლის კედელზე. ყოველ დილას, სანამ მზე ბოლომდე ამოზობდებდა, შვიდჯერ იცვლის ფერს ჩემი თმა. ყოველ გაზაფხულზე ვბერდები და შემოდგომაზე გაზაფხულის ჩუტყვავილა მიყვავის. თვალებს ვახელ და ბრმა ვარ, ვხუჭავ და — ვარსკვლავთმხედველი. ერთ ღამეში ათას წელს ვცხოვრობ. ერთმანეთში მერევიან მკვდრები და ცოცხლები. უჩინმარინი გველის ტყავის პერანგებს ვიცვამ და ჩემს შიშველ მხრებს არავის ვაჩვენებ.

არავის ვაჩვენებ, არავინ იცის ჩემი საიდუმლო სახელი. ჩემი შვილიშვილის შვილიშვილისთვის ვინახავ.

მაზოხალი

ჩემი მარტოხელა მეზობელი მესტუმრა. სახლია. შამბიან ბილიკს გამოყვა შებინდების ლურჯ ხელებზე ფანჯრებჩაჭიდებული. ბნელში გაფინა გახუნებული, ნესტიანი ეზო, შემოიკეცა უშნოდ დაწელილი, ჩარღვეულ-ჩანყვეტილი ღობე, დარაბებიდან ღამურები ჩამოიფერთხა და ცეცხლს მიუფიცხა შეციებული კიბის კანკალა საფეხურები. უკბილო პირივით მომიშვირა მოფრიალებული კარი, ჩუმი ჭრიალით მომიკითხა. ჩამოჯდა. მარტოხელაა. ღამლამობით მესმის, როგორ დადის ოთახიდან ოთახში და ცარიელ კედლებს შერჩენილ ცარიელ ლურსმნებს ტირის, ფოთლებივით რომ დასცივდათ დაყვითლებული ფოტოები მკვდრების დავინყების შემოდგომაზე.

დავსხედით, უძილობის ეშვებით დაღრღნილი ღამე-ფარდაგი დავიფინეთ, ტირილგამძლე და ხმაგაუმტარ ჭიქებში ჩამოვისხით მწკლარტე, დაუმნიფებლად დანურული უმთვარო ცა, პეპლის ფრთებივით ვასავსავეთ მხრები და კედლები, გადავხვიეთ, ჩრდილი ჩრდილზე გადავიკვანძეთ, ასი ზამთარი ამოვიყმუველეთ.

სახლი თენებისთვის თეთრდება, მე თანდათან ვთვრები და ჩემი თვალები მშვიერი იმედის კლანჭებით ებლაუჭებიან მინას, როგორც მიტოვებული სახლები და როგორც სახლებისგან მიტოვებული ადამიანები.

სახლი მიდის, ეზოს კარს ზურგთან მიიჭრიალებს, შავი თავსაფარივით მიაფრიალებს ჟანგიან სახურავს. ასე დადიან უმიცვალეზულო ჭირისუფლები, ვფიქრობ. მლიღშესეული მოაჯირებივით მიიქნევენ მკლავებს. მე ჩემს ხელებს ვეძებ, მინიდან ვკრეფ და სახეზე ვიფარებ, მაგრამ მაინც მიჩანს ჩაშლილ საკვამურად მოქცეულ პირზე ძველი საღებავივით აქერცილი ღიმილი, თითები რიკულებივით მცვივა — აღარაფერი დამრჩა მოსაგროვებელი და ხელებში მოსაქცევი.

სახლი მიდის და პატრონმკვდარი ძაღლივით წკმუტუნებს, ქეები კედლებიდან კბილებივით სცვივა. ღობის ნაკვეცთან იკრუნჩხება, აყვავებული ჭინჭრის საბანს ნაიფარებს

და საძირკველში ჩამხობილი თავნანყვეტილ ჩრდილებს ახველებს.

ვუსმენ და კვნესით გადავდივარ საფეთქლიდან საფეთქელში, ხმელ წამნამებს თვალიდან თვალში გადავიჭრიალებ და ჩემი გულის ცარიელ კედლებზე დარჩენილ ღრმულებს ცივი ორთქლის ცრემლებით ვტირი — აღარაფერი დამრჩა დასავინყველები მომავალი შემოდგომისთვის.

ნასკლა

დიდი ხანია, ვიცი, რომ მიდის. დიდი ხანია, ველოდები. აი, გათენდა. და გაბედა. ფეხაკრეფით დადის ოთახში, დაბნეულ საგნებს თავისთან ჩუმად ეპატიჟება. ცდილობს, არ გამაღვიძოს, ისე ჩაიდოს ჯიბეში ჩემი სანოლი. ჩურჩულებენ ჩემი ნივთები: როგორც იქნა, როგორც იქნა. ყავარჯნებს იმარჯვებენ უფეხო სკამები: მივდივართ, მივდივართ. ფუთფუთებენ ჩემი მშვიერი ამბები და ფიქრობენ, რომ ახლა მაინც გაივსებენ ცარიელ მუცლებს. რაღას ვიზამ. ვდგები და ვეხმარები. ტანსაცმელს ვულაგებ. უთოსაც ჩავდებ. კარადასაც. ჩავუნყოფ ჭურჭელს. ხვეწნით ჩამომყავს ზედა თაროდან გაბუტული ქვაბები. ჩავუნყოფ ფოთლებს, კედლებმა რომ გამოისხეს მოწყენილობისას.



ლადო კილასონია
სირინოზები

„თავისი სიმღერით იტყუებენ ისინი მეზღვაურებს და შემდეგ დაუნდობლად ხოცავენ მათ“.
ოდიესის მიმართვა საკუთარი ეკიპაჟისადმი, ბერძნული მითები, „ოდიესა“.

ტიქსუნი ლამაზი მდინარეა, ერთნაირად მშვიდად მოედინება ვიწრო, თეთრ, კლდოვან ნაპირებს, გაშლილ, ფართო ველებსა თუ დაბურული, მწვანე ხეებით დაფარულ გორაკებს შორის. ამბობენ, მართო დასაწყისში, იმ კლდის პატარა ნაპირიდან გადმოსჩქეფს ჩქარაო, რომელიც არასოდეს მინახავს, მაგრამ აუცილებლად ვნახავ, თორემ ისე მშვიდია და ჩუმი, მართო ერთ-ორ ადგილას ააჩქარებს დინებას, მერე შეანელებს, ხანმოკლე კლდეებს დაუჯახება, დატრიალდება, პატარა მორევს გააჩენს და ისევ მშვიდად გააგრძელებს გზას.

ხო ეგეთი პატარა და მშვიდია, მაგრამ ხუმრობა არ უყვარს, ცოდვიანი მდინარეა, წელი არ გავა, ვინმე არ დაახრჩოს, ჩამოატარებს ხოლმე მიცვალებულს და რომელიმე კლდესთან მიაყუდებს. ამღვრული — ქვიშისფერია, სუფთა და კა-ეკამა კი შამპანურის ბოთლზე უფრო მწვანე. ყველაზე კარგი, და რაც მთავარია, ადვილად მისაღწევია საბანაო ადგილი კი ჩემი სახლის წინ, ძველი ხიდის (რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში გაუღიდა მალაი კლდეების თავზე) ქვეშაა, იქ სადაც მდინარის ტოტი უეცრად ფართოვდება, სვლას ანელებს და მოზრდილ აუზს ქმნის, ორი ნაპირით, თეთრქვიანით და ქვიშანარევით. თეთრქვიანს ხიდის აქეთ მცხოვრებნი აქეთას ვეძახებ, ქვიშანარევს — მეორეს. იქით მცხოვრებნი კი პირიქით.

ყველაფერი, ანუ ჩვენი სოფლის საზაფხულო თავგადასავალი აქედან, ამ ორი ნაპირიდან იწყება და უმეტეს შემთხვევაში აქვე მთავრდება. აქ ჩხუბობენ, აქვე რიგდებიან და აქვე სვამენ (უფრო სწორედ იმიტომ ჩხუბობენ, რომ სვამენ და იმიტომ რიგდებიან, რომ დალიონ), აქ უყვარდებათ, აქ მღერავენ, აქ კოცნიან, ხტებიან სწორედ იმ ძველი ხიდიდან და აქ იმურებიან ჭიკოკონობაზე მანქანის საბურავებისგან დანთებული კოცონის შავი, მხრწოლაფი ბოლით. მოკლედ ჩემს სოფელში ყველა გზა ტყურისკენ მიდის.

ის ამბავი კი, რომელიც მინდა მოგიყვებო, ივლისში იწყება, ახალი ჩასული ვარ და ვსხედვართ აქეთური ბიჭები აქეთ ნაპირას, ბრონეულის ხის ქვეშ და ჯოკერს ვთამაშობთ, როდესაც მეორე ნაპირზე ოთხი გოგო ჩამოვიდა, ორი შავთმიანი და ორიც ჩალისფერი, მალალი, გამხდარი გოგოები არიან, მხიარულად მოკუსკუსებენ ნაპირზე და იცინიან.

— მათ, აი, მოვიდა შენი ტურფა, — ხელი გაიშვირა იკამ მეორე ნაპირისაკენ და ჩემს ტურფოზირს, წითელ ტოგაში გამოწყობილი და ხელში არფამომარჯვებული, შავწვეროსანი ჯოკერი გადაარტყა, რითაც ეგრევე ცელი გამომისვა და მინუს ხუთასში გამოიშვა.

მათ ჩვენი ბავშობის ძმაცაცია და ეს მეტსახელი მე შევარქვი, იმიტომ რომ თავისი წვრილი თვალებით, ნვეტიანი ცხვირით, თხელი, გამხდარი სახით და ტანით ძალიან გავს „ირმებზე მონადირის“ ვიეტნამელ ჯალათს, დენიროს რომ ურტყამს სილებს სახეში, ბარანინა პისტოლეტს ანედის და ხმაბლდა უყვირს — მათ!

მეორე ნაპირს გავხედე, გოგოებმა ჩანთებიდან პირსახოცები ამოალაგეს, გაშალეს, ჯერ წყალში ჩაიდინენ, გაცურ-გამოცურეს, მერე ისევ ნაპირზე ავიდნენ, მზეზე გაწვინენ, ჩალისფერთმიანებმა თვალები დახუჭეს და თავები უკან გადააგდეს, მიეფიცხენ, შავთმიანებმა კი წიგნები ამოიღეს და კითხვა დაიწყეს.

— რომელი გვეასება? — ვკითხე მათს.
— აი, ის, — ხელი გაიშვირა მათ ერთ-ერთი შავთმიანისკენ.
— და იცნობ?

მათ თავი გააქნია, არაო.
ამასობაში იკამ თეთრწვერა, კეთილ სახიანი კაროლ კოზირით წამართვა ვალეტი, ისევ წითელტოგიანი ჯოკერი გააჩინა, ვიში კოზირით გამომაჯალა დამა და მეორე მინუსხუთასიან გზას გამიყენა.

— ნავაგე, — ვითქვი და ფეხზე წამოვდექი.
— ნამო, გადავიდეთ, — მითხრა მათ, წყალში შევედით, გადავცურეთ და შავთმიანების მახლობლად დავსხედით.
— რამე პოვოდი გვინდა, რო გამოველ-

პარაკოთ, — და მე და მათ ვითომ ფეხბურთზე დაიწყეთ ლაპარაკი, თან ყური სულ გოგოებისკენ გვექონდა მიქცეული და საბაბმაც არ დააყოვნა.

ერთ-ერთმა შავთმიანმა, რომელსაც ოდნავ უფრო გრძელი და კეხიანი ცხვირი ჰქონდა, წიგნი მინაზე დადო, ჩალისფერთმიანებს ჰკითხა, მემეს შეყვარებულს რა ერქვაო და სწორედ აქ ჩავერთე მე, ჩემი ვითომ სრულიად მშვიდი, ოდნავ დაღლილი ხმით ვუთხარი მათურისიო ვავილონია-თქო და ლაპარაკიც წავიდა, დაიძრა მატარებელივით.

მათ „სატროს“ ეკა ერქვა, კეხიანცხვირიანს მაგდა, ჩალისფერთმიანებიდან უფროსს ნუცა, უმცროსს — სალომე.

ოთხივეს წვრილი, ნაზი ხმა ჰქონდა, მხიარულები და უშუალოები იყვნენ და ამიტომ მაგრა ავეწვევთ. ყოველ დღე ერთად ვისხედით მეორე ნაპირზე, აქეთ არ გადმოდოდნენ, იქითური გოგოები იყვნენ, თანაც კარგად მოშორებით, სოფლის ბოლოში ცხოვრობდნენ, მაგრამ როგორცაა ყოველთვის ჩვენზე ადრე ასწრებდნენ მდინარეზე ჩამოსვლას.

ეკა შურნალისტიკაზე სწავლობდა და ეგრევე აქუბარდია დავარქვით, სალომე სამედიცინოზე, სტომატოლოგი უნდა გავხდეთ, მაგდა ტურიზმზე, ნუცა კი გათხროვილი იყო და დიასახლისობაზე.

ძალიან მიამიტო და კეთილი გოგოები იყვნენ, ყველაფერი დააჯერდები, მეც მეტი რაღა მინდოდა, ისეთ და იმდენ რამეს ვიგონებდი, რომ ბოლოს მე თვითონვე ვიხლართებოდი საკუთარ ტყუილებში, მაგალითად დავაჯერე, რომ ცოლად ბოზანდარა გოგოს შერთვა მინდოდა, რომ მათს მამას, რომელიც აქეთ ნაპირზე, თბილ თეთრ ქვეზე ნამოგორებული ხუხავდა არაყს, კიბო ჰქონდა და ბოლო დღეებს ითვლიდა, რომ შემემლო ყავაზე მკითხაობა და ასე დაუსრულებლად.

— აუუუუუ, შენ მგონი სულ გვატყუებ, — როგორც იქნა მითხრა სალომემ.

— ისე იძახი, თითქოს არასოდეს მოგიტყუებია, — გამეცინა მე.

— არასოდეს, — მიპასუხა ისეთი სახით რომ ეგრევე მივხვდი, სიმართლეს ამბობდა.

— როგორ? — გამიკვირდა.

— ააარ გამომდის, — ნაზი, საწყალი ხმით გააგრძელა სალომემ, — ვნითლდები და ენა მებმევა...

— მართლა? — მივბრუნდი ნუცას.

— კი, ეგრეა, — გაეცინა იმასაც.

— აი, არასოდეს ყოფილა რომ მშობლები მოგიტყუებია... ნუ, ისე, წასვლა რო გინდოდა სადღაც და არ გიშვებდნენ? — არ ვინურავდი იმედს, აბა, მარტო მე ხო არ ვიქნები ეგეთი აფერისტი.

მაგრამ პასუხმა საერთოდ გამაგიჟა.

— დედიკოს და მამიკოს არაფერს ვუმალავე, — ისევ იმ ნაზი, რბილი ხმით მიპასუხა სალომემ.

გოგოები სიცილით დაეთანხმნენ. დაახლოებით ათი დღე გრძელდებოდა ასე, ისინი მეორე ნაპირზე ჩამოდოდნენ, ჩვენ გადავცურავდით, მივუჯდებოდით და ხან კარტს ვთამაშობდით, ხან კიდევ ათას სისულელეზე ვლაპარაკობდით, უფრო სწორედ ორივე ერთად ვაკეთებდით, მაგრამ ამის იქით მათს საქმე წინ ვერ მიდიოდა.

ერთი საღამო და აქეთურმა ბიჭებმა ფეხბურთი ვითამაშეთ ლუდზე, მოვიგეთ და მდინარის მახლობლად, ჭალაში ნელ-ნელა ვწრუპავდით, რომ თავზე, მწვანე ადიდასის შორტებში და ხაკისფერ მაისურში გამონყობილი მათ წამდავა.

— გოგოებმა დარეკეს, დღეს მაგდას დაბადების დღეა და ჩვენთან მოდით სახლშიო.

— კაი, ზნაჩიტ უნდა გამოვიცვალო, მაგრამ საჩუქარი რა მივიტანოთ, ცოტა ადრე მაინც დაერეკათ.

— ვიყიდი გზაში რამეს, — დამამშვიდა მათ.

— რას, შამპანურს და ბანბანერკას? სოფლის მალაზიაში სხვა რა უნდა იყოს? — ვუპასუხე, ორივეს გაგვეცინა, ბიჭებს ბოდიში მოვუხადე გასაქცევი ვარ-მეთქი და სახლში ავედი (ალმართხეა).

— გოგოებთან მივდივარ დაბადების დღეზე და მიშველეთ, — ვუთხარი დედას და ჩემს მამიდაშვილ ეკას.

— კაი დროსია, ცოტა ადრე მაინც გეთქვა, მამა ქალაქში იყო და რაღაცას დაეპარებდით, — თქვა დედამ.

— ეხლა გავივო მეც, — გავიმართლე თავი.
— გენადას რე ვთხოვოთ თავისი ბალიდან ვარდები ან რამე კარგი ყვავილები მოგვცეს?

— ვინ გენადას? — გაეცინა დედას, — ეგ ისეთი უმოტია, რო დააცემინებ, მამი-



ნაც არ გეუბნება არაფერს.

— როგორი გოგოები არიან? — მკითხა ეკამ, რომელიც გამორჩეულად დაფიქრებულია მთელს ჩვენს გიჟმაჟ სანათესაოში.

— როგორ, როგორი? — გამიკვირდა მე.

— ანუ როგორი ტიპები არიან, სერიოზულები...

— შენც იცი, აი, ის ოთხნი რო ჩამოდიან მეორე ნაპირზე, ნაზი და მოციხარნი ტიპები არიან...

— ანუ სათამაშო რო აჩუქო, ნავა ხო? — მკითხა ეკამ და მე ახლალა მივხვდი მის ჩანაფიქრს.

— კი, კი, — ვუპასუხე და გამიხარდა.

— მაშინ ნატუკას რომელიმე დათუნია წაუღე, — ნატუკა ეკას ექვსი წლის შვილია, რომელსაც ძალიან უყვარს სათამაშოები.

ერთად ავარჩიეთ, დიდი ვარდისფერი ბეჭემოტი, მამაჩემის დანგრეულ სუპუკის მოვახტი და მათს გავუარე.

— ვააა, ეს რეები გიჩალიჩია? — გაუკვირდა, თან გავხარდა და წავედით. სახლი მათ იცოდა.

ოც წუთში გოგოებთან ვიყავით. ლამაზი ეზო ჰქონდათ, ისევე როგორც ყველას სამეგრელოში, მწვანე, ხასხასა მოლი, დიდი მსხლის ხე, ორსართულიანი ქვის სახლი, რომლის გვერდზეც უბრალო ხის ოდა ატუბულიყო.

მივედით, მივულოცეთ, სუფრაზე დავსხედით, საქმელი გორებდა იდო მაგიდაზე.

სალომემ დედამისი და მამამისი გავაცანო.

— დედიკო, ეს ის ბიჭები არიან, რო გიყვებოდით, — თქვა თავისი ნაზი, ოდნავ საწყალი ხმით და მე მაგრად შემრცხვა იმიტომ, რომ ქალის სახის გამომეტყველებაზე მივხვდი, სალომემ მთელი სიმართლე მოუყვა ჩემზე.

თამადა სალომეს მამა იყო, დიდი შავილვაშებიანი კაცი, ღვინო მეგრული, ტკბილი და შემპარავი. სმით აბსოლუტურად ყველა სვამდა. ვიცინოდით, ვლაპარაკობდით და ყველაფერი კარგად მიდიოდა სანამ...

— მამიკო, ეხლა მე მინდა ერთი სადღეობელი ვთქვა, ოღონდ ჭიქით არა და ხო შეიძლება? — თავისი განუმეორებელი ნაზი ხმით იკითხა სალომემ, საყვარლად გავიცინა, შემინული კარადიდან ჭინჭილა გადმოიღო, პირამდე აავსო და გააგრძელა, — ერთ ყველაზე ლამაზ პლანეტაზე, არის ყველაზე ლამაზი ქვეყანა, ამ ყველაზე ლამაზი ქვეყანაში ერთი ყველაზე ლამაზი ქალაქია, იმ ქალაქის ყველაზე ლამაზ სახლში კი ცხოვრობს ყველაზე ლამაზი დედიკო, დედიკო გავიმარჯოს! — ამ სიტყვებზე სულმოუთქმელად გამოცალა ჭინჭილა და მაგდას გადაანოდა, თამადამ და დანარჩენმა სამმა გოგომაც სალომეს მიბაძეს და ჯერი ჩემზე და მათზე მოდგა.

ძლივს-ძლივს მთელ დავალით ეს საშინელი სასმისი (ვისაც ჭინჭილა დაუღვია და იცის მისი წვრილი თავის და ყლუპყლუპობით წამოსული ღვინის ამბავი, მიხვდება, რასაც ვამბობ).

დამართყა ღვინომ, მაგრამ მაინც ყოჩალად ვიყავი, სამი სადღეობელი მოვიტოვეთ უკან, რომ ახლა მაგდამ აიღო ჭინჭილა ხელში, სიყვარულის სადღეობელი დალია, ბოლომდე გამოცალა და ნუცას გადაანოდა, ყველამ დალია, სამ სადღეობელი ეკას ჯერი დადგა და იმანაც იგივე გააკეთა და ამის მერე წავიდა და წავიდა ჭინჭილა ჭინჭილაზე.

ხვდები, რომ მაგრად დამერხა, ენა

ამერია, ასოებს ვყლაპავ და თან ხუთკაციანი სუფრა უკვე ათკაციანად მეჩვენება. მათს გავხედე, ისიც ეგრეა, ეს ალქაჯები კიდევ არ ჩერდებიან, სიმთვრალის ხო არაფერი ეტყობათ, ისევ ისე ძველებურად კისკისებენ თავისი ნაზი ხმებით და ისევ ჭინჭილაზე იქაჩებიან.

— დროზე მოვუსვათ აქედან, თორემ უეჭველი დაგვხოცავენ, — როგორცაა ვინევი მათსაკენ და ყურში ვეუბნები.

— მაგრამ მიყვარხარ, ხო იცი, შენ ძმობას ვფიცავარ! — მეუბნება ის.

და ამ დროს სუფრასთან სალომეს დედა ჩნდება.

— დედიკო, შენც გვითხარი რა ერთი სადღეობელი, — სალომეს საწყალი ხმა ავად ჩამემსმის ყურში, გამოსახულება მაგრად ტივტივებს.

— კარგი, შვილო, — ამბობს ქალი და როდესაც პირამდე ავსებს ჭინჭილას და ლაპარაკს იწყებს, ვხვდები, რომ მახეში გავებით და აქედან ჩვენი ველარ გავალწევთ, ამიტომ მათს სუფრასთან ვტოვებ, ფეხზე ვდგები, ეზოში გავდივარ და თან ჩემს დამჯდარ მობილურს ვიდეტ ყურზე, ვითომ ვრეკავ.

ბოლო, რაც მახსოვს იმ ღამიდან, ჩემს გვერდზე (სუფრასთან დაბრუნება მაინც მომიწია) გაჩენილი მელოტი კაცია, რომელიც სადღეობელი ამბობს და თან ერთი ათჯერ მაინც მკოცნის, გულში მიკრავს, გოგოები ისევ კისკისებენ, მათს კი სუფრაზე ძინავს.

გამოღვიძებით სახლში, საკუთარ ლოგინში გამომეღვიძა, თავი ისე მქონდა დამძიმებული, თითქოს ლოდი გამომაბეს ზელო.

— რა გჭირდა გუშინ, შე საცოდავო? — მითხრა ონკანთან წყლის დასალევად გასულს ჩემმა მამიდაშვილმა ეკამ.

— აქ როგორ მოვხვდი? — ვკითხე გაკვირვებულმა.

— შენით მოხვედი, ოღონდ როგორ, აი, ეგ კი არც მე ვიცი, ახალგაზრდა ბიჭი, გოგოებთან სტუმრად წასული, ესე შეიძლება დათვრე, რას იფიქრებდნენ შენზე? ვინ დაგალეგინა ამდენი.

— იმათ.

— ვინ იმათ?

— გოგოებმა.

— მოიცა ერთი, რას მამიმუნობ, გახსოვს მე რომ მეუბნებოდი, ვინ ხარო?

— არა.

— ის თუ გახსოვს, შენი საყვარელი დანის სროლა რომ დაუნყე კაკლის ხეს ზედ შეაღწე და ბასეინის გაკეთებას რომ აპირებდი მომავალში ჩვენს ეზოში.

— რაა, ჩემი დანა გავაფუჭე?!

— ჩამო, ცოტა ჭამე და მერე მდინარეში ჩადი, გიშველის, — თქვა ეკამ და წავიდა.

მართლაც ნახევარ საათში წყალში ვიყავი, სივრცელ ძალიან მსიამოვნებდა, უძრავად ვინევი, მაგრამ საკმარისი იყო ოდნავ მაინც შევრხეულიყავი, რომ თავი ახლადხელწამოკრული გიტარის სიმითვით მინყებდა ბზილს.

ცოტა ხანში ბიჭებიც გამოჩნდნენ და ჩემს დანახვებზე ისეთი ხარხარი ატყვენ, მივხვდი, ყველაფერი იცოდნენ. წყლიდან ამოვკვერი და ბრონეულის ხის ჩრდილქვეშ მივუჯექი თავდახრილ მათს.

— ჰა, ლომებო, როგორ ხართ? გავიგე დაახრჩვეს ის ხალხი ღვინოშიო! — ბობოქრობდა ეკა.

— მგონი, ვკვდები, — თქვა მათ.

— მაგას ჯობია, მოუყევ რა დაგემართა.

— რა? — ვიკითხე მე.

— რა და, დილას რო გავიღვიძე, მდინარის პირას ვინევი, ჩემი მწვანე ადიდასის შორტი ხო გახსოვს? — დაიწყო მათ, — ტრაკზე ორად მქონდა გახეული და მაგრად მტკიოდა ტრაკი, გული გამისკდა კინალამ, მეთქი ისარგებლა ვილაცამ ჩემი ასეთი სიმთვრალით და მიხმარა... თურმე ამ ჩათლახების გაჩალიჩებული არაა ყველაფერი... მე არაფერი არ მახსოვს, მარა სახლში რო მივსულვარ, ისეთი მთვრალი ვყოფილვარ, რო ფეხზე ძლივს ვიდექი და დამიჩემებია, მდინარეზე უნდა წავიდე-მეთქი და ამათაც წამომიყვანეს, ბუჩქებთან ფეხი დამისხლტა, წაიქციე, შორტი გამეხა და ტრაკი ქვას დავარტყი, ამათ კიდევ ნაპირზე დამანეინეს, თვითონ ჯერ კარგად იბანავს და მერე ბუჩქებში დამალულები მელოდებოდნენ...

— უნდა გენახა რა, — სიცილისგან ცრემლები სდიოდა ეკას, — თემოდ ცხვირში ბალახი რომ შეუღლიტინა, გამოღვიძებულს როგორი სახე ქონდა, ტრაკზე რო მოისვა ხელი და ჩუმად გაიპარა სახლისკენ.

ბიჭები ხარხარებდნენ, მეც და მათსაც

გვეცინებოდა, როდესაც მეორე ნაპირზე გოგონები ჩამოვიდნენ და ხელი დაგვიქნეს.

— გადაცურავ? — მკითხა მამო.
— მოდი, ხიდიდან გადავიდეთ, — ვუთხარი მე და გადავიდით.
— როგორ ხართ, ბიჭებო? — კისკისით მოგვესალმნენ გოგონები.
— კარგად, — არ შევიმჩინეთ და გვერდზე მივუჯექით.

— რა კარგი იყო გუშინ, არა? — შეუყვანა მამო, ორივე გვინდოდა გაგვეგო რა მოხდა ბოლოში, ხომ არ შევრცხვით და მაგრად მოგვეშვა გულზე, როდესაც სალომემ თავისი ჩვეული ხმით გააგრძელა:

— ძალიან, განსაკუთრებით კი, როცა ერთად მღეროდით და შენ დედიკოს რო უმკითხავე ყავაზე.

— რა? — წამომცდა გაკვირებისგან.
— ხო, მახსოვს. — მიმატოვა მამო.
— და მერე როგორ საყვარლად გეძინათ, ჩვენი მსხლის ძირში?! — ჩაერთო მაგდაც.

— მაზეგ კიდევ ეკას დაბადების დღეა და გავიმეორეთ, — ჩაარაკრაკა სალომემ.

— აუ, მაზეგ რო არ ვიქნები აქეთ? ქუთაისში მივყავები მამაჩემს რაღაც საქმეზე, — ვთქვი მე.

— მე კიდევ ბაბუჩემს სათახარში, — ჩაიბურღლუნა მამო და დაბეჭილ ტრაკზე მოისვა ხელი.

ანდერძი

ნახარხი წინა ღამით დაეყარათ სწორ მინდორზე და ახლა ამ პატარა, ყვითელი ჭაობის ირგვლივ აუარება ხალხი მოგროვილიყო. თეთრწვერა მოხუცებს ხალიჩები გაეშალათ და ფეხმორთხმით ისხდნენ, კაცები ერთმანეთში ბუტბუტებდნენ, პატარები კი ხეებზე აცოცხლებულიყვნენ, იქიდან დაჰყურებდნენ და მათი ლოყანითელა, ბუთქუნა თავები დიდი მწიფე ვაშლებით ევიდა ხის ტოტებს.

— რამოდენა ხალხი მოგროვილა? — იკითხა ხმადაბლა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა და არ უნდოდა, ეს სხვას შეემჩნია.

— ახჩა, აფუსი, ბოინი, ზემო მარტყოფი, ქვემო მარტყოფი, ჩუღურეთი, შავსოფელი, სიბაქი, დაშქესანი, თოლერი, ნინონმინდა*, ყველა აქაა, — აბულ-მამადმა მხარზე დაჰკრა ხელი, — ჰა ბიჭო, ხომ არ გეშინია? თავი არ მოგეჭრა ონიკაშვილებს. დღესაც რო იმარჯვო, ჯილდო შენი იქნება, გესმის, ა, ფერიდან?

გუშინდელი დოღი გაახსენდა, თავისი შავრას აქაფებული პირი, შავ ზურგზე მოლაპლაპე მზის სხივები, მტვრიანი გზა, ხალხის შეძახილი და აივას სახე, უფრო სწორედ მისი მწვანე ჩადრი, იმ მწვანე ჩადრზე უფრო მუქი, დიდი მწვანე თვალეები და ქუთუთოებზე ბელურებივით ჩამოსხდარი შავი წამწამები.

— ფერიდან? გესმის? — ჩაესმა შორიდან.

— ჰო, მაშ! — თქვა თავისთვის, წრეში შეაბიჯა და შეძახილებმაც იქუხა.

იდგა და იქაურობას აკვირდებოდა: მზე კარგა მაღლა აწვერილიყო ქვიშისფერ მთებზე და დაღარულ სახეებსა თუ სხვადასხვა ფერის ჩალმებზე დაასრიალებდა თავის მცხუნვარე ენებს, ფეხები წვივებამდე ჩაფლობოდა ოქროსფერ ბულულებში, თითები მოსინჯა ნახერხი, კარგი იყო, თხელი და დიდად დაფოტვილი, არ ჩაგეყრებოდა თვალში.

უცებ ფუტკრის სკასავით მოდუდუნე ხალხი დადუმდა, თითქოს მოიღრუბლა, მაყურებელთა რიგები წყლის ტალღასავით ალივლივდა, ორად გაიყო, ყვითელ მოედანზე წელს ზემოთ შიშველი, შავთვალა ბიჭი გამოვიდა და შეძახილებმა გრიგალივით გადაუარა იქაურობას.

— გორგ! ** — ჩაილაპარაკა ფერიდანმა, მზეზე ალაპლაპებული, დაკუნთული შიშველი სხეულისა და კეხიანი ცხვირის დანახვაზე და ხელით შეისწორა პერანგი, არ დართო მამამ ნება შიშველს ეჭიდავა, ჩვენში წესად არ არისო.

და მხიარულმა მუსიკამაც არ დააყოვნა, ახმაურდა და ისე საამოდ მოედო სხეულს, როგორც ღამით ბებუის მონაყოლი ამბები შორეულ სამშობლოზე — თვალთ არნახანზე, უცნობზე და მაინც ასეთ მიმზიდველსა და ლამაზზე.

ოდნავ შესამჩნევად დაუკრეს თავი ერთმანეთს და ფრთხილად დაიწყეს მიახლოება, შავთვალა, თითები ათამაშებდა, გარს უფლიდა, თვალეში უყურებდა და ის ხედავდა როგორ ნერვიულად დაუხტოდა აქეთ-იქით თეთრ გარსში მხეცივით გამომწყვდეული შავი გუგები, როგორ სწრაფად

ადი-ჩადიოდა მკერდი, ნელში ოდნავ მოხრილი სხეული კი წვრილად დაეზარათ დაძაბულ კუნთებს.

სამჯერ შეუტია შავთვალამ, სამჯერ ნატანა ხელი პერანგზე, თუმცა ფხიზლად დაუხვდა და სამივე მოიგერია. შეძახილები სეტყვასავით ეყრებოდათ თავზე.

ნელ-ნელა დაიღალნენ, ოქროსფერმა ნახერხმა თითქოს დამდნარი ტყვია ჩაასხა დაბერილ წვივებში, სუნთქვა აუჩქარდა, პერანგზე ოფლის ლაქები გამოუვიდა, შავთვალაც გამჭვირვალედ დანამა ცხელმა წვეთებმა, ისევ სცადა პერანგით ეგდო, მაგრამ შეცდომა დაუშვა, ოდნავ მაღლიდან ნატანა ხელი და ფერიდანმა წამის მესასედში ზმანებასავით, წინასწარ დაინახა ყველაფერი, ილღის ქვეშ შეცურებული მარცხენა მხარი, მხარზე გადადებული ხელის მტევანზე ჩაჭიდებული თითები, შავთვალას ფეხებს შორის ბოძივით ჩასობილი ფეხი, წვივიდან წამოსული სწრაფი მოძრაობა, კუნთისგან ატოკებული ბარძაყი, ბიჭი მაღლა, ხელის დაქაჩვა და მორჩა, შავთვალა ბეჭებით ჩაიძირა ოქროსფერ ჭაობში.

მერე ყველაფერმა დაკარგა ხმა: დან-აოჭებულ სახეებზე გაჩენილმა შავმა ხვრელებმა, რომელთა სიღრმეშიც წითლად მოჩანდა ხაოიანი ენები, მისკენ გამოქანებული აბულ-მამადის და ბიჭების შეძახილებმა, მხიარულმა მუსიკამ, რომელიც მუდამ არნახს სამშობლოს აგონებდა და გახვევებულ ბრბოში, როგორც



ნაფოტი წყალზე ისე ამოტივტივდა მამის სახე, გარუჯული, ამაყი, ღიმილისგან გაბადრული.

ხელში აიტაცეს, ახლოს მოვიდნენ წითელლოყება თავებით დახუნძლული ხეები, ქვიშისფერ მთებზე აწვერილი მზე, ცისფერი ცა.

მწვანე ბორცვთან მიიყვანეს, ძირს დასვეს, ბორცვზე შემდგარმა ყოლა მუსეინმა, თეთრწვერა, ჩირივით ჩამომხმარმა მკაცრმა მოხუცმა, მაღლა ასწია თეთრი ხელი და სიჩუმის ჩამოვადრინსთანავე დინჯად წარმოთქვა:

— მოვიდეს გამარჯვებული და მიიღოს ჯილდო!

და ფერიდანიც ნელა აუყვა ბორცვს, გული ისე უცემდა, როგორც არასოდეს, სისხლი ტალღებდა სცემდა საფეთქელში, ეს ჯილდო ახლა მისთვის ყველაფერს ნიშნავდა, ახლა ის ყველაფერს ერჩივნა, აივას მუქ მწვანე თვალეებსაც კი. ყოლა მუსეინმა, თვალეში ჩახედა ბიჭს, მოვერცხლილი ხანჯალი შემოართყა წელზე, ხელით ანიშნა დაიჩოქეთ და თავზე დაადო ხმელი ხელი.

ფერიდანმა თვალი გაახილა, ოთახის მარცხენა კუთხეში იწვა, ყვითელ კედლებზე წვრილ წერტილებად იჯდა დღის ნათევი, ისევ ის თბილი საბანი ეფარა. ჰაერში ასწია ჩამომდნარი ხელი, მოიხმო, კუთხეში ღუმელთან მოფუსფუსე შვილიშვილი, ძალაგამოცილი თითებით ჩაეჭიდა მის ღონიერ მაჯას, ახლოს მოიზიდა და როდესაც ბიჭი ბაბუისკენ დაიხარა, კიდევ ერთხელ გაიმეორა ის სიტყვები, ორმოცდაათი წლის წინ რომ უთხრა ბორცვის თავზე მუხლმოდრეკილ ყოლა მუსეინმა, სიტყვები რომლებიც აივას მუქ მწვანე თვალეებსაც კი ერჩივნა მამონ და რომლებსაც მისთვის უკვე აღარ ეწერა ახდენა:

— დაბრუნდი საქართველოში!

* ქართული სოფლები
** მგელი

მარიამ ნიკლაური

დაუნერელი წერილებიდან

დასასრული

*
გიღვამეშიანი... როგორი იქნებოდა კაცობრიობის და სიტყვიერების აზროვნება და განვითარების გზა, თუნდაც ხელოვნების ხასიათი, ამ ტექსტს რომ არ მოეწონა ჩვენამდე?... ან ასე რომ არ ეაზროვნა და ასე არ განეცადა ადამიანს მარადისობისა და წარმავლობის კატეგორიები? ასე რომ არ სტკენოდა არსებობა?


*
ხალდე... ხალდე... უნდა აღსდგე, უნდა აშენდე, უნდა ახალი სისხლი ჩაიდგა... შენი კოშკები... სად არიან შენი კოშკები, ქვად ქცეულნი რომ მიმოფანტულან, ღამით ისმის ხმა ზარბაზნების? ღამით ტირიან თურმე ქვემო თავის მკვდარ ხალდეს... თავისუფლების ჯვრიდან გარდამოსხნილს... ღამით აქ ქარიც დაჯდება თურმე და აჟღერებს ჩვილის აკვნებზე დაკიდებულ კაკილებს ისე... დედის ღანდებს კი რძე სდით თურმე და გამთენიებს ბაგეზე ცხინათ, ზისცვარივით, დაუყვირები მამლის ხმები ხალდეს მთებიდან... მამები კი არ ნებდებიან... ხალდე... ხალდე... უნდა აღსდგე, უნდა აშენდე...

*
ერთხელ ნავიკითხე უცნაური ამბავი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან: სამტრედიასთან ახლოს სოფლებში ბევრი ყოფილა ჩამოსახლებული, გამოქცეული თუ „გაცვლილი“ მეგრელები და ხშირად მოსდიოდათ თურმე ჩხუბი და უსიამოვნება ამ მეგრელებისა და იმერლების ოჯახებს. ერთ დიდ მინდორზე სცოვნიათ ასეთი რიტუალის აღსრულება: მინდორზე მდგარ დიდ მუხას ვეებერთელა ლურსმანს აჭედებდნენ თურმე და თან წყევლა-კრულვას ჩაატანდნენ იმ ოჯახისას, ვისზედაც განაწყენებული შეიქნებოდნენ. ამ საბრალო ხეს, იმდენი ლურსმანი ჰქონია ჩარჭობილი, ტანი აღარ უჩანდაო, ჰყვებიან და ლურსმანს მით დიდს აჭედებდნენ თურმე, რაც მეტად იქნებოდნენ განაწყენებულნი მეტოქე ოჯახზე. და აღარ ჰქონია რისხვისა და წყევლა-კრულვას საზღვარი და დასასრული... და ეს უსიამოვნო ამბავი მისულა გაბრიელ ქიქოძის ყურამდეც... ნაბრძანებულა ეპისკოპოსი თავისი ფეხით ამ ხესთან, დაუბარებია თან ხალხი, უქადაგია იქ და მოუჭრია ის ხე საკუთარი ხელით... გლეხობა შეუწინებულა ძალიან, რადგან ითვლებოდა რომ ეს ხე წმინდა ხე იყო, და მისი მოჭრა დიდ უბედურებას მოასწავებდა. ეს ხე რაღაცით მათთვის ეკლესიას ჰგავდა, რომელშიც შეჰქონდათ სამსჯელოთი სამართლის საძებნელი სიტყვა და რომლისგანაც ელოდნენ ღმერთის განაჩენს. ეს ლურსმნები კი, თავის პატარა სამჭედლოებში რომ სჭედდნენ ღიხსიქითელი მჭედლები, ვინ იცის, იმ ლურსმნებსაც აგონებდათ, მაცხოვრის ჯვარზედამკვეთი ბედი რომ დაჰყვათ... მერე არაფერს ჰყვება ისტორია, მაგრამ მე როგორც ერთმა მცირედმორწმუნე ადამიანმა ვიფიქრე: აი, მაგალითი თვითშენიერებისა... გაბრიელს ხომ მთელი ოჯახი ამოუნყდა: მეუღლე, შვილები... დადიოდა უმძიმესი ჯვრითა და უდიდესი ღვანთი მოსილი ჩვენი წმინდა წინაპარი და დაჰქონდა იობის მწუხარება და რწმენა... სულ ვფქრობ, რა მოხდა იქ, იმ ხის მოჭრისას? როგორ გადაეფარა ერთმანეთს დროები, ჟამები, რა არიან? თუ, არც არაფერი? რა ძველია რწმენა და რა განსხვავებულია ერთი უფლის სალოცავები...

*
შენი ისტორია შენივე მარილია. ნუ დაგრჩება თვალი ემულგატორით გაჭყვილ კეთილდღეობაზე. ნურც ის ფული დაგიბრმავებს თვალს, სიღატაკის მეტი რომ არაფერი მოაქვს კაცთა მოდგმისთვის. ნუ გაგიჩნდება ეჭვი საკუთარი თავისა და ღირსების მიმართ. გახსოვდეს, რომ საფლავები მინაში ღრმად გადგმული სიცოცხლის ხის ფესვებია და ისე გრძელა და ისე ღონიერი შენი ფესვი, მთელ დედამინას დაიჭერს ჭანგივით, რამე რომ გაუჭირდეს სამყაროს.

*
21 თებერვალი ჩემი სამშობლოს ტრაგედიის დღეა. გავაწლები და ამ დღეს მთელი მსოფლიო აღნიშნავს, მაგრამ არა როგორც ბოლშევიკური ინტერვენციის და დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის დღეს. საქართველო თავის ხმას ვერ აგებინებდა მსოფლიოს. ჩვენი ნებისმიერი ტრაგედია და პრობლემა ჰგავდა ხალხს სიზმარში ყვირილს, როცა მთელი ძალით გაჰყვირი და ხმა არ ამოგდის პირიდან. რამხელა მსხვერპლი გაიღო მამინ (ან კი როდის არა) ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა ქვეყანამ. მარტო იუნკერთა მსხვერპლი რად ღირს, ან მარო მაყაშვილის სახელი. გავაწლები და მსოფლიო 21 თებერვალს გამოაცხადებს საერთაშორისო დღედ, მაგრამ არა საქართველოს გამო: ბანგლადეშში, ბენგალიური ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების მოთხოვნასა და აქციებს ოთხი სტუდენტი შეენიერება. ეს 1952 წელს 21 თებერვალს მოხდებოდა. მას შემდეგ, ყოველ 21 თებერვალს, მსოფლიო აღნიშნავს საერთაშორისო დღესასწაულს — „მშობლიური ენის დღეს“. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, მაგრამ ამ დღეს ასევე შეიძლება დარქმეოდა „თავისუფლების საერთაშორისო დღე“.

*
როცა ჩვენ საზოგადოებას ვუყურებ, ღვანღობისილი და პატივცემული ადამიანების ქცევას, ტიფონის მითი მახსენდება ხოლმე. იგი ისეთი ურჩხული იყო, რომლის მსგავსი სამყაროს ჯერ არაფერი მოვლენოდა. ასი თავი ება, ცეცხლისმფრქვეველი თვალებით. სხვადასხვანაირ ხმას გამოსცემდა. შეეძლო, ღმერთივით ესაუბრა, ძალივით ეყვო, ღმერთივით ეღრიალა, გველივით ესისინა. ტიფონის რისხვას რომ გადარჩენოდნენ, ღმერთებმა ეგვიპტეში გაქცევით უშველეს თავს, როცა მან ოლიმპოსიც შეაზანზარა. მის მზერას რომ დამალვოდნენ, ზევსი ცხვრად გარდაისახა, დიონისე — თხად, ჰერა — ძროხად, არტიმისი — კატად, არეი — ტახად. ყველამ, ყველამ იცვალა სახე გარდა ათენასი. ათენასი საქციელმა აიძულა შეშინებული ზევსი ნამდვილი სახე დაებრუნებინა. იგი საბოლოო დამარცხებამდე შეებრძოლა ტიფონს და მინისქვეშეთში ჩამარხა ურჩხული. დღევანდელ დღეზეაო ზედგამოჭრილი თითქოს ეს მითი. ჩემი სამშობლოს დღევანდელიობაზეც. ეს გაუმარჯოს მას, ვინც თავის ნამდვილ სახელს არ უღალატებს, არ შეშინდება და ღმერთებსაც კი გამარჯვების რწმენით აღავსებს, არამც თუ ადამიანებს! ნუ დაიფიქრებთ სიმართლეს, ნუ შეიცვლით სახეს, ნუ იქცევით ცხოველად. დღევანდელიობას ტიფონზე საშინელი ხმა აქვს, მაგრამ ყოველთვის გახსოვდეთ ათენა!





ემზარ კვიციანი

სიცხაში ნათქვამი ლაქსი

სად მიმართე, დღე დღეზე გადაკრებული? ერთხელ ვნახე, ზაფხულში, ძველი ერებუნი...

ხმა ხათქუნის, რახუნობენ, ქარში, დარაბანი... ბევრჯერ მქონდა გახეთქვაზე ყურის ბარაბანი.

იმერული სახელი მომწონს - პიპინია... მოსაცელი ბალახის, ირგვლივ, ბიბინია...

სილის ვაგე კოშკები, დავალ სალოსსავით... ისევ შენ ხარ, მამულო, ჩემი სალოცავი!

მავინაც ზაფხული იყო

მესმა ტალღების შრიალი, ფშვინა, მთაც დავინახე, აჭრილი ცამდის... გასაქრობელი, იქვე ხარ შენაც, ვდგავარ, ზღვის წყალი კოჭებში გამდის.

ვინ მოგენევა, ხილვავ, დამფრთხალო, გაცურდი, რკინის კედელი გაკრავს... რაგინდ ვიშფოთო და ვიფართხალო, რა დააბრუნებს იმ ზაფხულს, გაგრას?!

სინდინდა

ელზა დოკვაძეს

მოარული სიკეთედ, დაო ღვიძლო ელზა, შენი გული შემურდეს - ჩიტსაც, მგალობელსაც.

მეგებება, მიგრძობს შუბლს ნიაგი დილის... მალე გნახავ, მოვეყვები მთანმინდისკენ ბილიკს.

ზღაპრად, სიზმრად ჩათვლიდა, დაუნახავს ვისაც - ბოლავს ტოტი, ირწევა აყვავებულ ბლისა.

როგორ შევინს სურათებს ეგ სენაკი, მყუდრო!.. მოგინდება კუთხეში, სადმე დაიბუდრო.

ვხატავ დღეებს, გარდასულს, არ ვატოკებ ხელსაც... ჩვენი სიყრმე სად გაქრა, იისფერო ელზა?!

მომზლის მაღლი

თავს შემახსენებს ზოგჯერ ის მხურველები ბეჭთა, გაყრილი ნექნებს შუა, ჭანგი, რკინისა, მგლეჯდა.

გულის მხუთავდა ცემა, შავეთში ნამსვლელს ვგავდი; დავითი, მამაჩემი, სულთმოზრდას მედგა თავითი.

არ მოკვდებიო, მითხრა, გადამარჩინა ამან... იასამანისფერი, კინალამ გავცდი სამანს.

ჩინი

სანუხარი, ამდენი, ღმერთო, სად შეგჩურთო? გადატანილ ტანჯვათა, სად გროვდება ღურდო?!

ჩადენილი ცოდვების ვის შეუკრავს ტივი?! მითხარ, ვინ აბინავებს - ტანს გაცდენილ ტკივილს?

დაბმულს, თუკი აღარსად დამიტოვე ღრიჭო, ამ ჩახუთულ მღვიმედან როგორ გავაბიჯო?

კლდეს მკერდით შევეხლები ახლაცა და მერეც... თან ჩამიტანს უფსკრული, თუ არ ამოვეკრე.

არ ქნა, ხსოვნა წამართვა, კარს მომდგარო ჭირო! - მკვდრებიც თუ დამეკარგა, ვინლა დავიტირო?!

შიშის კლანჭები

ამომშრალი ჭის ფსკერზე სანამ უნდა ვება?! მე მაშინებს თვალების ამონახშირება.

დაფლეთილი სიცოცხლე, ნაჭერ-ნაჭერები... არანაკლებ შიში მაქვს - გულის გაჩერების.

მოქსეულან ეჭვები, ვატყობ, ავადა ვარ; შიშისაგან ნაქსოვი, შიშმა გამათავა.

დარჩენილი, წინ, მხოლოდ, ღრანტე, დაღმართია, ისევ დამემართება, რაც სხვას დამართია, წამითაც არ ისვენებს, უამი რა მარდია!

შუალაშის მახალაგი

მსურს ბოძად ვიქცე, მივბაძო იმის ბრწყვილს და ძანძალს; არლეკინივით მორთულა - ტელევიზიის ანძა.

მინდა, ფერთა ზღვის ჭიდილში, მოჭედოლს ავეყვ ნადილს; გადამდულდარი ჩქერები ცაში ტალღებად ადის.

გარდა მზისფერი ფრთებისა, ხობობს უხდება დეზი... სული სულ მალლა მიიწვეს, ყველაფერს ახლავს წესი. საფრენად ცას რა ედაროს, გზა არც ჩანს, უკეთესი.

სამზარეულოს კუთხე საღამოთი

(ნაცნობი ნატურ-მორტი)

აბრეშუმში, ღვინისფერად რომ პრიალებს, ხახვია... კვლავაც მნუსხავს ეს ცხოვრება, სიზმრებში გამახვია.

თავივით კუდალარული, შავ სისხლს მალავს ჭარხალი...

რა მოხდება თუ დავნეკი, ოდნავად ნაარყალი.

კომბოსტოსაც შესაფერი უკავია ფართობი; გათლის მეტი არაფერი დაჭირდება კართოფილს.

დევს სტაფილო, გაკლანკილი, ბზარს შავად გაუპია; ქინძი, კამა... ხვალ სადილად - "ბორში" ანდა სუფია.

არჩიმბოლდოს ბოსტნეულით მოპირთავდა ოჯახი; რასაც ხედავთ, მე მოვზიდე, ხომ ვყოფილვარ ყოჩალი?!

მოვიპოვე, არ მეკავა - თოხი, კავი, სახნისი... სხვა დანარჩენს თვით მიაგნებს მარჯვე დიასახლისი.

მწარების უმცნობი

(ნაბოკოვის ლექსის ანასხლეტი)

გამომატვრიე არყოფნის მინა!.. მონუსხული ვარ, ვერ ვიგებ, რითი?! მინდა გიხილო, ისმენდი ვინაც ჯავშანგახვრეტილ კრახანას ქვითინს.

დაცეცებულმა, რა იგრძენ უცებ - ქინძისთავს ჩხვლეთდი უღვთოდ ნაწვალეს... მკუთავს, ასანთი შეუნთე მუცელს, მბრწყინავი ფრთები როს დააცალე.

ნესტარნაკვეთილს, გადაუხარე თავი (გადარო რა რკინას, რა ქვას?!). და შიგნული, მისი, მდულარე, შმაგ შთაგონების მოგავდა დაგვას.

სიზმარივით გამძრალი

მანანა შეროზიას

სადლა არის სოფელი, ის ხალისი, ბლობა... გავდა ნათესაობას ჩვენი მეზობლობა.

დანანილდა დრო, წლები - „დღეის დღედ“ და „ხვალედ...“ ვაი, ახლობლებისგან, როგორ გავიცალეთ!

შენც გათეთრდი, მანანა, უმრწემესო დაო, რისი სამდურავი ვთქვა, ანდა ვის ვედაო?!

ჟვერომ, შამბმა წაილო - ჩვენი ღელე, ღარდა... დაგვრჩენია აღარა, მოგონების გარდა.

წელი გაზრდილი გამახსენდა

ვერავის გამოვადექი, დონდლო და მოუქნელი... ვნუხვარ, შორეთში დამინდი, ჩემო კეთილო წელი!

ხნოვანება და სურვილი ვერაფრით შევთავსე... რა სასწაულად ღურჯია ცა, შენი სახლის თავზე.

ვგლოვობ წასულებს, ძლივს ვსუნთქავ, თითქოს გამყროდეს ბარჯი... სიზმრად ხედავდი დედობილს, ხსოვნაშიც ასე დარჩი.

მთებიც რომ დადგა ოქროსი, ვინაა დამახველი? მკვნესარემ, გულამოსკვნილმა, სამივ იგემე სკნელი, სიცოცხლევცა და სიკვდილიც, ძნელი ყოფილა, წელი!

ჭიბის

რეზო, ჩემი არ იყოს, ბედმა ჯვარზე გაცო, თითქმის განყვეტილია შენი საძმაკაცო.

რა ბიჭები ჩალაგდნენ - მშვენივანი სუფრის, ვინ თქვას, წუთისოფელი ვის რას გამოუბრის.

თვალეებს ცრემლი მისველებს,
ნამესვლეება არსად,
ბევრი შეხვდა შავი დღე
ამის მოუბარსაც...
ცელი, პირალესილი,
რამდენს აფენს, პარსავს.

ოხრავს გული, სამარის
როს ხრაშუნობს ხრეში...
ადრეც ვნუხდი – არ ნახვდეთ,
ძმაო, სიბერეში!

**ორი კედარი
(ზაფხულის ფანტაზია)**

ნეტა ამოვსულიყავით –
წყვილად, კედარებად;
მკერდზე ნიაგვადავლილებს,
გვეგრძნო ნეტარება.

მინის წვენი იქნებოდა
ჩვენი სმა და ჭამა;
კენწეროზე მოვიქცევდით
ციყვებს, დედალ-მამალს.

შორი გზისას, გასაჭირი
დაუდგებათ ოდეს;
დაქანცულებს, ფრინველთა გუნდს,
გავუნვდიდით ტოტებს.

სხვა მირონი გვეცხებოდა,
ჩემო მარიანა,
დაგვკოცნიდნენ ვარსკვლავები,
მზიან-მთვარიანა.

გაუტანელ, ჭრელ სოფელში
ერთად თუ მოგვჭრიან –
გადაფერდილ ხომალდივით,
ხმას გამოვცემთ – ჭრიალს.

რა აჯობებს, თუკი უფლის
გამოგვთალეს ჯვარად;
მჯერა, მივეახლებოდით –
იმ სიცოცხლეს, მარადს.

არასოდეს გამოვშრებით
(მდარე შედარება!) —
ვიშრიალებთ შემშლელ ცაში,
ორნი, კედარებად.

ბარეუბნის ეზო-კარი

ვაშლიჯვარში ვიხილე
მწკრივი ყურძნის ჯიქანთა,
გაძეძგილი ქარვისფრად –
გული გადამიქანდა.

დამებინდა გონება,
იგუგუნონ ტაძრებმა...
ღმერთო, ამ სასწაულის
მინყალოზე გაძლება.

გასაკვირიც რა არი,
შესათოკი შეთე ვარ;
შემოდგომის, მომდგარის,
გადამიტანს შეტევა.

ფხა ვინ მომცა დაფხვილს,
სულ ამაოდ ვფაფხურობ;
რომ დამბუგა, ის ცეცხლი
შენ შემინთე, ზაფხულო!

**ჩემი მამიდა საღამოთი
(შუა სექტემბერი)**

გარხევა მისი, ყოველი,
კი არის აღსაწერი,
ჩემს გასართობად, თავშავა,
ყირაზე დგება მწერი.

კეც-კეცა, ჩემი ნაჯღაბნი,
ირგვლივ ფურცლები ყრია...
თვალს ვერ ვაშორებ ფეხმარდის
წალმა-უკულმა ტრიალს.

თვალი ადრევეც მომიკრავს,
პირველად ვხედავ განა?!
ხმას რანაირად მომანვდენს,
განრიპულია ტანად,
აბრეშუმით ნაქსოვი,
ფრთები აქვს სიფრიფანა.

ანტენებს უგავს ის ორი,
ციცქნა, შავ-შავი ღერო;
ქარიშხლად მოეჩვენება,
სული რომ შეუბერო.

შეშლილი ქარში

არ მინდა გავხდე ფიტული,
პაერში მოფარფატე,
ირხევა, არსად გამიშვებს
მწვანე ფოთლების ბადე.

რა ვუთხრა იმას, ვინაც რო
ასე დამტოვა, ლანდო?!
ჩემივე იდუმალეა
არასგზით არ გამანდო.

დამეხილს, მსურდა მეხილა –
სხვა ვარსკვლავები, სხვა ცა...
ბეცმა, ყოველი გადავდე,
დავდივარ აცა-ბაცა.

ველარც ვიხსენებ, რამდენი
გადავიარე ქედი...
ვისი ამბავი ვიკითხო,
თავად ვარ მისახედი.

ტაში დანთქმული ქალაქი

მოინადინე, ხუმრობ განაღა,
ზღაპარ-ქალაქი წყალში, კიტეჟი...
გაიჭრებოდი, ნეტა განახა –
იქ, ჩრდილო მხარეს, ქვეყნის კიდეში.

აგაფარფატეს ფრთებმა ოცნების,
ამბობ — ხილვები უცხო, დაჯარდა –
ფარდულთა წყება და ხელოსნები,
პირსახე მეომართა, ვაჭართა.

იქ ხეც შრიალებს, გიშრისტოტება
და გიშვერს ნაყოფს, თავი გაირთო...
რძე, თაფლი, პური... შენ გელოდება –
გროვა საქონლის, ნაირ-ნაირთა.

ემბაზი. ბროლის წყალში გაბანდი,
ილაღე, მეტი რა დაგრჩენია...
ჭრელი უფარავს თმას ხილაბანდი –
ის თეთრი ქალიც გიცდის, შენია.

შესაფარებელს, ნუ ეძებ ნიშას,
მიმოიხედე ირგვლივ, ბატონო!
ნუ აჩქარდები, ჩატვლიან გიჟად,
იქაურობა რომ მიატოვო.

ჭაბუა ამირაჯიბის სანარი ღვთა

გულო, ნათელთან ატარებ რა შლამს,
დღესვე დამცვივა, რაც რო დღეს მება...
ასოთა მწკრივის გაჩენა, წაშლა –
ყველაფერს ხაზი გადაესმება.

რარიგ ვირღვევით, ერთ დროს მაგრები,
ყლორტს რისთვის იყრის ხმელი ნიფელი?!
შლი ნანერს, ნუთუ ასე გავქრებით,
ღვთისკაცო, მზარავს შენი გრიფელი!..

ოქროსფერი გადუკრავს
მზეს, კედელზე მიფენილს,
ბაღში შავად ბზინავენ –
ალუბლები, მნიფენი.

ინურება ზაფხული,
მოინვეს ტეხა-კრეფა,
რასაც მიჩერებხარ,
ყველაფერი გაქრება.

წუთისოფლის, გამქცევის,
ხარ ძველი მობინადრე;
რაც გაქვს – მიმოლაგე,
რაც არა და – ინატრე.

**სასომიხდილის ვედრება
(სავადმყოფოდან წამოსვლისას)**

როდის იყო, მთებს ეძრავდი,
ანდა თავი ვიქე...
გაახვიეს მარლებში –
ჩემი ევრიდიკე.

ჯოჯოხეთის წუთები
მიჰქრის, მისრიალებს...
ჰყრიან რკინის ურნაში –
ბამბებს, სისხლიანებს.

სამი წელი კორტინდა
ის ბოროტი სენი...
უნერტილო ტანჯვისგან,
ღმერთო, დამიხსენი!

გამედრიკა ხერხემლის,
ბებრის, მე, მალეები...
ურცხვად ჩამობნელებულ
ღამეს ვემალეები.

საქტამბრის საღამო ხივიანში

დართვილული კარები
სუსხის, არ შეგვიღია,
ცა კრიალებს, კრუალას
კრინს მივენდე, რიხიანს.

სხვას ვერაფერს ვიხსენებ
(რად არა მაქვს ჩამწერი?),

ასე რომ უხდებოდეს –
შელამებას ხმა მწერის.

იმ შავმა კალიებმა
(საკვირველი ეს არი) —
დანყება, ხმის გაკმენდა
იცინა უეცარი.

მიჰყვებიან ისინიც –
კალენდარს და ბუნებას...
მისწრებაა, ზამთრობით,
საბანში ჩათბუნება.

უცაბადობა

დღეს ღამე ცვლის, თვალები
სანამ ვახამხამო...
გული დახრა, დაფლითა –
თავის დახრამ, ხრამო!

ნავი ტბაში სრიალებს,
სიმზე ტოკავს ხემი...
ხელს ვერ შემამეველებენ,
ისე დავეცემი.

გუშინ, კუნთი მუხლისა
უცებ გამენასკვა,
ღამის დავემევიდობე –
ჩემი ბედის ვარსკვლავს.

ალვას უყვარს შრიალი,
ფერს არ იცვლის სურო...
შორი გზა მომენატრა,
საით გავეშურო?!

ზამთრის გუნაგვი

აცივებისთანავე,
გადიქროლეს მერცხლებმა,
ვერც გაიგებ, სიცოცხლე
ისე გამოგეცლება,
დნობასა და გაქრობას
შემაჩვიეს მე წლებმა,
ქარი, ქეროაშლილი,
ნივის წავის ბენვებად...
ვილას გავახსენდები,
სურო რომ ჩამეწვება?!

ჯიარაც მარჩის ღონე

„ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს...“,
აჭენოს, ვინაც აჭენა;
გაჩვენებთ, უნდა როგორაც –
ტყვიამი ტყვიის ჩაჯენა.

არ მიძებნია სახელი,
ვეძებო, ვერსად ვიშოვნი;
თავზე საყრელად დამრჩება
ლექსები, საბოდიშონი.

მაცხუნებს მზე დამდაგველი,
აცდენილი ვარ ლიანდაგს;
დიდი ფშაველის არ იყოს,
სალამი დამიგვიანდა.

მეტს არაფერს ვითხოვ

მეტევება, ვერ შევძელ
ტანში ცეცხლის დატევა;
დამაცქერდი, რით ვგავარ
უკვდავების მადევარს?!

არავინ გეყოლება,
ვფუცავ, ჩემისთანა ყმა;
ყოვლად ჩვეულებრივზე,
ვარ დღეებზე თანახმა.

მერე მე მომეკითხოს
ოქროდ ქცევა იმითი;
შენს სინდისზე იქნება –
ვის მარაქას მიმათვლი.



რეცენზია

გამომცემლობა „ინტელექტმა“ ბოლო წლებში ბევრი საინტერესო და ნარმატიული პროექტი განახორციელა. სერიებმა „100 ლექსი“, „ნობელის პრემიის ლაურეატები“, „ერთი ლექსის ყველა ქართული თარგმანი“ ქართველი მკითხველის ყურადღება იმთავითვე მიიპყრო და თანდათან საყვარელ წიგნებად იქცა. ერთ-ერთ ყველაზე ღირებულ და მნიშვნელოვან სერიად მწერალთა, მეცნიერთა, საზოგადო მოღვაწეთა „ჩანაწერები“ (პროექტის ავტორი ზვიად კვარაცხელია) წარმოგვიდგება უთუოდ. მწერალთა „უბის წიგნაკებიდან“ უფრო ადრე ლიტერატურის მუზეუმმა გამოსცა. იმ რამდენიმე წიგნის გამოსვლა ანგარიშგასანევი მოვლენა გახლდათ ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში, ახლა კი უკვე სამუალები გვაქვს, უფრო შევსებული და გამრავალფეროვნებული, უფრო ბევრი ავტორის „ჩანაწერს“ გავეცნობ.

ჩანაწერებში, ისევე როგორც ნებისმიერ ნაწარმში, მთელი სამყარო არეკლილი, გარეთა, ხილული, მრავალფეროვანი სამყაროც და მწერლის შიდა, სულიერი, მრავალფეროვანი და ნაირგვარი სამყარო. ასე ერთად, ერთ სერიამი თვითმყოფელი წიგნები ზემოთქმული უფრო ნათელიყოფს და ხელშესახებად გამოკვეთს. ყველა დღიური, ყველა უბის წიგნაკი ერთმანეთისაგან განსხვავდება თემატიკითაც (ინტერესთა სფეროთი) და, რა თქმა უნდა, სტილისტიკითაც. აქ შეხვედებით ყოველდღიური ამბების აღწერასაც, საოჯახო ქრონიკასაც, ფილოსოფიურ მსჯელობებს, ლიტერატურულ ნაწარმოებთა შეფასებას, სიტყვათა თამაშს, იუმორისტულ პასაჟებს; შიცილობთ ეპოქას, კულტურულ თუ პოლიტიკურ ცხოვრებასაც გადავენებთ თვალს, ჩაიხედავთ მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაშიც... და არაშეიშადათ წერის იმპულსსაც სწორედ აქედან მიიღებთ...

ზოგიერთი ავტორი კომპოზიციურად ისე კრავს სათქმელს, რომ ნოველებს ამსჯობს, ზოგი დაფანტულად, ქაოტურად, ზოგჯერ ჩვენთვის სრულიად გაუგებარ სიტყვას ან გამოთქმას ინიშნავს. ეს სხვას, გარედან შეჭრილ მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს გაუგებარი, ალოგიკური, ან აზრობრივად ამოვარდნილი კონტექსტიდან და სხვა ნაწარმთან დაუკავშირებელი, თორემ ხომ იოლად წარმოსადგენია, რა განუზომელი მნიშვნელობის შეიძლება ყოფილიყო თითოეული ასეთი ფრაგმენტი თავად შემოქმედისათვის.

ეს უანრი აქამდე ჩვენში მაინცდამაინც პოპულარული არ ყოფილა, ამ ბოლო დროს კი მის მიმართ ინტერესი საგრძნობლად იზრდება და მგონი, სხვა უანრიები დაწერილს ებრუნება. დანამდვილებით ვერ გეტყვით, ჰქონდა თუ არა რედაქციას რაიმე პრინციპი, რომლითაც განსაზღვრავდა გამოსაცემ წიგნთა თანმიმდევრობას (არადა, წინასწარი პროექტი, მონახაზი უთუოდ ექნებოდა). ამ შემთხვევაში რედაქციის ჩანაფიქრი ზედაპირზე არ დევს (მოღვაწეთა უფროს-უმცროსობა ან რაიმე სხვა ქრონოლოგიური დრო მხედველობაში მიღებული არ არის). ამიტომ „ჩანაწერების“ მიმოხილვას იმ თანმიმდევრობით მივყვებით, რა რიგითაც ეს წიგნები ჩემს სანერგავიდაზე დევს (შემთხვევით, ყოველგვარი განსაზღვრული სისტემის გარეშე).

ოთარ ჭილაძის ჩანაწერები „ცა მინიდან იწყება“ ჯერ მარტო გარეგნულად იპყრობს ყურადღებას იმით, რომ მასში ავტორისავე ნახატები გამოყენებული. გალაკტიონის ასოციაციას აღძრავს უნებურად (არა მარტო ნახატების გამო, ცხადია. არის მათ შორის უფრო ღრმა სულიერი მსგავსება). წიგნს თამაზ ჭილაძის წინათქმა უძღვის, როგორც კარიდიდი, იღუმალ, უარესად ტყვად სამყაროში შესასვლელად. ოთარ ჭილაძე ქართველმა მკითხველმა იმთავითვე შეიყვარა, როგორც პოეტი, ხოლო მისი რომანები სრულიად განსაკუთრებულ მოვლენად იქცა. წინათქმიდან ვიგებთ, რომ ეს ჩანაწერები მწერლის რომანებზე ადრინდელია. მას, სამუალები გვაქვს, თვალს გავადევნოთ თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული მწერლის აზრთა მდინარეებს, მის ზიგზაგებს მანამ, სანამ რომანად იქცევა. ეს კი, დამეთანხმებით, დიდი ფუფუნებაა.

ეს ჩანაწერები თავიდანვე მკითხველისთვის განკუთვნილი არ ყოფილა. ამიტომ, ბუნებრივია, არ ჩანს აქ ოთარ ჭილაძის პროზისთვის დამახასიათებელი სტილი. ჯერ არ გამოკვეთილა, ან იქნებ ნაფიქრის სასწრაფოდ ქალაქზე გადატანას სწორედ ეს მარტივი, მხატვრულობისგან განძარცვული მეტყველება შეესაბამება. თვით ისეთი მარადიული (ზოგჯერ მოდად ქცეული და ზოგჯერ მთლიანად უარყოფილი) თემაც, როგორც სამშობლოს სიყვარულია, მოკლე წინადადებებით, მშვიდი ინტონაციით, „უბრალოდაა“ გამოხატული: „ჯვარზე ვიყავით. ტაძრის ეზოში ნახირი ძოვდა. მზე ჩადიოდა, მენამული სხივები თვალისმოჭრელად იჩხებ-

წინო ვახანია

ჩანაწერები „ჩანაწერები“

ბოდნენ არაგვისა და მტკვრის ხეობაში“. ამ ფრაზის სილამაზეს, გამომსახველობასა და ემოციურობას, ცხადია, ის ორიოდე ეპითეტი კი არ ქმნის, რომლებიც გამოყენებულია მასში, არამედ ღრმა, შინაგანი მუხტი, სინრფელი, უშუალოდა და ის მოუხელთებელი იდუმალეობა, რომელიც ქმნის კიდევ ნამდვილ მწერლობას.

მთელი ეს წიგნი რაღაცნაირად უფრო ინტიმურ გარემოში გვაცნობს მწერალს, თითქოს თავისუფალ დროს ყველა სხვა საზრუნავისაგან მოცილილი, მარტო შენ გიზის და ნება-ნება, სვენებ-სვენებით, აუჩქარებლად გესაუბრება — პირდაპირ, შეუღამაზებლად. და რაც უნდა თქვას, საითაც უნდა გადაიხაროს მსჯელობა, ბოლოს სათქმელი მაინც ერთგან იკვრის, ყველაფერს გვირგვინად ერთი აზრი, ერთი გრძნობა, ერთი ფიქრი ადგას: „არაფერია ამ ქვეყანაზე სამშობლოზე დიადი და საყვარელი...“

ზაჩანა ბრეგვაძის „ბოლო დროის ჩანაწერები“ ინტელექტუალური ხასიათისაა. ჩვენი დროის თვალსაჩინო მთარგმნელი, მეცნიერი, მოღვაწე, თავისუფალ დროს, ფიქრებში წასული, თურმე ზოგჯერ თავისთვის მახვილგონივრულ პარადოქსებსაც ინიშნავს ხოლმე. მაგალითად, ასეთს: „თავისუფლება სხვა არა არის რა, თუ არა პატიმრის გადაყვანა ვინრო საკნიდან ცოტა უფრო ფართო საკანი“, ან: „მხოლოდ მკვდრები არიან უკვდავნი“ და სხვა. მსგავსი ამ წიგნში უამრავია. რაზეც უნდა ფიქრობდეს და წერდეს მკვლევარი — პასკალსა თუ კანტზე, მარკუს ავრელიუსსა თუ არისტოტელეზე, ხეებსა თუ ცხოველებზე, წარსულსა თუ მომავალზე, მუდამ თავისი სამშობლოს, საქართველოს ანმყო წარმოუდგება თვალწინ. მთელი წიგნი ალბეჭდილია ღვთის ძიებითა და რწმენით. ხან ლოგიკური, შეურყეველი, მეცნიერულად დასაბუთებული, ხან იუმორისტული, საღალბო, ხან მოულოდნელი, პარადოქსული და ხანაც საყოველთაოდ ცნობილი არგუმენტების მოხმობა იმის დასამტკიცებლად, რომ ღმერთი ნამდვილად არსებობს, ადასტურებს ავტორის მიერ უზუნაესის არა მარტო ქვეცნობიერ, არამედ სახსებობით გააზრებულ რწმენას.

„სამყაროს ყველაზე მნათი სხეულები, შესაძლოა, სწორედ მათი სიდიდის გამო უხილავნი რჩებიან ჩვენთვის“, — ვკითხულობთ ერთგან. სხვაგან ნათქვამია, რომ მაღალი კულტურისა და სულიერი არისტოკრატიზმის „დანახვა“ იწვევს უბადრუკობისა და უღიშლამობის ჯანყს მის მიმართ ანუ „მასების ამბოხს“. მომხიბლავი აზრის ხვეულებში ზაჩანა ბრეგვაძესთან ერთად ხეტიალი, გამოუცნობი ბნელი ქიმერების გამოცნობა. „ჩანაწერების“ ავტორის „ცოდნის წრე“ ფრიად ფართოა, მრავალმხრივი ცოდნით შორს საზღვრებგადგმული, მაგრამ სინაწული მაინც იმი-სია, რაც იმ წრის გარეთაა და ალბათ, კაცობრიობისთვის საერთოდ მიუწვდომელი.

საგანგებოდ ჩაუნიშნავს ფრიდრიხ შლეგელის გამონათქვამი: „ცოდნასთან ერთად იზრდება არცოდნაც, ანუ არცოდნის ცოდნა“. ძალიან ბევრი უნდა იცოდეს ადამიანმა, რომ მიხვდეს არცოდნაც რა უსაზღვროა! თუმცა თვითონ ძალზე თავმდაბლურად შენიშნავს, მხოლოდ ხანდახან ვაზროვნებო. ამ საღალბო სიტყვებს თუმცა ხალისით ვკითხულობთ და მათში სიმართლის მარცვალსაც ვხედავთ. მაინც არ გვჯერა, რომ ეს წიგნი „ხანდახან მოაზროვნის“ მიერაა დაწერილი. ფიქრი, განსჯა, აზროვნება ადამიანის ცხოვრების წესია და როცა ასეთი ადამიანები ისვენებენ, ერთი შეხედვით არაფერს აკეთებენ, აი, სწორედ მაშინ ქმნიან ისეთ საინტერესო და სასარგებლო წიგნებს, როგორც ზაჩანა ბრეგვაძის „ჩანაწერები“.

ტარიელ ჭანტურიას „დინოზავრიდან დიზაინამდე“ ჯერ კიდევ წლების წინ შეიყვარა ქართველმა მკითხველმა. ახლა კი, უფრო შევსებული და გამრავალფეროვნებული, „ჩანაწერების“ სერიამი წარმოგვიდგა, და როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრი ხალისიც მოიყვალა, საკამათაც შემოგვთავაზა და საფიქრალიც. ტარიელ ჭანტურია ლექსის აღიარებული რეფორმატორია. მისი ახალი რითმები — სახუმაროც და სერიოზულიც — საყურადღებო მოვლენა გახლავთ ლიტერატურაში და თავის დროზე კიდევ განსაზღვრა ზოგადად ქართული ლექსის განვითარების ტენდენციები. მისი ჩანაწერებიც, ბუნებრივია, ხშირად ირონიულია (ეს სტილი ავტორისთვის დამახასიათებელია და ჩანს, ყველაზე უკეთ გამოხატავს მის შინაგან სამყაროს), მაგრამ — არა ყოველთვის. მწერლობა მისთვის ზოგადადსაკაცობრიო ინტრიგაა, განსაკუთრებით ძლიერი კი ამ თვალსაზრისით — მეშუარი. ალბათ, არანაკლებ — ჩანაწერებიც. უბის წიგნაკს ხომ ადამიანი ყველაზე დაფარულს, გულის ყველაზე ბნელ კუნჭულში შენახულს ანდობს. ყველა დახვეწილ, დამუშავებულ და მკითხველის სამსჯავროზე გამოტანილ ნაწარმშიც ავტორის გამოშვებული სული ჩანს, ცხადია, მაგრამ ასე ვთქვათ, ნედლ ნაწარმს თავისი ხიბლიც აქვს და დანიშნულებაც. შეიძლება რამდენიმე კრიტიკუ-

ლი წერილით ვერ თქვა ადამიანმა ის, რაც ამ მოკლე ფრაზაშია ჩატყული; „ილიას ძაგებით ილია ვერ გახდები. სხვათა შორის, ვერც ილიას ქებით გახდები ილია“.

ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია რამდენიმე ჩანაწერმა, რომლებიც მკითხველის აპოლოგიად შეიძლება მივიჩნიოთ. ცნობილი ჭეშმარიტებაა, მკითხველის გარეშე მწერლობაც რომ არ არსებობს. ბევრი კი არა, ზოგჯერ მარტო ერთი, ნამდვილი, გემოვნებიანი მკითხველიც სანატრელია. კი, მკითხველის საქებარი ესეებიც დაწერილა, მსოფლიოს გამოჩენილ მწერლებს შეუმკიათ მისი უდიდებულესობა. ე. წ. „მწელად საკითხავი“ მწერლების გულისტკივილი სავსებით გასაგები და ადვილად ასახსნელია. მაგრამ ისეთი პოპულარული მწერლისგან, როგორც ტარიელ ჭანტურიაა, მაინც გამოიკა ერთადერთმა სურვილმა, ამ წიგნს — მკითხველის წიგნს — მკითხველი დაურჩეს. არადა, რა მტკიცება უნდა, ტარიელ ჭანტურიას საქართველოში მკითხველი მუდამ ეყოლება, „ჩანაწერებს“ კი, დარწმუნებული ვარ — განსაკუთრებით ბევრი და გულისყურითი მკითხველი.



ვახტანგ ჯავახიძე, მიუხედავად იმისა, რომ უპირველესად პოეტი, კარგი პოეტი, ერთი წინასწარმეტყველების მიხედვით, მკითხველისთვის მაინც „უცნობის“ ავტორად იქცა. თუმცა მისი პოეტობა სულაც არ დაგვიწყობია. გვახსოვს, მოგვწონს და არ გვწყინდება ლალი, მსუბუქი, ჰაეროვანი, ძალდაუტანებლად მორაკაკე სტრიქონების კითხვა. აი, რას წერს პოეტი „ლექსიდან ლექსამდე“, ე. წ. თავისუფალ დროს, უფრო სწორად კი, საკუთარ თავთან მოსაუბრე, რაზე ფიქრობს, რაზე ოხუნჯობს, რა მოსწონს, რა — არა და კიდევ ათას საინტერესო კითხვას მისივე „ჩანაწერები“ უპასუხებს. რა გასაკვირია, რომ ვახტანგ ჯავახიძესაც უძებნია, უკვლევი ქართველთა ეროვნული თვისებები და ერთ-ერთ უპირველესად ლურსაბობა მიუჩნევია. მისი დაკვირვებით, ჭამა-სმის სიყვარული იმდენად მკვეთრად გამოხატული ჩვენში, რომ ყველა სხვა (კარგ თუ ცუდ) თვისებას აჭარბებს. აკი თვით ილია ჭავჭავაძემ საკუთარი თავიც მოიხარა ლურსაბში (ტარიელ ჭანტურია მკეროსტრატეს შთამომავლებად მიგვიჩნია). არ არის ეს, ცხადია, თანამემამულეთა სიძულელი. უფრო ტკივილს იმარხავს ასეთი დახასიათებანი, ვიდრე ნიშნის მოგებას ან თუნდაც ინდიფერენტიზმს.

შეუძლებელია, მკითხველი არ შეძრას იმ სიტბომ და სიყვარულმა, რომელსაც ვახტანგ ჯავახიძე თავისი მასწავლებლების მიმართ ამჟღავნებს. სკოლის მერეც გაგრძელებული გულთბილი ურთიერთობა, ცხადია, მოსწავლის გამორჩეულობაზეც მეტყველებს და მასწავლებლისაც (უნებურად გაგახსენდება კაცს, სკოლაზე რომ არ ყოფილიყო, პლატონიც არ იქნებოდა).

გასაკვირი არაა, რომ მთელ „ჩანაწერებს“ გალაკტიონის მსჭვალავს. წიგნის ერთი ნაწილი გალაკტიონის ეძღვნება, მაგრამ სხვა თემებთან დაკავშირებითაც ხშირად ახსენებს მას ავტორი. სადაც არ ახსენებს, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, იქაც კი გულისხმობს. გალაკტიონის ლანდი უჩინრად მუდამ თან სდევს და სინათლისა და ჭეშმარიტებისკენ მიუძღვის.

საკუთარ თავზე თუ ვერ ვიტყვი სიმართლეს, სხვებზე ხომ მაინც ვიტყვი სრულ სიმართლეს, — თავს იცავს უჩინარი მოპაექრისგან ბატონი ვახტანგი. სხვებზე — ანა კალანდაძეზე, მურმან ლებანიძეზე, გურამ ასათიანზე, გურამ დოჩანაშვილზე... უცხოელ მწერლებზეც და არამწერლებზეც მართლაც ბევრი საინტერესო რამ გავიგეთ. უფრო ფასეული კი სწორედ ისაა, რომ ამ „ჩანაწერებმა“ სწორედ ავტორი გაგვაცნო. გარდა იმისა, რასაც მკითხველი თავად მიხვდება და იგრძნობს (გიორგი ლეონიძეს უთქვამს, წიგნი პოეტის აბანოა), მწერალი ასე სცემს პასუხს შეკითხვაზე: „ვინ ვარ მე?“ — პოეტი, რომელიც ყოველთვის ეძებს და ხანდახან პოულობს, ხოლო თუ ვერ პოულობს, მაინც ეძებს... საუკეთესო თვითდახასიათებაა.

ლევან ბრეგვაძის „მარგინალიებში“ ჩანაწერები თემატურადაა დალაგებული, რაც კიდევ უფრო საინტერესოდ და იოლად აღსაქმელად აქცევს მათ. გაფანტულ, ერთმანეთთან დაუკავშირებელ, სპონტანურად ჩანერილ ფიქრებსა და განაზრებებს თავისი ხიბლი აქვთ, მოწეს-



რიგებულები, სისტემატიზებული, თემატიკური ყალიბში მოქცეულებს — თავისი.

მწერლის თვალში, როგორც ხშირად ხდება, ხედავს და აღბეჭდავს მეტს და სხვანაირად, ვიდრე სხვებისა. ვთქვათ, პიროვნების დასახასიათებლად, ალბათ, მწერალი თუ მიაქცევს ყურადღებას ასეთ დეტალს: გიორგი ახვლედიანს უთქვამს მაგალითი თოდუასთვის, აკაკის „ჩემ თავგადასავალს“ ვერ ვკითხულობ, მეტირება და წნევა მიწვევს; თვითირონიის კარგი ნიმუშია, როცა ბატონი ლევანი იხსენებს, როგორ დაიწყო ეპიგრაფების თარგმნა მას შემდეგ, რაც „კრიტიკის“ პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობიდან მოხსნეს. ამის გამო ჯარჯი ფხოველს უთქვამს: „სულ ვიძახი, კაცი უსაქმოდ არ უნდა დატოვო, თორემ ლექსების წერას დაიწყებს-მეთქი“. სხვაგან კი ავტორი მსუბუქი იუმორით, მაგრამ მაინც საკმაოდ კრიტიკულად მოიხსენიებს ერთ ადრინდელ საკუთარ თარგმანს და ასეთ კომენტარს ურთავს: „ამ თარგმანის ავტორს სამი საგნიდან (ართმეტიკა, გეოგრაფია, უცხო ენა) ერთ-ერთი მაინც რომ უკეთ სცოდნოდა, ასეთი რამ არ დაემართებოდა!“ დაშვებული შეცდომის შემჩნევა და ასე ლამაზად აღიარება მხოლოდ დიდი ბუნების, უაღრესად ერუდირებულ, პასუხისმგებლობის გრძობის მქონე, იუმორის ნიჭით დაჯილდოებულ, გემოვნებიან ადამიანს შეუძლია.


„მარგინალიზების“ ყოველი თავი (თუ კარი) თავისებურად მიმზიდველი და მომხიბვლელია, ხოლო რამდენიმე (მაგალითად, „თარგმანი, თარგმანი!“) პირდაპირ სახელმძღვანელოდაც გამოადგება დაინტერესებულ ადამიანს.

წერა, მოგვხსენებთ, საზოგადოდ მისტიკურობასთანაა წინააღმდეგობით, მწერლის მიერ თავისთვის ჩანიშნული სიტყვა თუ ფრაზა შეიძლება მოეჩვენოს მკითხველს ბუნდოვანი, გაუგებარი. ლევან ბრეგვაძის ეს ჩანაწერები, როგორც ჩანს, საგანგებოდაა გამოსაქვეყნებლად მომზადებული, რედაქტირებული. ალბათ, ამიტომაც ყოველი „ამბავი“ ნათელია, დასრულებული, შეკრული — ზოგი გასართობი, ზოგი ჩასაფიქრებელი, ზოგი სავესტის მისაღები, ზოგი — საკამათო, მაგრამ ყველა ჭკვიანური, კარგად გააზრებული.

ოთარ ჩხეიძის „დროადრო“ წმინდად დღიურია, ოცდაათწლიანი მონაკვეთის (1965-1995 წლების) მართალი და უტყუარი ქრონიკა. საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ ეს მხოლოდ ნაწილია იმ ჩანაწერებისა, რომლებიც ხელგაყვანილობით ცნობილი მწერლის არქივში აღმოჩნდა. ეს ნაწერები შიგნიდან, ახლოდან, ნათლად დაგანახებთ იმას, რასაც თვით თანამედროვეთა უმრავლესობაც კი გარედან, შელამაზებულ-შეფერადებულს ხედავდა. საოცარია, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ჩანაწერი ავტორს გამოსაქვეყნებლად არ შეუქმნია, ყველა, უკლებლივ ყველა შეკრულია კომპოზიციურად, დასრულებული ნოველას ჰგავს (ეს ფაქტი, ალბათ, ფსიქოლოგებს კარგ მასალას მისცემს ოთარ ჩხეიძის პიროვნული თვისებების საკვლევად).

უძიძიეს პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, კულტურულ რეალობას ხატავს ავტორი. კაცს ყრუოლა დაუფლის იმ უმსგავსობის შემხედვარეს, რის შესახებაც გვესაუბრება მწერალი. ოლონდ იმასაც აუცილებლად მიაქცევს ყურადღებას, რომ ტოტალური სიჭრუის, ძალადობის, სიყალბის მსხვერპლი, არც იუმორის გრძობას კარგავს, არც სხვისი თანაგრძობისა და რაც მთავარია, ყოველი ფრაზიდან ადამიანის სიყვარული გამოსჭვივის — მაშინაც, როცა მეგობრებს გვაცნობს და მაშინაც, როცა მტრებზე გვიყვება. იუმორს არ კარგავს-მეთქი... კარგავს კი არა, ზოგი პასაჟი ისე გულთანად აცინებს მკითხველს, თითქოს იუმორისტულ ნაწარმოებს (ნიჭიერად დაწერილს) ან აბსურდისტულ თხზულებას კითხულობდეს. თუმცა მხატვრული გამოწვევა ვითომ რით არის ცხოვრებისეულ რეალობაზე ნაკლები და უმნიშვნელო? ესეცაა, იქნება, ახლა გვეჩვენება ის მოვლენები და სიტუაციები აბსურდად და სასაცილოდ, თორემ თავის დროზე, ვინ იცის, როგორ უყინავდა სულს ადამიანს.

ოთარ ჩხეიძის იდეალი თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო იყო. სახელმწიფოს მთავარ საძირკვლად კი, თავისი დიდი წინაპრების მსგავსად, ენა და სარწმუნოება მიაჩნდა. მრავლისმთქმელია




წიგნის გარეკანზე გატანილი ჩანაწერი: „საკვირველი მაინც ისაა, ისევე ეკლესიას რომ ეჭვდებოდა ამ ურწმუნოების საუკუნეში, ისევე ეკლესიას რომ ვაფარებთ ენასა ჩვენსა, ისევე ეკლესიით რომ უნდა გამოვიხსნათ ენა ჩვენი ანუ ერი ჩვენი...“

ეძიებდით სიკვდილს ქრისტესთვისო, — ანდრეძე იბარებდა Vს-ის დიდი მეფე. „თავის განირვა თუ შეგიძლიან, უბედურიც აღარ უნდა გეთქმოდეს ამა ამოო წუთისოფელში“ — მეოცე საუკუნიდან ეხმარება დიდი მწერალი. სავალალო ის გახლდათ, გმირულად თავის განირვის საშუალებასაც რომ არ ტოვებდა ტრაგიკული თუ ტრაგიკომიკური ყოფა.

უამრავ საფიქრალს აღძრავს **მიხეილ ჯავახიშვილის** „უბის წიგნაკებიდან“, რომელიც რამდენიმე წლის წინ უკვე გამოსცა ლიტერატურის მუზეუმმა. დიდი მწერლის თითოეული სიტყვის მიღმა მთელი სამყარო დგას და მკითხველის გემოვნებასა და გუმანზედა ჰკიდია, რას იგულისხმებს უთქმელში. ტრაგიკული ბედის შემოქმედს ბევრი ჩანაფიქრის ხორცშესხმა არ დასცალდა. ამიტომ ბუნებრივია, დაუნერულ ნაწარმოებთა სევედა მსჭვალავს მისი უბის წიგნაკი მკითხველებსაც.

ჩანაწერთა გამომზადების ერთი თვალსაჩინო მნიშვნელობა ისიცაა, რომ შესაძლოა, უხილავი ხიდი გაიდოს გარდაცვლილსა და ცოცხლებს შორის, ერთის ნიჭიერმა და ნააზრებმა სხვებს მისცეს ბიძგი სამეცნიერო ნარკვევებისა თუ მხატვრული თხზულებების შესაქმნელად. ისევე როგორც როსტომ ჩხეიძის შემთხვევაში მოხდა, რომლის ექვსი თხზულება (მათ შორის ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და ალექსანდრე ბატონიშვილზე შექმნილი ნოველური რომანები) სწორედ მიხეილ ჯავახიშვილის „უბის წიგნაკიდან“ ამოიზარდა.

როსტომ ჩხეიძე არ არის ის კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარს, იგი მთლიანად შედგება ლიტერატურისაგან, — თვითონაც არაერთხელ აღუნიშნავს და სხველსაც გაუმეორებიათ ცნობილი გამოთქმის ეს პერიფრაზი. ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნებს მისი „გამოსვლები უეკრანოდ“ — ყოველდღიური ჩანაწერები მნიშვნელოვანი, შთაბეჭდავი, ემოციური ამბებისა, რაც ამ შემთხვევაში ნიშნავს აზრის გამოთქმას, მსჯელობას, შეფასებას მხატვრული ნაწარმოებისა. მკითხველს ახსოვს მისი გამოსვლები პირველი არხის დილის პროგრამაში („ალიონი“) და ახლაც გაუნელებელი ინტერესით ადევნებს თვალ-ყურს მის მიერ ახალი წიგნების მიმოხილვას საპატრიარქოს არხის გადაცემაში („განათიანი“). იმ საუბრების ერთი ნაწილის წიგნად გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში. ავტორი, როგორც სწვევია, ყოველთვის პირუთენელია. მისი ღრმა განსწავლულობა, უცდომელი გემოვნება, სამშობლოს სიყვარული განაპირობებს ამ შეხედულებას-შეფასებასა სანდოობას. გარკვეულწილად, ეს წიგნი კომპასივითაა გაშლილ ზღვაში (ან ტყეში) მოხვედრილი გამოუცდელი მოგზაურისათვის. გაგოცებთ ჯერ მარტო სიმრავლე ავტორებისა, მერე მწერლის უნარი, მოკლე ჩანაწერით არსებითად დაახასიათოს ავტორიც,



წარმოებებიცა და ეპოქაც. ეს არ არის ერთხელ წასაკითხი წიგნი, რომლისგანაც მიიღებ ღრმა შთაბეჭდილებას, შეივსები, ისწავლი და გვერდზე გადადებ. ინფორმაციის მოცულობა და ანალიზის სიღრმე არ გაძლევს იმის უფლებას, ერთხელ ნაკითხვა იკმარო. მას უნდა მიუზღუნდე. კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით კვლავ ჩახედო, დაინტერესდე შენთვის ჯერ კიდევ უცნობი ავტორითა და წიგნით, გაგიჩნდეს ნაცნობის სხვა თვალთ ნაკითხვის სურვილი.

ისიც მნიშვნელოვანია, რომ ჩანაწერები ხელუხლებელია და ავტორს ზედმეტად მიუჩნევია მათი გადაშუქება წიგნის გამოსვლის წინ, ასე უფრო მომხიბლავიცაა, რადგან მწერლის განწყობის გარდა, ქვეტექსტიც უფრო გამჭვირვალედ იკითხება. ისე, რომც მოენდომებინა, ბევრს, ალბათ, არას შეცვლიდა იმიტომ, რომ დრომ კი არ გაახუცია, მეტადაც კი წარმოაჩინა ამ ჩანაწერების სიმართლე და გულწრფელობა — როგორც ნამდვილ ფასეულობას შეეფერება.

იოსებ ჭუმბურიძის ჩანაწერებს ფრიად ორიგინალური სათაური აქვს: „არ ეწყინება ყოვლადღიურსო... ვითომ ერთგვარად ბოდბის მოხდაა, შიშია, იმით, რაც დავწერე, უფალი არ გავანაწყენოო თუ სწორედ საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული კაცის უკომპრომიზობაა? ორსავე შემთხვევაში ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი და საინტერესოა. ჩანაწერებში კალამომორჯვებული მწერალი და ჟურნალისტი კი არა, ხმაღამიშვლებული მეომარი გვხვდება. ყოველ კულტურულ, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ყოფით, ლიტერატურულ თუ სხვა რიგის მოვლენაზე ავტორის საკუთარი აზრი, საკუთარი პოზიცია, საკუთარი არგუმენტები აქვს. ეს აზრი ზოგჯერ ემთხვევა საზოგადოებაში გავრცელებულსა და დამკვიდრებულ შეხედულებებს, ზოგჯერ მკვეთრად განსხვავდება მათგან. მკითხველიც ხან თუ სრულად იზიარებს ავტორის განწყობას, ხან, შესაძლოა, რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდეს ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენისადმი, მაგრამ არასდროს, არც ერთ შემთხვევაში გულგრილი არ რჩება ნაკითხულის მიმართ. „იოსებ ჭუმბურიძე ჩანაწერებისთვის კი არ წერს, არამედ ამ ჩანაწერებით საქმეს აკეთებსო“, — სავესტით მართებულია შენიშვნა გიორგი გოგოლაშვილმა თავის ჩინებულ გამოხმაურებაში და ამის დასადასტურებლად რამდენიმე მეტყველი ნიმუში მოიყვანა. ჭეშმარიტად და ვგონებ, იოსებ ჭუმბურიძის ჩანაწერები ილიას სიტყვებსაც მოიხდენს: „მისი სიტყვაც თვითონ საქმეა“. საინტერესოა, რომ წიგნს უძღვის ამონარიდები ექვსი მოღვაწის პუბლიკაციებიდან და ექვსივე როგორც ერთი, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღებას ამახვილებს ავტორის სტილზე. მართლაც თვალმისაცემია: წიგნში აზრები არა მარტო მართლად, საქმის ღრმა ცოდნით, არამედ ლამაზად, მიმზიდველად და მონოდებული, გადმოცემული.

გურამ ბათიაშვილის „სახეები და სიტუაციები“ ნაწილობრივ დაიბეჭდა ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“ და იმთავითვე გამოიწვია მკითხველის ინტერესი. ავ-

ტორი, ტომით ებრაელი, ქართველი მწერალია და ორივე სამშობლოს, ორივე ერს ერთნაირი თავდადებით ემსახურება. აქ სიტყვას არ განვადგინებთ ქართველებზე, მრავალსაუკუნოვან გამორჩეულ ურთიერთობაზე. ეს ისედაც საყოველთაოდაა ცნობილი. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ბატონი გურამი თითქოს სიმბოლოა, ცოცხალი განსახიერებაა, ამ, ორივე ერისთვის თავმოსანონებელი ურთიერთობისა. წიგნში პირველივე ჩანაწერი სიტყვის აპოლოგიაა, სადაც გურამ ბათიაშვილი სიტყვას — დაწერილს, სცენაზე წარმოთქმულსა თუ სულაც ნაფიქრს — ასხამს ქებათა ქებას. არ არის გასაკვირი, რომ წიგნის დიდი ნაწილი უჭირავს თეატრთან დაკავშირებულ ფიქრს, განსჯას, მოგონებებს. მწერლის განმარტებით თავისი სამგანზომილებიანი ცხოვრების ერთი ნაკადი ხომ ქართული თეატრია. ბევრის მნახველი, ბევრის განმცდელი, გონებისა და გულის თვლით მხედველი მწერალი გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებას, იმნამიერ გრძობებსა და განცდებს, როცა „ცხელ გულზე“ ინიშნავს მათ ქალაღზე. მკითხველისთვის დიდი ფუფუნებაა ამდენ ადამიანთან საუბარი, ამდენ ქვეყანაში მოგზაურობა, ამდენი კულტურის გაცნობა. ამ ფუფუნებას უშურველად იმეტებს ჩვენთვის გურამ ბათიაშვილი, ეგ კია, ალბათ, ეჭვი ეპარება პოეტის სიტყვების სიმართლეში: „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“. თურმე, შეიძლება, ორი სამშობლო ჰქონდეს ადამიანს და ორივე ერთნაირად გულწრფელად, ცხელი გულით უყვარდეს...

ერთ წიგნში თავი მოიყარა მე-19 საუკუნის ოთხი ქართველი მწერლის დღიურებმა. **თეიმურაზ ბაგრატიონის, გრიგოლ ორბელიანის, გიორგი ერისთავისა და დიმიტრი ყიფიანის** ჩანაწერები ერთმანეთისგან განსხვავებულია, როგორც საერთოდ ყველა დღიური და ამავე დროს, თითქოს რაღაცით ერთმანეთის მსგავსიც. მაინც რა აერთიანებს, რა აკავშირებს მათ ერთმანეთთან? გარდა ეპოქისა, რა თქმა უნდა, სხვის მიერ დაპყრობილი სამშობლოს ბედი თუ უბედობა. მათი ნაწარმოებებიდან ხან ცხადად მოისმის, ხან სტიქონებს შორის შეფარულად იკითხება კენესა-გოდება, იკვეთება ზოგჯერ უაღრესად პესიმისტური განწყობა, არაიმპროვიზოდა კი — საკუთარი ღრისთვის შეგრძნებით განმტკიცებული ოპტიმიზმი. ყოფით დეტალებში საზოგადოებრივი ცხოვრება ჩანს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ თამაზ ჯოლოგუას მიერ შედგენილი, სანდო შენიშვნებითა და კომენტარებით აღჭურვილი ეს წიგნი სპეციალისტებისთვისაც ფასდაუდებელია.



თამაზ ჭილაძის „ონინარი“ 1948 წლიდან 2011 წლის ბოლომდე პერიოდულად იწერებოდა. მასში არეკლილია ავტორის განწყობილებათა ცვლა, საინტერესოდაა აღწერილი ოჯახური, ყოფითი გარემო და საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება. ყურადღებას იქცევს მოკლე, მოკვეთილი აფორისტიული ფრაზები, ორიგინალური შედარებები, სამყაროს თავისებური ჭკრეტა. წიგნიდან მშვიდი, ფიქრიანი, მკვირილიანი მწერალი გვესაუბრება, რომლის ნააზრევი სხვებს, გონებით მხედველთ, შესაძლოა, გზად და ხიდად გამოადგეს.

უაღრესად საინტერესოა **გურამ რჩულიშვილის** ჩანაწერები. თავისი ხანმოკლე ლიტერატურული მოღვაწეობის მანძილზე მხატვრული ნაწარმოებების გარდა უბის წიგნაკის პანორამასაც ქმნიდა — ხან ყოველდღიურ ამბებსა და მოვლენებს ინიშნავდა, ხან საკუთარ გრძობებსა და განცდებს აღწერდა, ხან ფილოსოფიურ ფიქრებს ანდობდა ფურცელს, ფიქრებს, სამყაროს მრავალფეროვნებას რომ აირეკლავს, მომავალსაც წარმოიდგენდა, აწმყოს ხომ ყოველმხრივ უტრიალებდა, განსჯიდა, სულის ნებისმიერ მოძრაობას აკვირდებოდა, სწავლობდა ისე, როგორც ალბათ, ჩვეულებრივ იქცევიან ხოლომდ მწერლები. ვერ ვიტყვი, რომ ეს ნაწერები მწერლობისთვის მომზადებაა, უფრო-უკვე მხატვრულ სიტყვაში გაცხადებული აზრია. ამ თვალსაზრისით, გურამ რჩულიშვილის „ჩანაწერები“, როგორც კარგად არის აღნიშნული წინასიტყვაობა-



ნინო ვახანია

ჩანაწერები „ჩანაწერებზე“



ში, მისივე შემოქმედების განუყოფელი ნაწილია. ზოგჯერ დაუხვეწავი ფრაზაც შეგვხვდება, მაგრამ ამასთან ერთად დაკვირვებულ თვალთან, საკუთარ შემოქმედებით პრიზმაში გატარებულ ყოფასა და გულწრფელობასთან ერთად უკვე დიდი ოსტატობაც ჩანს და ისევე და ისევე ავტორის უსაზომო ნიჭიერებასა და შესაძლებლობებს ადასტურებს.

ივანე ამირხანაშვილს ქართველი მკითხველი იცნობს, როგორც ჩვენს სინამდვილეში ერთ გამორჩეულ პუბლიცისტსა და მკვლევარს. მისი „თავისუფლების პარადოქსები“ ჩვენი უკანასკნელი ოცნდელის სარკეა. ოღონდ შემთხვევითი პიროვნების კი არა, ღრმა ანალიზის უნარის მქონე, მოვლენათა გულისგულში მწვდომი ადამიანის მიერ მოტანილი სარკე. მასში არეკლილი ჩვენი ცხოვრება უთუოდ უკეთესის დანახვის სურვილს გააჩენს. ავტორს კი, ილიას კონცეფციის მიმდევარს, ამით ჩვენი გაბრაზება კი არ უნდა, მომავლის კონტურების წარმოჩენა სურს. როგორც გვინდა მომავალი, ისეთი საფუძველი უნდა შევუმზადოთ დღეს. უაღრესად განათლებულმა, მსოფლიო ლიტერატურისა და ისტორიის მცოდნე კაცმა უამრავი მაგალითის, ნიმუშის მოხმობით სცადა დავერწმუნებინეთ, რომ თავისუფლებისთვის ბრძოლაშიც და თავისუფლების მოპოვების შემდეგაც ეროვნული იდეოლოგია უნდა წარმართავდეს სახელმწიფოს ყველა ნაბიჯს, ყველა ქმედებას, თუ არა და, თავისუფლებაშიც იცის პარადოქსები — ვისთვის სასაცილო, ვისთვის ტრაგიკული.

„ჩანაწერების“ სერიით გამოცემული თითოეული წიგნი, ბუნებრივია, მის ავტორს გვაცნობს. ვის შემოქმედებასაც კარგად იცნობს მკითხველი, „ჩანაწერებს“ მის ბიოგრაფიაშიც, მისი პიროვნების ჩვეულ აღქმაშიც რაღაც ახალი შტრიხი, მანამდე უცნობი თუ შეუნიშნავი სხივი შეაქვს ხოლმე. სხვაა, როცა ავტორი თითქმის სრულიად უცნობია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის. მასთან შეხვედრა, პირველი და წარუშლელი შთაბეჭდილების მოხდენა სწორედ ამ კრებულს ეკისრება. **ზურაბ ცხონდიას** „რაც უნდა დუმილით მეთქვა“ შესანიშნავი სავიზიტო ბარათი აღმოჩნდა ამ არაჩვეულებრივად მომხიბლავი ადამიანის გასაცნობად. მით უმეტეს, რომ წიგნს უძღვის რედაქტორის, როსტომ ჩხეიძის ღრმად გააზრებული, ტევადი, ემოციური, ეფექტური წინასიტყვაობა. „ზუგდიდი ზურაბ ცხონდიაცაა, თავისი ქალაქის საუკეთესო თვისებათა შემკრები და გამამთლიანებელი საკუთარ არსებაში, არტისტული მგზნებარებით რომ მოაქვს სიტყვის მაღლი და ძალა მსმენელამდე“ (ციტატა წინასიტყვაობიდან).

იცის ზურაბ ცხონდიამ, რომ „დუმილი ოქროა რჩეული“, მაგრამ ისიც არ ავიწყდება, რომ სოფლისა და ზესთასოფლის დამაკავშირებელი, სამყაროს არსისა და საიდუმლოს დამმარხველი, ადამიანის ადამიანობის დამადასტურებელი... მხოლოდ

სიტყვაა, ამიტომ მოაქვს ესოდენ დიდი სიხარული მის მართალ, ძლიერ, სიცოცხლის სიყვარულით სავსე სიტყვას.

ლადო ასათიანის ჩანაწერებს ადრეც იცნობდა მკითხველი, ახლა კი მან ამ სერიის წიგნებიც დაამშვენა. ქართველთა ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი პოეტის ნაფიქრი, ზოგჯერ გულუბრყვილო, უმეტესად კი ღრმა და ამაღლებული ნააზრევი ღვთიური ნიჭით არის აღბეჭდილი. როგორ ეფერება პოეტი ქართულ სიტყვას — როგორ ეძებს ხალხურ მეტყველებაში, მხატვრულ ნაწარმოებებში, ტოპონიმებსა თუ ანთროპონიმებში... ეძებს, პოულობს და კიდევ აქცევს ცოცხალ მარგალიტად. არ დასცალდა, როგორც თავად იტყვდა, წელიწადივით მწველი წადილის ბოლომდე ასრულება, თუმცა უღექსოდ ერთი დღეც არ უცოცხლია, თვით სიკვდილიც ლექსად გარდაქმნა და დაგვიტოვა ნათელი, სადა, ყველასათვის გასაგები და საყვარელი, თუმცა როგორც ივანე ამირხანაშვილი აღნიშნავს წინასიტყვაობაში, ჯერაც ბოლომდე აუხსნელი და შეუცნობი შემოქმედება.

ესმა ონიანის „ძველი რვეულებიდან“ რატომ წერო, რა სარგებლობა მოაქვს თქვენს შემოქმედებას? — კითხულობს პოეტი და კიდევ ერთხელ უტრიალებს ათასგზის გადაუწყვეტელ საკითხს. რა სარგებლობა მოაქვს ვისთვის? მწერლისთვის თუ მკითხველისთვის? თუ ორივესთვის? შესაძლო პასუხთა მთელი ამპლიტუდა ამ ორ პასუხს შორის მერყეობს: ან ყველაფერი (უზარმაზარი, აუნწონელი-გაუზომავი), ან — არაფერი. ესმა ონიანის განსაზღვრებით, წერს იმისთვის, რათა „არ ვაძლევდე მის [ადამიანის] სულს პირველადის, ბედნიერის, კეთილის დაიწყების საშუალებას,“ — ერთი საუკეთესო (ლამაზი და ჭეშმარიტი) ახსნა აუხსნელისა. ასეთი ამ წიგნში უამრავია. ყველა ჩანაწერი (ზოგი ნოველ-ადაც წარმოგვიდგება), სალაღობოცა და სავსებით სერიოზულიც, გვაახლოებს პოეტ ესმა ონიანთან, მხატვარ ესმა ონიანთან...


სხვათა შორის, საგანგებოდ უნდა აღვნიშნო, რომ ერთი სიამოვნებაა ამ სერიით გამოცემული წიგნების მცირე თუ შედარებით ვრცელი წინასიტყვაობების კითხვა (რომლებსაც კი ის უძღვის). ყველა რედაქტორი, ყველა შემდგენელი, წინასიტყვაობის ყველა ავტორი არა მარტო პასუხისმგებლობითა და საქმის ცოდნით ასრულებს თავის მოვალეობას — ეს თავისთავად — არამედ იმ მწერლისა თუ მოღვაწის განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემითაც, რომლის „ჩანაწერებსაც“ ამზადებს გამოსაცემად.

დარწმუნებული ვარ, გამომცემლობა „ინტელექტის“ გამორჩეულ პროექტს „ჩანაწერები“ მომავალშიც არაერთი წიგნი შეემატება, რომელიც არამარტო ქართული ლიტერატურის მკვლევართათვის იქნება საინტერესო და მნიშვნელოვანი, არამედ მკითხველთა ფართო წრისთვისაც.

რეცენზია

1886 წელს, თითქმის 130 წლის წინათ, ილია ჭავჭავაძე ასე განუმარტავდა „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ“: „ლექსი პოეზიის შვილია. რა არის პოეზია, ამას ვერა კაცი ვერ აგისხნის, მთქმელიც ტყუილად მოსცდება და გამგონიც. პოეზია საგრძობელია და არა საცნობელი.“ ამ სიტყვების საჭირო ჭეშმარიტება უაღრესად თანამედროვეა დღესაც: ლექსის ტექნიკის უკიდურესი გატაცებისა და უსაზღვრო ძალმოსილების ეპოქაში: ვერლიბრისა და ვერბლანის გვერდით, კომბინატორული პოეზიის უამრავმა ფორმამ (მეზიუსის ბაბთა, ფრაქტალები, ანტიგრამა, ლიტერატურული ცილინდრი, ე. წ. „ბერძნულ-ლათინური კვადრატი“ (ჟაკ რუბო, ჟორჟ პერეკი), ჟაკ ბიონის „ირაციონალური სონეტი“, ფრანსუა ლე ლიონეს „იდების კოლოფი“ — ლექსი იკითხება ფერადი უჯრედების მეშვეობით და მრავალი სხვა) თითქმის გააფერმკრთალა ლექსის თავდაპირველი დანიშნულება: იგი პოეზიის გარეშე მხოლოდ საინტერესო გასართობი და თავშესაქცევისა და არაფერი აქვს საერთო ემოციური მუხტისა და დაძაბულობის შუამავლობასა და ზიარებასთან.

...თანამედროვე ლექსის ტექნიკის შესაძლებლობათა გაფართოების ფონზე, საოცარია, რომ არ ნელდება ინტერესი უძველესი იაპონური სალექსო ფორმების: ტანკასა და ჰაიკუს მიმართ. XXI საუკუნის მსოფლიო კვლავ წარმოშობს კადინს — ახუ



თამარ ბარბაქაძე

„ლექსი პოეზიის შვილია“

ტანკას მთხვევს. ტანკას ქართველი ავტორი საკუთარ თავს იაკი კაბედგვაცნობს, რათა პოეტური გარდასახვის ჯადოქრული ძალით მიადნის თითქმის შეუძლებელს — იაპონური ეროვნული სალექსო ფორმა ბუნებრივი და ახლობელი გახადოს ქართველი მკითხველისთვის. ტანკა — „პატარა სიმღერაა“, ერთი შეხედვით, „არ არის მკაცრი“: ურთიმოა და, თითქოს, მკაფიოდ შესაგრძნობი მეტრიც არ არის საჭირო; თუმცა კლასიკური ტანკა 31 მარცვალს შეიცავს (5+7+5+7+7).

იაპონური პოეზიის მიმართ ინტერესი საქართველოში განსაკუთრებით გაღვივდა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც პერიოდულ გამოცემებში გამოჩნდა თარგმნილი და ორიგინალური ტანკა და ჰაიკუ. მურმან ლებანიძის „უკვდავ ყვავილებში“ შესული თარგმნილი იაპონური პოეზიის ნიმუშები მალე გაითავისეს ქართველებმა. XXI საუკუნის პირველ ათწლეულში კი არანახულად გაიზარდა იაპონური პოეზიით დაინტერესებული ქართველ პოეტთა, მთარგმნელთა და მკვლევართა რიცხვი (ირმა რატიანი, ლელა მეტრეველი, მამუკა ბადრიძე, ზაალ ჩხეიძე და ასე შემდეგ).

იაკი კაბეს 100 ტანკა საუკეთესო საჩუქარია მკითხველთა იმ წრისთვის, ვისაც უყვარს იაპონური კულტურა, პოეზია, სადაც მეზობლობა სულიერი სიახლოვით იზომება და ფიზიკური სიშორე სრულად ქარწყლდება. კრებულის მე-7 ტანკა გვარწმუნებს, რომ ბედნიერება მხოლოდ ერთურთის სულის თანაზიარებით მიიღწევა, რომ პოეზია „საიდუმლოა განდობილთათვის“:

სამი წელია, რაც მეზობელმა ღობის იქით მოჭრა ლეღვის ხე. სამი წელია, ღობის აქეთ არ ყვავილობს ჩემი ატამი...

ლეღვისა და ატმის ხეთა მსგავსად, ღობის, საზღვრების აქეთ-იქით ყვავის და ბედნიერებისკენ ილტვიან სხვადასხვა ერისა და კულტურის ადამიანები, რომელთა სულს ერთი საზიარო სწრაფვა აქვს: უზენაესი მშვენიერების წვდომა და სიტყვებით გამოხატვა. იაპონური ტანკა ამჯერად სიმბოლური ფორმით ავტორისთვის ამ მიზნის მისაღწევად.



გაგა ნახუცრიშვილი

ნიგნიდან „ზაფხულის ღამეები“

სიცხე ჩრდილს ეძებს, ჩრდილი კი სიცხეს,
გზები მეძახის ცხელი, ხრიოკი,
ვერ გავეძეცი დასიცხულ სიზმრებს,
უცბად მოვიდნენ, ამანოიკეს.

და გზაც ხრიოკი, სიცხეში იწვა,
და იყო მზე და უდაბნოც, ქვიშაც,
როგორც უთქმელი სულ ბოლო სიტყვა,
რომელიც თურმე არაფერს ნიშნავს.

დამდნარა მთვარე ზაფხულის ცაზე,
ისე ცხელა, რომ ცაც კი გახუნდა,
და მე ვიგონებ უაზროდ ფრაზებს,
გამოდის რაღაც სულ აბდაუბდა.

არავინ არის ამჯერად ხაზზე,
სძინავს მინას და სძინავთ პლანეტებს,
არავინ მოდის, არ რეკავს კარზე,
ღამის სიცხეა ჩუმი, ასეთი...

ისე წავიდა, ისე დამშორდა,
რომ არ დატოვა არც გზა, არც კვალი.
ალბათ უბრალოდ სადღაც აორთქლდა,
როგორც ზაფხულის ღამის ვარსკვლავი.

ზაფხულიც მიდის, თურმე თენდება,
სიცხე და ღამე იცვლიან ფერებს,
ზაფხული ნელა, ნელა ბერდება,
მოდის ყვითელი, წყნარი სიბერე.

თვალეებს ვახელ და ფანჯარას ვაღებ,
მიყვარს თბილისის აგვისტო წყნარი,
როცა წავიდა ჩემგან შორს ხალხი,
როცა ჯერ არ ჩანს ქარი, ზამთარი.

როცა ვიგონებ დასიცხულ რითმებს,
ცოტა პროზასაც ვამატებ ბარემ,
ვინც რაღაცას, ვამთავრებ თითქმის,
დადნება მთვარე, ზაფხულის მთვარე.

ავიღებ ფანქარს, მინდა დავხატო,
მაგრამ არ ვიცი მჯღაბნელმა ხატვა,
მსურდა მეჩუქნა ღია ბარათი,
და მომენერა: როგორ ხარ, სად ხარ?

სად ხარ ამ ღამით, ღამით ზაფხულის,
სად გადის ის გზა, ანდა ის ზღვარი,
რომ მოვიგონოთ დრო გარდასული,
რომ დავიბრუნოთ ძველი სიზმარი.

დამდნარა მინა, ცა კი აორთქლდა,
გამოიდარა, უკვე არ ცხელა,
საიქიოსთან, სააქოსთან,
არც ნათელია, მაგრამ არც ბნელია.

ხან როგორა ვარ, და ხანაც როგორ,
არც მდიდარი ვარ და არც დუხჭირი,
მანაც ვერ მივხვდი, რა მინდა ოღონდ,
მაგრამ არ ვყებდობ, არც ვარ მუნჯივით.

სისულელეა ზავიც და ბრძოლაც,
ვიცხოვრო სიზმრით, ანდა სიცხადით,
ან მოვიყვანო ის ქალი ცოლად,
ან გავაგრძელო ყოფნა ხიფათით.

რაც წასულია, არასდროს მოვა,
მაგრამ არ დგება მანაც წყვილიადი,
ალბათ მიყვარდა, თუმცა მარტო ვარ,
უხასიათო მაქვს ხასიათი.

ვითელი ნაბიჯებს, არ ღირდა დათვლა,
ღრუბლების ქვეშით მანაც არ წვიმდა,
მივაგენი და ვიდექი კართან,
დახურულ კართან დგომა არ ღირდა.

ბევრ ტყუილს ვთხზავდი, ვურევდი მართალს,
რაც ჩვენს ცხოვრებას მანაც არ ცვლიდა,
ზამთარი — ზაფხულს, ზაფხული — ზამთარს,
ენაცვლებოდა, რიცხვებს არ თვლიდა.

მზეს ზღვაში ჩასვლა თითქოს რცხვენია,
თითქოს დაკარგა სახეზე ფერი,
და განშორებაც არაფერია,
მერე შეხვედრა უფროა ძნელი.

ზაფხულის ღამე მიდის, გაქრება,
მერე იწყება დღეები სველი,
და დროის ჩქარმა ლიანდაგებმა,
წაიღეს ყოფა ძველი და ნელი.

რას მეუბნება, რას მეუბნება,
გასულ დღეების ტკბილ-მწარე ექო,
ახლა ხანმოკლე მაქვს შვებულება,
შენთან ვზივარ და რაღაცას ვყებდობ.

რას გამახსენებს, რას გამახსენებს,
დღეების ექო, დღეების ექო,
რომ სხვა მოგიყვე, სხვა დანარჩენი,
ეჰ, მგონი, ცოტა უნდა გავერთო.

ნიგნიდან „ლაკონური“

უადგილობა ადგილს რად ეძებს,
სიცარიელეს სიტყვით რად ვამკობ
ან კიდევ გზებზე, ხალხმრავალ გზებზე,
რატომ დავდივარ ჯიუტად მარტო.

და მოგვერია მანაც სიმთვრალე,
ვერ ვთქვით სათქმელი სწორად და დროზე,
ვერ შევიცვალეთ, არ შევიცვალეთ,
და სხვა უდაბნოს დაეძებს მოსე.

დრო ხომ წამია და თან ხანგრძლივი,
დუმბილი სჯობდა და მანაც ითქვა,
რომ სიმბოლოა ხანაც არნივი,
ხანაც მშიშარა, ბოროტი ვირთხა.

ძველი დრო. სიცხე. ჩემი დუქანი.
მაგიდა. ქერი. წუილი. კოლო.
ეშხიანი და ოდნავ მსუქანი,
ღვინოს მომართმევს ღიმილით გოგო.

როგორი მჭავე, მძალე ღვინოა,
ამ ცხოვრებაზეც ვერაფერს ვიტყვით,
რომელიც თურმე მხოლოდ კინოა,
მთავრდება ერთი შავ-თეთრი ტიტრით...

სინუს, კოსინუს, ალფა, წილადი,
გამოთვალე და ჭკვიანურს იტყვი,
და თუ კი გინდა გახდე დიადი,
ცოტათი მანაც იყავი ბრიყვი.

იბრუნოს, რადგან არსებობს ბრუნვით,
რომ ვარსკვლავებიც დაბრუნდნენ ცაზე,
იმ ძველი წიგნის რომ მეცეს სუნიც,
რომელსაც მიაქვს ყოფის სიბრაზე.

აზრი არ ქონდა და მანაც გავჩნდი,
რატომ არ გავჩნდი ამ ხედ ან იმ ქვად,
ანდა რატომ ვარ, ქალაქში, სახლში,
ეჰ, მეგობარო, ეს უკვე ითქვა.

სულ ვამბობ, უნდა დავწერო ბნ.კარი,
უკანასკნელი ან ბოლოს წინა,
მოვასწრო, სანამ მოვა ცისკარი,
სანამ სინათლემ არ მოიწყინა.

ქალმა იკითხა: „სად არის კაფე?
დიდი ხანია ამ გზებზე ვმგზავრობ...“
მე გამეცინა, ვუთხარი: „ვნახე,
მოდის, ვიმგზავროთ ერთად თან მარტო“.



აოქატი

ეთერ თათარაიძე

ვინც ქართულ ხალხურ პოეზიას, უძველესი ორიგინალური მწერლობის ნიმუშებსა თუ მთანმდებლების თარგმნულ ტექსტებს იცნობს, ის ეთერ თათარაიძის ლექსებში ამოკითხულ სიტყვებსაც — ზოგიერთისთვის უცხოა და გაუგებარს — ძველი, კეთილი ნაცნობი შეეყრება, არც მის პოეტურ ენას გაიოცებს, არც სიმბოლური სურათ-ხატები დარჩება ამოუხსნელი. მისი პოეზია ბუნების ნაწილად ქვეყნულ მთელსა სულის ნიალიდან მოდის. მთაში არასოდეს დარღვეულა კავშირი წინაპართა სულებთან, ცხოველი იყო ღმერთის განცდა, იქაური მკაცრი კლიმატური თუ საყოფაცხოვრებო პირობების გამო, ადამიანი შეგნებით სასოებდა უზენაესს, ესაუბრებოდა მას, იხედებოდა საკუთარ თავში, უფიქრდებოდა თავის უბრალო ყოფას და მის მიღმა მთელ სამყაროს ჭვრეტდა. დღემდე, როგორც მარლი — ხორციელ საზრდოს, საქართველოს მთიანეთი წარუვალ ღირებულებებს, წინაპართა სულიერ მემკვიდრეობას ასე ინახავს. ეს გაა ეთერ თათარაიძის პოეზიაში, მის „თუშურ ისტორიებშიც“ გრძელდება.

ქალბატონი ეთერი თავისი ლექსების ახალ-ახალი გამოცემებით არ გვანებოვებს. მისი პოეტური კრებულები დიდი ხნის ინტერვალებით იბეჭდება. მოთხრობები კი სხვა ქართველ ავტორთან ნაწარმოებებთან ერთადაა გამოცემული. მხატვრულ ლიტერატურაზე არანაკლებ საინტერესოა ის ნიგნები, რომლებიც ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს ეძღვნება და რომლებზეც, ხშირად მეუღლესთან, ფოლკლორისტ ამირან არაბულთან ერთად, წლების განმავლობაში უმუშავია. მათ შორისაა ცნობილი ნიგნი „მამამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი“ — ვაჟა-ფშაველას შვილის, გულქან რაზიკაშვილის ნაამბობი, „ალათო“ — ოცი წელიწადი წინ წარმოვიტყვი მასალის საფუძველზე აკინძული თუში ქალის სამიჯნური ისტორია, რომელიც მკითხველის თვალწინ სინამდვილიდან ლეგენდად იქცევა, „შენდობით მომიხსენიეთ“ — უძველესი ქართული საფლავების ქვათა მოხატულობასა და წარწერებზე შექმნილი ალბომი, ლიტერატურული პრემია „საბა“ რომ მიენიჭა და კიდევ არაერთი სხვა ნიგნი.

ქალბატონ ეთერს შევხვდი საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში, სადაც ის ზეპირსიტყვიერების მიმართულე-ბას ხელმძღვანელობს.

— ლექსებს არც ისე ხშირად გამოსცემთ. თქვენი ძველი კრებულები მკითხველის ხელში დაიცრია კიდევ. პოეტისა და ფოლკლორისტის ახალ ნიგნებს ველოდებით.

— ახალი ნიგნი ცხრა წელიწადში ერთხელ მელირდება ხოლმე. ვგრე დამეკვება. ალბათ ოდესღაც ამხდებოდა ოცნება, ჩემი ლექსების სრულ კრებულს გამოცემ. ზეპირსიტყვიერებაშიც ბევრი მასალა დამიგროვდა. ხუთი ნიგნი მზადაა გამო-საცემად. ერთ-ერთი — თუში მოხუცი ქალების, ბერდებების ნათქვამებზე, მათ მრწამსზე ავაგე. ნიგნი არ დამიგვემავს, ვნერდი დროდადრო, განწყობილების მიხედვით, როცა ვფიქრობდი რეალურ ცხოვრებაში ისინი როგორ მოიქცეოდნენ, რას იტყოდნენ-მეთქი. იქ დროისა და სივრ-ცის მიღმა აღმოჩნდება მკითხველი, ზოგან ნამდვილად ბერდებების ნათქვამებს შეხვდება, ზოგან კი ისეთ სიტყვებსაც ამ-ოიკითხავს, თუში მოხუცი ქალები უეჭვე-ლად რომ იტყოდნენ. და განა მწერლის ვალი სხვა რა არის?

მეორე კრებულში, რომლის გამოცემაც ძალიან მერქარება, ლექსების უმეტესობა ახალია. ის ჩემმა უმცროსმა ქალიშვილმა, თუთიკომ ჩიტებით მომიხატა.

— ჩიტების თემა ხომ ძალიან ახლო-ბელია, რაღაცნაირად ორგანულია თქვე-ნი პოეზიისთვის. „თქვენს“ ფრინველებს იდუმალება, ღრმა სევდა მოაქვთ, ზღა-პრულ არსებებად წარმოგვიდგებიან, სიმბოლოებზე მიგვანიშნებენ. ალბათ თუთიკოს ჩიტები თქვენ ლექსებში დახატულ ფრინველებს ჰგვანან.

— ცხოვრებაში, პოეზიაში, ცხადში თუ სიზმარში მუდამ თან მდევენ ჩიტები — უცნაურები, ფერადები, მფრთხალები, ცქრიანები, სევდიანები, ცისკენ აის-რულენ თუ ჭირხლოდებულ ჭადარზე შე-მოქვდებიან. ხან შინ მომივლენ, ხანაც გა-რეთ დამიხვდებიან გუნდებდა. მათთან დიალოგს ლექსების მთელი ციკლი მი-ვუძღვენი. თუთიკოს ნახატები ძალიან მო-მწონს, ალბათ შვილი სხვაზე ღრმად წვდე-ბა დედის ნაფიქრალს, ნაზრევს. ორასი ჩიტი დახატა, თითოეულს თითო ლექსი მიმუწერე ხელთ. ნიგნიც ასე, ხელნაწერი სახით მიინდა გამოცემა.

— კიდევ რა ნიგნების გამოცემას აპირებთ?

— მზადაა „დემონოლოგიური თქმულებები“ — ჩემი სადისერტაციო ნაშ-რომი, რომელზეც ოცი წლის განმავლო-ბაში ვმუშაობდი. უნიკალური მასალა და-

გროვდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის შესახებ. ვფიქრობ, ამ ტექსტე-ბის გამოცემა ძალზე გაამდიდრებს ქართული ზეპირსიტყვიერების სივრცეს და მსოფლიო მითოლოგიასაც გაუს-წორებს თვალს. ნიგნის გარეკანი წლების წინ წინასწარ მომიხატა თენგიზ მირზა-



ვილმა.


მე ვამზადებ ნიგნს თენგიზზე. იქ აუჩ-ქარებლად ვმუშაობ. მაქვს ფრაგმენტული, მაგრამ ძალიან საინტერესო მასალა მის სამყაროზე, მის ფიქრებზე, უახლოეს ად-ამიანებზე. დამირეკავდა ხოლმე და მიამ-ბობდა თავისი ცხოვრების ამბებს, ისხენებ-და ბავშვობის წლებს, მეგობრებს. მე კი ვი-წერდი. არასოდეს მიფიქრია, რომ შეიძლე-ბოდა ის აღარ ყოფილიყო ჩვენს გვერდით და ამიტომაც მისთვის საგანგებოდ არაფერი გამომიკითხავს. ვფიქრობ, თუკი გამოცემას მოვასწრებ, ის ძალიან მნიშ-ვენლოვანი ნიგნი იქნება.

მაქვს იმერულ კილოკავზე დაწერილი მოთხრობებიც, „მოთხრებს“ ვეძახი. აქამ-დე არ გამომიქვეყნებია. იმიტომ არა, რომ ვიზარმაცე. ყოველთვის ძალიან მეძნელე-ბოდა, ჩემი ნიგნის გამოცემა ვინმესთვის მეთხოვა. ამიტომ დამიგროვდა ბევრი.

— ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობთ, ლექსებს, ჯერ რომ არ ამომითქვამს, გუ-ლის სკივრში ვინახავო.

— თუ პოეზიაში ძალიან სერიოზული სათქმელი არ დამიგროვდა, არაფერს დავნერ. ხოლო რაც შეეხება ზეპირსი-ტყვიერებას, იქ რამდენიმე კრებულს სია-მოვსენით შევადგენდი და გამოცემდი.

ბავშვი აღარ ვარ, გამიტაცოს ოცნებებმა, საშუალო დონის ლექსი მაღალი რანგის პოეტურ ნიმუშად ჩავთვალ. არც სიჯვილემი მიყვარდა აჩქარება, ვინ-მესთვის თავბრუს დასახვევად არაფერი მომიგონია, შინაგანად თუ არ ვიყავი დარ-წმუნებული, ფრახასაც ვერავინ დამანერ-



ინებდა. გულის სკივრში კი ყველა ადამი-ანს აქვს გადანახული, გადამაღული რაღაც ისეთი, რომელსაც შეიძლება ნლო-ბით ეფერებოდეს. „ფიქრზე ერთგულ არაფერ არ გუჩნავ უფალს“. დიდი რამ არის ფიქრი, მას ვერავინ გიხედავს, ვერ გიკონტროლებს, არავის შეუძლია დაგინ-გრიოს, მოგტაცოს. მეც მაქვს ეგეთი სკივრი, სადაც ჩემ ფიქრებს ვინახავ. ზოგს თან ნავილებ, ზოგსაც სამყაროსთვის გა-ვამხელ ლექსად.

— სულ ცოტა ხნის წინ ლიტერატუ-რული პრემია „საგურამო“ ვადმოგვცათ კრებულისთვის „ასი ლექსი“.

— გამომცემლობა „ინტელექტს“ დიდი მადლობა მინდა ვუთხრა არა მხოლოდ ყურადღებისთვის, სიყვარულისთვისაც. სერიაში „ასი ლექსი“ ნაჩქარევად შერჩეუ-ლი ავტორები არ არიან წარმოდგენილი, თითოეული მათგანი მწერლობაში გულისხმამისაპყრობი ადამიანია. ძალიან ძნელია პოეტი გერქვას საქართველოში. თუ მხატვრულ სიტყვასთან გაქვს ურთ-იერთობა, თუკი ქართული ენა შენთვის სი-ცოცხლესავით ძვირფასია, მაშინ პოეტო-ბა უდიდესი სატანჯველიცაა და მაღლიც. ვფიქრობ, გამომცემლობამ პოეზიისადმი დამოკიდებულება დამიფასა და მეც იმ ავ-ტორებს შორის მოვხვდი.

მადლობის მეტი არაფერი მეტქმის მათთვისაც, ვინც ლიტერატურული პრე-მია მომანიჭა. ლიტერატურულ კონკურს-ში მონაწილეობაზე თავად არასოდეს მიზრუნია, ნიგნები არ წარმიდგენია, ჟი-ურის ნევრებისა თუ კონკურსის ორგანი-ზატორების უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენებას ვერიდებოდი. „საგურამოს“ შემთხვევაშიც სრულიად თავისუფალი ვიყავი ამისგან და ილია ჭავჭავაძის პრემი-ის მიღება მოულოდნელი სიხარული აღ-მოჩნდა ჩემთვის.

ასეთივე ბედნიერება განვიცადე ოცდაორი წლის წინ: ამირანი შემთხვევით გადააწყდა საგაზეთო ინფორმაციას პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტ-ის მიერ გამოცხადებული ლიტერატურუ-ლი კონკურსის შესახებ. კონკურსის პირობების თანახმად, ნაწარმოებები საქართველოდან უნდა გაგზავნილიყო. გულქან რაზიკაშვილის მოგონებებზე

მუშაობა ის-ის იყო დავასრულე. კონკურს-ში მონაწილეობაზე ამირანმა ძლივს დამი-თანხმდა და ნიგნი პარიზში გავგზავნეთ. მჯერა, რომ ვაჟა-ფშაველას შვილთან შეხ-ვედრა უფლისგან მოღებული წყალობა იყო, მაგრამ რა გამოსხამურება მოჰყვებო-და ფშავერ დიალექტზე დაწერილ ტე-ქსტებს უცხო მხარეში, როგორი სპეციალ-ისტივით იქნებოდა დაკომპლექტებულ კომისია, ეს კი მაფიქრებდა. გარკვეული დროის შემდეგ ამირანმა ისევ მომიტანა გაზეთი, იქ ეწერა, რომ ნიგნისთვის „მამა-მა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი“ — გულქან რაზიკაშვილის მოგონებები, ილია ჭავ-ჭავაძის სახელობის პრემია ასოც მონაწ-ილეს შორის მე გადმომეცა. არასოდეს დამავინწყდება ის განცდა. შემდეგ პარიზ-ში დაგვპატიჟეს, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილსა და ბატონ ჯანრი კაშიას ვსტუმრობდით, ლამის მთელი მსოფლიოს ქართველოვებმა მოიყარეს იქ თავი. ახლა კიდევ ერთხელ ვეუბნები მათ მად-ლობას იმ ბედნიერი დღეებისთვის.

— თქვენი პოეტური ენა ლიტერატუ-რულიდან განსხვავებულია. ასეთი „სამეტიყველი“ ფორმა რატომ აირჩიეთ?

— ხშირად უკითხავთ, ლექსს თუშურ დიალექტზე რატომ წერო. ასე წერა ვინმეს მოსახიბლად არ დამიწყია, არც შევცდილ-ვარ, ეს ბუნებრივად მოხდა, რადგან თუშეთში, იმ მინაზე, კონკრეტულ ადგილ-ას ვაწვდი, ის დიალექტი აკვანში ჩამეს-მოდა, მისით გადაიმალა ჩემ წინ მთელი სამყარო, ის არის ჩემი სისხლიც, შემად-გენლობაც, ფიქრიც, იქ ვარ ბედნიერი. შემოქმედებითი პროცესი, ხშირ შემთხ-ვევაში, იმდენად არაა ცნობიერი, რომ დროის შემდეგ ნავიკითხავ ხოლმე ლექსს და გამიკვირდება, ნუთუ ეს მე დაწერე-თქო. ლექსი გრომად რომ არ ღირდეს, ჩემს კუთხეს ხომ მაინც შევეუნახე ის დიალექტი. თუშ მოხუცებს უკითხავთ ჩემთვის, საიდ-ან იცი ის სიტყვებით. სისხლი არ ბერდება.

— ძალიან ახალგაზრდა იყავით, როცა თქვენმა ლექსებმა ერთ დღეში საქვეყნ-ო გაგიტყვეს სახელი. რომ არა ვახუშ-ტი კოტეტიშვილი, თენგიზ მირზაშვილი, ალექსი ჭინჭარაული, ალბათ თქვენი ვარ-სკვლავი ასეთი სიკაშკაშით არ ამოვიდო-და. სწორედ მათ გამოგიყვანეს ხალხური პოეზიის პირველ საღამოზე 1979 წლის 14 აპრილს და ფილარმონიის დარბაზში შეკრებილი უამრავი ადამიანის წინაშე ნაკაკითხეს ლექსები. იცნობდით მანამა-დე ამ ადამიანებს?

— მათი გვარსახელები, რა თქმა უნდა, გამეგონა. ვახუშტის მამა ვახტანგ კო-ტეტიშვილი ბავშვობაში „გამაცნო“ ოსე პაპამ. ასე ვეძახებდი მოხუც თუშს, რომელ-იც აივნიდან ჩამოსასვლელ ხის კიბეზე ჩამოჯდებოდა ხოლმე, ვახტანგ კოტეტიშ-ვილის „ხალხურ პოეზიას“ გადაშლიდა და იქვე, მწვანეზე მიყრილ ბავშვებს ხმამალ-ლა, ბუქბუქით გვიკითხავდა. სკოლის დამთავრების შემდეგ, სანამ თბილისში წა-მოვიდოდი, დამიძახა და 1934 წელს გამოცემული ის უიშვიათესი ნიგნი მაჩუ-ქა, შენზე კარგ, არვის უგდია ამ ნიგნისად ყურიო. მერე ვახუშტის თარგმანებსაც გავეცანი, ფოლკლორის მიმართ მის დამოკიდებულებაზეც გამეგონა. თუმცა პირველად მხოლოდ იმ საღამოს შევხვდი, ფილარმონიაში.

თენგიზ მირზაშვილს კი ლამის დაბადე-ბიდან „ვიცნობდი“. მამას ახლო მეგობარი ჰყავდა, სახალხო მთქმელი კობა ხაპრიძე. მისი ლექსების რვეულში გაჭენებული ცხ-ენი თუ კვიცი იყო ჩახატული. პატარაობი-სას, რვეულის ფურცელში გართული იმ კვიცამდე რომ „მივიდოდი“, კობე ძიო მეტყოდა: „ეს ჩამიხატა მხატვარმა, თენ-გიზ მირზაშვილმა“. თენგიზიც მისი ტოლი მეგონა. წლების შემდეგ, როცა ჩემმა დამ მოულოდნელად მითხრა, ფილარმონიაში უნდა წამომეყვებ და შენი ლექსები ვახუშტი კოტეტიშვილს, ალექსი ჭინჭარაულსა და თენგიზ მირზაშვილს ნაუკითხოო, თენგიზი უკვე მოხუცი წარმომეგინა.

— გახსოვთ, რა ლექსი ნაუკითხეთ მათ?

— ძალიან კარგად მახსოვს. ის ლექსი დედის მონათხრობზე დავწერე. დედა საო-ცარად ლამაზი სოფლიდან, ქუმელაურ-თადან არის. სოფლის წყაროს ბებერი ნაძ-ვების ტყე ესაზღვრებოდა. იქ ძალიან ბევ-რი ირემი ბინადრობდა თურმე. დედა იგ-ონებდა ხოლმე, ბავშვები წყაროზე წყალს



მწერალი

ზვიად კვარაცხელია

მანსოვს რამდენიმე წლის წინანდელი სკეპტიციზმი, როდესაც წიგნების მიმოხილვაში ზვიად კვარაცხელიას ახალ გამოცემაზე წერისას ოთარ ჭილაძის სიტყვები წავიკითხე: „დარწმუნებული ვარ, მისი გამოჩენა სამწერლო ასპარეზზე მხოლოდ იმის იმედს განუშტობს ყველა ჩვენგანს, რომ ქართული სული არ დაძაბუნდება.“ ცოტა გადაჭარბებულად მომეჩვენა ასეთი შეფასება ახალგაზდა ავტორისთვის, რომელიც ლიტერატურულ ცხოვრებაში ფეხს მაშინ იდგამდა, თუმცა, როგორც ჩანს, ბატონ ოთარს ალღო არ ატყუებდა. ამის ნათელი დასტურია ის პროექტები, რომელსაც მწერალი ბოლო 3-4 წელია ახორციელებს: ილია ჭავჭავაძე, იონა მეუნარგია, გრიგოლ რობაქიძე — ის ავტორებია, რომელთა შემოქმედება და ღვაწლი უკეთ დაანახა ქართველ მკითხველს. კიდევ ერთი საინტერესო პროექტია თანამედროვე ქართველი მწერლების ჩანაწერები, რომლის იდეაც მასვე ეკუთვნის. თუმცა მთავარი მაინც მწერლობაა, განცდები და ამბები, რომლებიც არ ასვენებს და ფურცელზე გადასვლას ითხოვს. რამდენიმე წელია ნოველებს წერს მისთვის მტკივნეულ თემაზე — 90-იანი წლების მოვლენებზე დალიან მწვევედ შეეხო მის მშობლიურ კუთხეს, სამეგრელოს. ცოტა ხნის წინათ ეს ნოველები შეკრიბა და წიგნად გამოსცა. საუბარს სწორედ ამ თემით ვინებთ.

— რამდენიმე თვის წინ გამოვიდა შენი ნოველების ახალი კრებული „ყიფილიანდი“, რომელიც სამოქალაქო ომისდროინდელ ამბებს აღწერს, ორად გახლეჩილი ქვეყნის ისტორიას, სადაც მტყუან-მართლის გარჩევა ძალიან ძნელია. როდის დაიწყო ნოველების წერა და რა გახდა ამ თემით დაინტერესების მიზეზი?

— ამას ალბათ თემსაც ვერ დავარქმევ და ვერც იმას ვიტყვი, რომ თავიდანვე წიგნად მქონდა ჩაფიქრებული. ერთი თვისება მაქვს: შეიძლება ამბავი დიდხანს ვატარო, წლობით, მერე ამ მომნიჭებულ და დანერგის დრო მოუვა, ანაც ისევე დარჩება, გონებაში. უბრალო, წყვეტილ-წყვეტილ ჩანაწერებს ხშირად ვაკეთებდი, მაგრამ მაშინ ფიქრადაც არ მომსვლია, რომ ოდესმე ეს ყველაფერი დასრულებულ სახეს მიიღებდა. მას შემდეგ, რაც ლიტერატურული პერიოდიკის ფურცლებზე რამდენიმე ნოველა გამოვაქვეყნე, ცოტა უკმაობის გრძნობა გამიჩნდა, ამიტომ ხელახლა მივუბრუნდი იმდროინდელ ამბებს და პერსონაჟებს. მერე ისევე, ისევე და როგორღაც გამოთლიანდა.

— ასეთ მტკივნეულ საკითხებზე წერა არც ისე ადვილია, მითუმეტეს, როდესაც საკუთარ თავზე გაქვს გამოცდილი. არ გაგიჭირდა ერთხელ განცდილის ხელახლა განცდა?

— ბავშვობის შთაბეჭდილებებთან მიბრუნება ადვილი ნამდვილად არ იყო. ზოგმა მისაყვედურა კიდევ, რა საჭიროა ჩველილია და დავინწყებულის გახსენება, მითუმეტეს, როცა იქ კარგი არაფერი ყრიაო. შეიძლება მართალიც იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, სულ ცდილობდი, ჩემი ემოცია სხვებისთვის არ მომეხვია. როგორც კი შევატყობდი საკუთარ თავს აგრესიას, პერსონაჟების ავ-კარგებად და დედებთან და უარყოფითებად დაეყოფის სურვილს, მაშინვე გავრბოდი — ხან სამსახურში, ხან მეგობრებში გასართობად... ერთხელ ყველაფრის ნაშლაც ვცადა. ეს სრულიად ბუნებრივი და გასაგებია მისთვის, ვისაც კრიზისი გამოუცდია, როცა შეიძლება მარტო წელი კი არა, ხელიც გაგიკავდეს და კარგახანს ხეირიანი გერაფერი დაწერო. ალბათ ამასაც მოთმენა უნდა.

— ამ ამბების გადმოცემით მხოლოდ ჩემი კი არა, სხვათა ტრაგედიებიც განვიცადა, სულ ერთია, ვინ იქნებოდნენ ისინი — ხალხის მიერ გმირად შერაცხული თუ მოღალატედ მიჩნეული ადამიანები. თითოეულის სხეულსა და სულში „შეხვალას“ ვცდილობდი, თითოეულის გრძნობისა და განცდის გადმოცემას. სხვათა მხოლოდ პუბლიცისტიკა გამოვიდოდა.

— მიუხედავად იმისა, რომ ნოველებში რეალურ პერიოდზეა ლაპარაკი, ეს არ არის დოკუმენტური პროზა. ესაა მწერლის თვალით დანახული ისტორია, სადაც აქცენტები ადამიანების ტრაგედიაზეა გადატანილი.

— ასეც მქონდა ჩაფიქრებული, რადგან მწერლისთვის მთავარი ფაქტი კი არა, ადამიანია. იმ დროს ავანსცენაზე დაპირისპირებული პოლიტიკოსები იდგნენ, რომელთაც საკუთარი კეთილდღეობა და ერთმანეთთან ანგარიშსწორება უფრო ადარდებდათ, ვიდრე კონკრეტულ ადამიანთა ბედი. დღეს ისინი ნათელ ფერებში გვიხატავენ თავს, თითქმის სხვისკენ იშვებენ, მაგრამ ფაქტია, რომ მლიქვნელობა და მომხვეჭელობა საკუთარ ხალხზე მეტად შეიყვარეს. ამან უფრო გადამაწყვეტინა იმ პერიოდში რეპრესირებულთა რეაბილიტაცია და მათი ტრაგედიის სააშკარაოზე გამოტანა.

— როცა თავისუფლება ბავშვის ყიფილიანდითი თითო და ყველა წერილი დაჭიმული, მხოლოდ თვალის დახუჭვაა საჭირო იმის წარმოსადგენად, როგორ მოძრაობენ ქალაქიდან ქალაქში „დემოკრატიის დასამყარებლად“ და „უკანონო ბანდ-

ფორმირების გასანადგურებლად“ დარღული ტანკები, ქართული დროებითა და საომარი შეძახილებით. მაშინ შეიძლება ადვილად დაგაჯერონ, რომ სისხლიანი დაპირისპირება, რომელიც დედაქალაქის ცენტრში მოხდა, მხოლოდ ერთი გამზირის ომი იყო; თითქოს სხვადასხვა ქვეყანა ებრძოდა ერთმანეთს და ის ხალხი, ვინც დაიხოცა ან მერე, წლების განმავლობაში უმოქმედობისა და დეპრესიის მსხვერპლი გახდა, ერთი ქვეყნის მოქალაქეები არ ყოფილან.

ახლა სხვა ემოციები მაქვს, რადგან უკვე გვერდიდან ვუყურებ ყველაფერს, მა-

ჯარასთან ატუხული ბავშვები კარგად ვხედავდი, როგორ გამოინია ერთ-ერთ-მა ბაბუასკენ იარაღაშეკრებილი, როგორ ჩადა შუაში ვიღაც უცნობი და მოხუცი მოსაკლავად არ დაანება. ეს სცენა დღესაც არ ამოდის თვალებიდან. მერე, როგორც ამბობდნენ, ჩვენგან ნასულეებმა რამდენიმე სოფელი მოარბიეს, ავეჯი და ძვირფასეულობა გამოხიკეს ოჯახებიდან... ბევრი ადამიანი დაიხარა მაშინ, ბევრი გამწარდა, გაფუჭდა, განადგურდა.

— მხატვრული ლიტერატურიდან დოკუმენტურზე გადავიდეთ. ცოტა ხნის წინ გამოვიდა კიდევ ერთი შენი წიგნი,



კონფორმიზმი მონოზიდან მოდის

შინ კი, პერსონაჟების კანქვეშ შემალული, შურისმაძიებელიც ვიყავი, დარბეულიც, მოკლულიცა და მკვლეელიც.

— აგვისტოს ომმა ძალიან სწრაფად პზოვა გამოხმაურება ქართველი მწერლების შემოქმედებაში, 90-იანი წლების მოვლენებზე კი თანამედროვენი ნაკლებად წერენ. რამდენიმე ნაწარმოები ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც რეალურად შეიძლება ყოფილიყო. რა არის ამის მიზეზი? სირაქლემასავით ხომ არ ვემალებით სიმართლეს, თუნდაც ლიტერატურულს?

— გასული საუკუნის 90-იან წლებზე მაშინ, ცხელ კვალზე უფრო მეტი შეიქმნა, ვიდრე დღეს. არადა, რაც დრო გადის, თემატურად უფრო მიმზიდველი უნდა გახდეს იმდროინდელი ამბები. მიუხედავად იმისა, რომ დაინერა ოთარ ჩხეიძის ტრილოგია („არტიტული გადატრიალება“, „თეთრი ძათვი“, „ბერმუდის სამკუთხედი“), ოთარ ჭილაძის „აველუმი“, გურამ ოდიშარიას მოთხრობები და რომანები, ირაკლი სამსონაძის „ყურთბალიში“, ირაკლი ჯავახიძის „შავი სის კავალერები“, ის ეპოქა ახლაც იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას. შეიძლება ითქვას, მაშინდელმა სულსკვეთებმა განაპირობა დღევანდელი: რაც დღეს გვანახებს, მეტწილად იმის გამოა, რომ მაშინ რაღაცაზე თვალის დახუჭვა, ვიღაცას ანგარიში გავუწიეთ. ნელ-ნელა ეს ყველაფერი შემგულებლად, კონფორმიზმად იქცა. კონფორმიზმი მონობიდან მოდის, მონობიდან გამოსვლას კი თაობები სჭირდება. ამიტომ ჩავლილი წლების დავინწყებას ისევე მეხსიერების უკუენთში ჩასვლა სჯობია, სადაც ჯერ კიდევ ცოცხალი და გაუხუნარი შთაბეჭდილებებია.

— მაინც რა არის „ყიფილიანდის“ მთავარი სათქმელი, გზავნილი, რისთვისაც ეს წიგნი დაიწერა?

— სხარტი და მკაფიო გზავნილები არ მეხერხება, ძნელია ასეთ დაცემულ და გაორებულ სინამდვილეზე წერისას კონკრეტულ მონოდებაზე იფიქრო. ერთადერთი, ვინც სულ მახსოვდა, ბაბუაჩემი იყო, სოფლის სკოლის დირექტორი, რომელსაც ერთ საღამოს ხაკისფერ ფორმიანები მოადგნენ სამხედრო მანქანით და სკოლის გასაღები სთხოვეს. მან არ დაუთმო და ფარდაჩამოფარებულ ფან-

ამჯერად დოკუმენტური პროზის ჟანრში — „ილია სამეგრელოში“. როდის დაინტერესდი ამ თემით?

— ილია ჭავჭავაძის სამეგრელოში სტუმრობის ამბები ბავშვობიდან მაინტერესებდა. ხშირად შემინიშნავს ჩემი მშობლიური ქალაქის, ზუგდიდის ცენტრში, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და თეატრის ფასადზე გაკრული განიერი წარწერა: „სამეგრელოში მოვედ და საქართველო ვნახე“. სულ მაინტერესებდა ამ ფრაზის რეალური ქვეტექსტი...

წლები რომ გავიდა, თითქმის ყველაფერი წავიკითხე, რაც ილიას მარტივლსა და ზუგდიდში მოგზაურობას ეხებოდა და ზაფხულში, მოვლდობისას, ლაღად და ზედმეტი წვლების გარეშე გავეცი პასუხი დაგროვილ შეკითხვებს, უფრო სწორად, ჩემთვის აღვიდგინე, რა მიზეზით შეიძლება სწვეოდა სამეგრელოს „მშობელი ქვეყნის მოზარე“, ვისაც დიდად არ იზიდავდა მოგზაურობა. პირველი, რაც გვახსენდება და ფაქტებითაც დადასტურებულია, არის ნიკო დადიან-მინგრელსკის ძვირფასი შემოწირულობის — დადიანების უნიკალური ბიბლიოთეკის — ჩამოტანა თბილისში, რის საფუძველზეც შემდგომ წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა შეიქმნა; არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი: იმპერიის რუსეთში პოლიტიკა განსაკუთრებული სიმწვავეით იმ კუთხეების მიადგა, ვისაც საკუთარი ენა ჰქონდა, შეუქმნეს ანბანი, დაუდგინეს მასწავლებლები და შეეცადნენ მთელი მოსახლეობის დარწმუნებას, რომ ისინი საქართველოს განუყოფელი ნაწილი კი არა, ცალკე ქვეყნები იყვნენ. მაშინ დიდი გონიერება გამოიჩინა სამეგრელოს შეგნებულმა საზოგადოებამ — სასულიერო მოღვაწეებმა, მწერლებმა, მასწავლებლებმა. ქადაგებებით, მწვავე კრიტიკული წერილებითა და აქტიური საგანმანათლებლო საქმიანობით დაუმტკიცეს ხალხს, რომ ეს მოჩვენებითი წყალობა ჯერ ერთი კუთხის, შემდეგ კი მთელი ქვეყნის იმპერიის რიგით ოლქად გადაქცევით დამთავრდებოდა. ამ ყველაფრის უტყუარი დადასტურება იყო ილია ჭავჭავაძის სტუმრობა და მისი ფრაზა: „სამეგრელოში მოვედ და საქართველო ვნახე“.

— ეს გამოცემა გარკვეულწილად უკავშირდება იონა მეუნარგიას სახელს,

კაცის, რომელმაც ბიძგი მისცა ილიას სამეგრელოში მოგზაურობას და ფაქტობრივად, სათავე დაუდო ერთ-ერთ მნიშვნელოვან ლიტერატურულ ჟანრს, ბიოგრაფიულ რომანს და საერთოდ, ბიოგრაფიულ პროზას. ცოტა ხნის წინ გამოცემილი „არტანუჯმა“ გამოსცა პირველი ტომი იონა მეუნარგიას შესახებ, რომლის შედგენაზე შენ იმუშავე.

— იონა მეუნარგიას შემოქმედებითი მემკვიდრეობის ამსახველი ხუთტომეულის გამოცემის აუცილებლობა ამ პიროვნების საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში შეტანილმა წვლილმა განაპირობა. იგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივანი და კახეთში, იმერეთსა და აჭარაში საერო სკოლების გახსნის ინიციატორი; მისი, რაფიელ ერისთავისა და იაკობ გოგებაშვილის მოწოდებით შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია, დაიწყო ძველი ხელნაწერების შეგროვება და მათი ერთმანეთთან შეჯერება, დაარსდა ბეჭდვის კომიტეტი, რომელმაც ქართველი ერის ნაციონალური სიმდიდრის გამოცემა ითავა; იონა მეუნარგიამ, ცნობილი ავსტრიელი მწერლების — არტურ და ბერტა ფონ-ზუტენერების დახმარებით, ფრანგულ და გერმანულ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ და საილუსტრაციოდ წარუდგინა ცნობილი უნგრელ მხატვარს მიხაი ზიჩის, რომელმაც ამ პოემის პირველი ილუსტრაცია შექმნა;

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ იონა მეუნარგიას, როგორც გამორჩეული მწერლისა და ბიოგრაფოსის ღვაწლი დაუფასებელია. ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა ქცეული მისი წიგნები, სადაც უნიკალური ცნობებია შემონახული გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა შესახებ, გამოვლენილია მათი ცხოვრებისა და შემოქმედების უცნობი მხარეები; XIX საუკუნის პრესაში ჩარჩენილია მისი ფასეული ნაშრომები — კრიტიკული წერილები, ესეები, პირადი მიმონერა ქართველ მწერლებთან, საზოგადო მოღვაწეებთან თუ თანამედრობის პირებთან; საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებსა და ოჯახებში გაფანტული მდიდარი ფოტომასალა, ხელნაწერები თუ უცხოელ ავტორთა თხზულებები, რომლებიც მის სახელს უკავშირდება. ამიტომაც ვფიქრობ, რომ იონა მეუნარგიას ქართულ სალიტერატურო სივრცეში სრულყოფილად შემოყვანა საჭირო და აუცილებელი საქმეა.

პირველი ტომის გამოცემით უკვე გადაიდა მნიშვნელოვანი ნაბიჯი, გამზადებულია კიდევ ორი ტომი, რომელსაც უახლოეს მომავალში იხილავს მკითხველი.

— კიდევ ერთი პროექტი, რომელიც ამ გამოცემლობას უკავშირდება, არის „უცნობი გრიგოლ რობაქიძე“. რამდენადაც ვიცი, ამ პროექტის ფარგლებში ქართველი მკითხველისთვის უცნობი ტექსტები ითარგმნა და გამოიცა.

— გრიგოლ რობაქიძეს, ცნობილი მიზეზების გამო, რეპრესირებულ ქართველ მწერალთაგან ყველაზე გვიან აეხსნა ტაბუ — გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო მისი ნაწარმოებების პუბლიკაცია ლიტერატურულ პერიოდიკაში და წიგნებად გამოცემა. ზედიზედ დაიბეჭდა ორი რომანი, ნოველები, ესეისტიკა. მიუხედავად ამისა, თითქმის ათეული წლით დაიკვირნა გრიგოლ რობაქიძის იმ უცნობმა ტექსტებმა, რომელიც თავის დროზე საკმაოდ დადებითად მიიღო კულტურულმა სამყარომ, რაზეც მეტყველებს თვალსაჩინო ევროპული გამოცემლების ინტერესი ქართველი მწერლისადმი.

ამ პროექტით — „უცნობი გრიგოლ რობაქიძე“ — შევეცადეთ ეს ხარვეზი შეგვევსო და დაინტერესებული მკითხველისთვის ათი ახალი წიგნი შეგვეთავაზებინა: „კავკასიური ნოველები“, წერილები და ესეების კრებულები „დემონი და მითოსი“, „პორტრეტები“ და „პრო დმო სუა“, სამი რომანი — „მცველი გრალისა“, „ქალმერთის ძახილი“ და „მეგი — ქართველი გოგონა“, გრიგოლ რობაქიძის პირადი მიმოწერა, პოლიტიკური წიგნაკები „პიტლერი“ და „მუსოლინი“. ამ ნაწარმოებების თარგმანები გამორჩეული გერმანისტებისა და ლიტერატურის მკვლევარების — დალი ფანჯიკიდის, ნანა გოგოლაშვილის, თამარ კოტრიკაძის, ეთერ ქავთარაძისა და მანანა კვატაიას სახელს უკავშირდება, რაც განსაკუთრებით საგულსხმომ და აღსანიშნავია.

დასასრული მე-16 გვერდზე

ეთერ თათარაიძე:

„ჩემი ფიქრების სკივრი მაქვს“

დასასრული

რომ დავლევდით, მერე ირმები მოდიოდნენ და წყურვილს იკლავდნენო. წარმოიდგინეთ, როგორი საოცარი გარემო იქნებოდა. ერთხელ ბებო და პაპა სათიბში ყოფილან ასულეები. პაპა თოფს მუდამ თან დაატარებდა, რადგან ლეკები ხშირად ესხმოდნენ თავს იქაურებს. იმ თოფით უსვრია ირმისთვის. დაჭრილი გადაგორებულა. მერე ბებო უამბობდა დედას, როცა ვნახეთ, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და თავლებიდან ცრემლები ნაკადულადად გადმოსდიოდა. ამას რას ესროლე, როგორ მოჰკალო, დაამუნათა თურმე პაპა. მერე პაპას დაუმარხავს ის თოფი, ირმის ცრემლები ვერ უპატივბია თავისთვის. იმ ამბავმა ძალიან იმოქმედა ჩემზე და ლექსი დავეწერე.

— **წლების შემდეგ ამ ლექსმა ააცრემლა ალექსი ჭინჭარაული და აღტაცებულ თენგიზ მირზაშვილს ათქმევინა ცნობილი ფრაზა: „ნახე, ბალო, რა ლექსია!“ და სალამოს თქვენ უკვე უამრავი მაცურებლის წინაშე იდევით.**

— სალამოზე ეგ ლექსი აღარ წამიკითხავს, მოკლები ვარჩიე. ძალიან ვლელავდი და მინდოდა, კითხვა მალე დამემთავრებინა, იქაურობას გავცლოდი, მაგრამ სცენიდან აღარ გამიშვეს. იმ დღიდან დაიწყო სრულიად ახალი ცხოვრება. ალბათ ყოფილ მახარადის ქუჩაზე, იმ სახლის ძველ ბინადრებს რომ ჰკითხოთ, სადაც მეგობარ გოგონასთან ერთად ქირით ვცხოვრობდი, დავიდასტურებენ, რომ ჩემი ოთახისკენ მიმავალი გრძელი საერთო დერეფანი, თვეების განმავლობაში, თავივლებით იყო მოფენილი, ყვავილებს შუა ვინრო „ბილიკზე“ მივბაზავდები. ყოველდღიურად მხვდებოდა უამრავი წერილი, მისალოცი ბარათი, მოდიოდნენ ადამიანები და მთხოვდნენ რაიმე ნამეკითხა მათთვის. არ დარჩენილა ხელოვნების რომელიმე დარგის თუნდაც ერთი ცნობილი წარმომადგენელი ჩემს მიმართ ყურადღება, ინტერესი არ გამოეჩინა. დიდი სიყვარული მიჩვენა ხალხმა. ალბათ დღეს ვერავინ წარმოიდგენს, რომ ლექსის გამო ამგვარი რამ შეიძლება მოხდეს.

— **მწერალთა წრე კი ახალი პოეტის გამოჩენას კრიტიკით შეხვდა. არ ვიცი, ამას გულისხმობდა თუ არა ბატონი მიხომოსლონიშვილი, როცა თავის ესეში „ცასნაველას პარაბოლა — საგანგებო ორნითოლოგიური კვლევა გადახვევებითა და ალფრედ შიჩოკის „ჩიტების“ გახსენებით“ დაწერა: „ბევრმა ვერ გაიგო ეს ლექსები, ამის გამო გაღიზიანდა, გამწარდა... ეს რანაირ კილოზე ლაპარაკობდა, განა ამით რა უნდა ესწავლებინა მათთვის, ...რა უნდა აეხსნა ვითომ, — არ სჯობდა, ეს ყველაფერი უფრო ნათლად,**

ღრამმატიკულ ქართულზე ეთქვა? ...ერთხელაც იქნება და, ალფრედ შიჩოკის საზარელი ჩიტებისა არ იყოს, გაცოცხლდებიან პოეტის ლექსებში დახატული ფრინველები და მყუდრო ჩარჩოებში ჩასმულ პიტალო აზრებს დაგვიკორტინან და დაგვიბრჭყალავენ“.


— მწერლების მხრიდან სასტიკი თავდასხმები, ჩემს გასაკიცხად გამართული შეკრებები, ბოლმით სავეს საგაზეთო პუბლიკაციები მახსოვს. არავისთვის გამიცია პასუხი. ხალხური ნათქვამია, „ყბედი ვინ დალა და მუნჯმაო“. მეც ყველასთან მუნჯი ვიყავი. არც ახლა გავიმეტებ იმ კამპანიის მონაწილე ცნობილ ადამიანებს, ვინც დღესაც ცოცხალია. საკუთარ თავთან და ღვთის წინაშე არ შემიცოდავს, დიალექტზე იმიტომ არ ვწერდი, რომ ვინმე გამეჯავრებინა, ან ვინმეს გაგვიბრებოდი. ამაზე ზემოთ უკვე მოგახსენეთ. ხალხის სიყვარულს კი თავბრუ არასოდეს დაუხვევია ჩემთვის. თენგიზი და ვახუშტი ყოველთვის მეუბნებოდნენ, ნიჭმა არ გაგათამამოსო. ვახუშტი ცდილობდა იმ მძიმე ვითარების განეიტრალებას, თენგიზი კი ვერ მალავდა დამოკიდებულებას ჩემი ლექსების მიმართ და ეს კიდევ უფრო ამძვინვარებდა ადამიანებს. ვიტყვი, რომ გაცნობის დღიდან ვიდრე სიკვდილამდე, ჩემს ლექსებს თენგიზ მირზაშვილმა უპატრონა. მასზე დიდი გულშემატკივარი ჩემს პოეზიაზე არ ჰყოლია.

— **თენგიზ მირზაშვილთან, ვახუშტი კოტეტიშვილთან ცხოვრების დიდი წინილი გაკავშირებთ. არაერთხელ მადლიერებით გითქვამთ, მათი ხსოვნის წინაშე დიდ პასუხიმგებლობას ვგრძნობო. ასე მგონია, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში, ზეპირსიტყვიერების მემორიუმებით თქვენი საქმიანობა, სწორედ ამ სფეროში მათი ღვაწლის გაგრძელებაა. წელს ცენტრი ვახტანგ კოტეტიშვილის 120 წლისთავს აღნიშნავს.**

— ძალიან დიდი სურვილი მქონდა, ქართული ფოლკლორისტიკის ფუძემდებლის იუბილე ღირსეულად აღგვენიშნა. ამ პროექტზე დიდი ხანი ვიმუშავებ. ვახტანგ კოტეტიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილმა გამოფენამ ცენტრის სამი დარბაზი დაიკავა. ყველაფერი მაინც ვერ დავეყვით. მოგეხსენებათ, ის არა მხოლოდ ფოლკლორისტი გახლდათ, არამედ — ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, მოქანდაკე. უფსკეროა მისი ნაღვანი. ამ მასშტაბის ღონისძიება ვახტანგ კოტეტიშვილისთვის არასოდეს გაუმართავია, რეპრეზენტული მეცნიერების საიუბილეო თარიღები ვინრო წრეებში აღინიშნებოდა ხოლმე. წელს, პროექტის ფარგლებში, მე და ამირანმა ბატონი ვახტანგის ნაკვალევზე ვიმოგზაურეთ. მესხეთ-ჯავახეთი, ალგეთის ხეობა, თემის ხეობა, ატენის ხეობა და კუმისის ჩათვლით თბილისის მთელი შემოგარენი სოფელ-სოფელ, ტაძარ-ტაძარ შემოვიარეთ, ვნახეთ ყველა ის ადგილი, სადაც გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში დიდმა მეცნიერმა იმოგზაურა, იგივე ადგილების მკვიდრთა ფოლკლორული მემკვიდრეობა შევამოწმეთ და ძალზე შთაბეჭდილებები დავბრუნდით.

დამითვალისწინებელს საშუალება აქვს მემორიალურ ნივთებთან, ორასამდე ფოტოსურათთან, საინტერესო დოკუმენტებთან ერთად, აქამდე უცნობი საარქივო ჩანაწერებიც იხილოს. საიუბილეო დღეებს დავასრულებთ ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის ხალხური პოეზიის სალამოთი, რომელიც ვახტანგ კოტეტიშვილის ხსოვნას მიეძღვნება. სალამო კოტეტიშვილის თეატრში დღეს გაიმართება. გამოფენა კი ერთ თვეს გასტანს. შემდეგ მისი ნაწილი საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დარბაზში გადინაცვლებს.

ესაუბრა თამარ ჟურული



ზვიად კვარაცხელია:

„კონფორმიზმი მონობიდან მოდის“

დასასრული

— **კიდევ ერთი გამომცემლობა, რომელთანაც აქტიურად თანამშრომლობ, „ინტელექტია“. სწორედ ამ გამომცემლობასთან ერთად გამოიცა სერია „ერთი შედეგის ყველა ქართული თარგმანი“, რომლის იდეაც შენ გეკუთვნის. უკვე დაიბეჭდა ედგარ პოს, შექსპირის, გოეთეს, ცვეტაევის, კიპლინგისა და სხვათა თარგმანები.**

— ედგარ პოს „ყორანის“ ოცდაერთი ქართული თარგმანის გამოცემის შემდეგ გაგვიჩინდა სურვილი, სხვა ცნობილ პოეტთა შედეგებზეც დაგვეცემინა. თავიდან ცოტა ეჭვით ვუყურებდი ამ წამოწყებას, უფრო დაზვერვა იყო, ვიდრე ბოლომდე ჩამოყალიბებული მიზანი, მაგრამ ძლიერმა მთარგმნელობითმა ტრადიციამ და თანამედროვე მთარგმნელების აქტიურობამ შედეგი მოიტანა: თქვენს მიერ ჩამოთვლილი ავტორების გარდა, ამ სერიამ უკვე ფრანსუა ვიიონის, უოლტ უიტმენისა და ბორის პასტერნაკის შედეგთა ქართული თარგმანებიცაა შესული. ამ კრებულების გამოცემით კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა სხვადასხვა თაობის ქართველ მთარგმნელთა პროფესიონალიზმი და შრომისმოყვარეობა, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ მათი ინტერესის საგანს — ურთულეს პოეტურ ნაწარმოებებს.

— **„ინტელექტია“ ერთად განხორციელდა ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი სერია, რომლის იდეაც ავტორიც ასევე შენ ხარ. ეს არის ცნობილი მწერლების ჩანაწერები, რომლებიც, თუ არ ვცდები, ოთარ ჭილაძით დაიწყო. სერია საინტერესოა იმდენად, რამდენადაც საშუალებას აძლევს მკითხველს უკეთ გაეცნოს მისთვის ძვირფასი ავტორის პიროვნებას, აზრებსა და მსოფლმხედველობას. რა სირთულეებს აწყდები მასზე მუშაობისას?**

— დღიურები, ჩანაწერები წინათაც გამოცემულა, მაგრამ ამ პროექტმა ცალკე გამოყო და თავისთავადი მნიშვნელობა მიანიჭა მათ. თუ ადრე ლიტერატურის მკვლევარ-მკითხველი ოთარ ჭილაძის პოეზიასა და რომანებს უეჭველად მის ჩანაწერებზე მალა დააყენებდა, დღეს ცოტა სხვაგვარადაა საქმე. სახელდახელო, ყოველდღიური ჩანაწერები ხშირად უფრო მეტს ამბობს ავტორზე, მის თანამედროვე ადამიანებსა და ეპოქაზე, ვიდრე მხატვრული ტექსტი. უკვე 20-ზე მეტი წიგნი გამოვიდა და ინტერესი არ განელებულა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სერია სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება — გვერდიგვერდ იბეჭდება დროით, ჟანრობრივად, მსოფლმხედველობით განსხვავებული ავტორები. რა თქმა უნდა, ადვილი არ არის, მწერალი ან მისი მემკვიდრე დაითანხმო სადაო, საკამათო, მეტ-



იც, სკანდალური (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით) ჩანაწერების, დღიურების გამოცემაზე, მაგრამ თანდათან თვალსაჩინო ხდება, რომ გულწრფელობა და სიმართლე (თუნდაც ეს ძალიან სუბიექტური იყოს) საზოგადოების განვითარებისთვის აუცილებელია.

— **ცოტა ხნის წინ „ინტელექტია“ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობისთვის გამოსცა ინგლისურ და გერმანულ ენებზე თარგმნილი თანამედროვე ქართველი ავტორების პროზაული და პოეტური ტექსტები. უფრო დაწვრილებით გვიამბე ამ პროექტზე. საინტერესოა ისიც, ექნება თუ არა ამ წამოწყებას გაგრძელება?**

— ამ თემაზე საუბრისას ხშირად მახსენდება მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვები: „რუსეთი ცხენით მისდევს ევროპას, ჩვენ კი თოკით მიგვათრევს და გვეუბნება, არ ჩამოგვრჩეთო“. დღეს, როცა საქართველო თავისუფალი ქვეყანაა, იმპერიული და საბჭოთა ბატონობისგან გაცდენილი წლები მალე უნდა ავინაზღაუროთ და დასავლურ სამყაროს დავემტკიცოთ, რომ მრავალსაუკუნოვანი კულტურა გვაქვს. ეს პროცესი უკვე დაწყებულია და კულტურის სამინისტროს გარდა, მასში გამომცემლობებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ.

გამომცემლობა „ინტელექტია“ წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობისთვის ინგლისურენოვანი კატალოგი მოამზადა, რომელშიც წარმოდგენილია „ინტელექტის“ ავტორთა ბიოგრაფიები და ფრაგმენტები მათზე დაწერილი რეცენზიებიდან. ასევე ცალკე გამოქვეყნდა პოეტური და პროზაული კრებულები. პოეტური კრებულები გამოცემულია ინგლისურ ენაზე და მასში შესულია ბესიკ ხარანაშვილის პოემა „ხეიბარი თოჯინა“, ასევე სოსო მეშველიანის, სალომე ბენიძისა და გვანცა ჯობავას ლექსების თარგმანები. თარგმანები შესრულეს მედა ზაალიშვილმა, ანი კოპალიანმა, ტიმოთი კერჩერმა, ლელა სამნიაშვილმა და ლიკა ჩაფიძემ; პროზაული კრებული (პროზა/დრამატურგია) გერმანულენოვანია და მასში წარმოდგენილია ირაკლი სამსონაძის, თამაზ ჭილაძის, მაკა ჯობაძის, ირაკლი ჯავახაძის, ნინო სადლობელაშვილისა და ჩემი ნაწარმოებები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მთარგმნელებისა და რედაქტორების — ქრისტიანე ლიხტენფელდის, ნანა გოგოლაშვილის, სუზანე კიმისა და ნიკოლოზ ლომთაძის, ირმა შიოლაშვილის, იოაჰიმ ბრიტცესა და ეკატერინე რაისნერის დამსახურება.

ცხადია, ეს არ იქნება ერთჯერადი მოვლენა და გამომცემლობა „ინტელექტია“ ყოველწლიურად შეეცდება ახალი ავტორები და თარგმანები წარუდგინოს ევროპელ მკითხველს.

ესაუბრა ნანა კობაიძე



ლიტერატურული გაზეთი

გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
 რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
 ჟურნალისტიკა ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ჟურული
 ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com